

სამხედრო ხელოვნების ისტორია

III

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამხედრო ხელოვნების ისტორია
(დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის)

ნაწილი III

გორი
2024

უაკ (UDC) 355(09)(075.8)
მ_983

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მას რიდერის (ელექტროვერსიის) სახით ვიყენებდით სასწავლო პროცესში, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა სახელმძღვანელოს ნაბეჭდი წესით იუნკერებისთვის მიწოდების აუცილებლობა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გავაერთიანეთ სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციები. აკადემიის სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოვახდინეთ ტექსტების რედაქტირება და ადაპტირება. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ანტკური ხანიდან მე-20 საუკუნის მიწურულამდე. წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და აზიის სამხედრო ხელოვნების კუთხით. კერძოდ, სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი (პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კომპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში, რაც, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო იქნება იუნკერებისა და ზოგადად მკითხველისათვის.

საკითხავი მასალის მოცულობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გამოცემა რამდენიმე ნაწილად. ამასთან, დიდი ინტერესით მივიღებთ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

შემდგენელი-რედაქტორი: ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი
დამკაბადონებელი: ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ქეთევან კვესელავა

მთარმგნელები: მანანა სეხნიაშვილი, მანანა ღუდუშაური

ISBN 978-9941-8-6709-5

შინაარსი

თავი I 6

ომის დასავლური გზის აღმავლობა-რევოლუციები სამხედრო საქმეში. მაკიაველი, გუსტავ ადოლფუსი და ფრიდრიხ დიდი 6

თავი II 77

ბრძოლა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები 77

საკითხავი ლიტერატურა 110

დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს აღორძინების ეპოქიდან ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე (ოცდაათწლიანი და შვიდწლიანი ომები ევროპაში).

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი ასევე წარმოადგენს სამხედრო ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესახებ ნაშრომების ერთგვარ კრებულს, რომელშიც გარკვეულ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, შედარებით სრულყოფილად იქნება გაშუქებული დასავლეთ ევროპაში ოცდაათწლიანი და შვიდწლიანი ომების, აგრეთვე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში წარმოებული ბრძოლების ისტორიული, იდეოლოგიური და პოლიტიკური წანამძღვრები, მათი დაწყება და მსვლელობა, ოპერაციებისა და ბრძოლების დინამიკა, მათი სამხედრო-ტაქტიკური ანალიზი, ამ ომების მნიშვნელობა და მათი სამხედრო-პოლიტიკური შედეგები. განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის შეხედულებებზე სამხედრო ხელოვნებაზე, გუსტავ ადოლფუსისა და ფრიდრიხ დიდის სამხედრო ტაქტიკასა და სტრატეგიაზე. ტაქტიკური კუთხით განვიხილავთ ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებს, მათ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის უცხოელ დამპყრობთაგან განთავისუფლების საქმეში. შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხავი მასალის გაცნობის შედეგად იუნკერებს გარკვეული, უფრო სიღრმისეული წარმოდგენა შეექმნებათ აღნიშნული პერიოდის სამხედრო ხელოვნებაზე. ამასთან, ნაშრომში მთელი რიგი საკითხები სრულიად ახლებური ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი.

თავი I

ომის დასავლური გზის აღმავლობა-რევოლუციები სამხედრო საქმეში. მაკიაველი, გუსტავ ადოლფუსი და ფრიდრიხ დიდი

1. **თემის მოკლე შინაარსი:**

ცივილიზაციებისა და საზოგადოებების წიაღში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების წამყვან ძალას ხშირად ომები წარმოადგენენ. ასეთივე ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ ის დებულებაც, რომ ცივილიზაციებისა და საზოგადოებების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებიც თავის მხრივ განსაზღვრავენ ომების წარმოების გზებსა და საშუალებებს. ჩვენს მიერ განსახილველი თემაც სწორედ ამ საკითხებს შეეხება, ანუ - საზოგადოების განვითარებასა და ომების წარმოების წესს შორის დამოკიდებულების შესწავლას. იგი ევროპული ცივილიზაციის განვითარების საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და იტალიური რენესანსის ხანიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე გრძელდება. ჩვენ გამოვიკვლევთ თუ როგორ ზეგავლენას ახდენდა ამ ურთიერთობების განვითარება სამხედრო ძალის შექმნასა და შემდგომ განვითარებაზე, მის რევოლუციურ ცვლილებებზე. ამ კონტექსტში განვიხილავთ შესასწავლი თემის ძირითად საკითხსაც - ,,ომის დასავლური გზის" აღმავლობასა და შემდგომ განვითარებას და რევოლუციებს სამხედრო საქმეში.

თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ისტორიაში სწავლულთა მიერ საწყის წერტილად და პირველ სამხედრო რევოლუციის მამოძრავებელ ძალად რენესანსის ეპოქიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე პერიოდში განხორციელებული პოლიტიკური, სოციალური და ტექნოლოგიური გარდაქმნებია მიღებული. ისტორიის ამ მონაკვეთს სხვანაირად განვითარებული შუა საუკუნეები შეგვიძლია ვუწოდოთ. ყოველივე ეს კი XV საუკუნის შუა წლებს უკავშირდება, უფრო ზუსტად - 1453 წელს. ამ წელს კონსტანტინეპოლი დაეცა, იგი ოსმალო თურქებმა აიღეს და ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანმა იმპერიამ თავისი არსებობა შეწყვიტა. კონსტანტინეპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის დაცემა შეიქმნა სწორედ იმ წყალგამყოფ ხაზად, რამაც თანდათან ომების წარმოების ევროპული გზის შემდგომ განვითარებას შეუწყო ხელი. ევროპა აზიისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. და ამან-ევროპისათვის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების ძიების პროცესმა აზიისაკენ უკვე არა კონსტანტინეპოლის, არამედ ცენტრალური ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო იმპერიებზე, ვენეციაზე, გენუასა და ფლორენციაზე ინტერესების გადატანა გამოიწვია. იტალიაში რენესანსის ანუ აღორძინების ეპოქა დაიწყო.

სურ.1 თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღება-1453 წლის 29 მაისი

რენესანსის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს იყო სრული გადატრიალება კულტურის ყველა სფეროში: მეცნიერებაში, ტექნიკაში, ხელოვნებაში. ეს იყო ფეოდალურ კულტურასთან ბრძოლის პირველი ეტაპი. ფეოდალურ მსოფლმხედველობას ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა.

ეს იყო ყველაზე დიდი რევულუცია, რაც კი დედამიწაზე მომხდარა. ეს იყო დრო, რომელსაც სჭირდებოდა გიგანტები და რომელმაც წარმოშვა გიგანტები-მეცნიერებისა, სულიერებისა და ნებისყოფისა. ეს იყო დრო, რომელსაც ფრანგებმა რენესანსი უწოდეს, პროტესტანტულმა ევროპამ კი ცალმხრივად და შეზღუდულად - რეფორმაცია.

მეცნიერება გამოვიდა მონასტრის კელიებიდან, რომელმაც თავისი დადებითი როლი ითამაშა მისი განვითარებისათვის. XIV-XV საუკუნეებში ფლორენციაში დაარსდა უნივერსიტეტი და პლატონისეული აკადემია, რომლებიც კულტურის უდიდესი ცენტრები გახდნენ.

1450 წელს მაინცში გუტენბერგის მიერ გამოგონებული წიგნის ბეჭდვა ახალი ბურჟუაზიული კულტურის მძლავრ იარაღად იქცა.

სამხედრო თვალსაზრისით ამ პროცესებმა ევროპელ რაინდთა ინსტიტუტების, როგორც უკვე დრომოჭმული მოვლენის თანადათანობითი დასუსტება და გაქრობა გამოიწვია.

დაწინაურებული იტალიის ქალაქების საზღვაო, სავაჭრო და ფინანსური ძლიერების ზრდასთან ერთად ახალი ტიპის სამხედრო ორგანიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი, რომელიც თანდათანობით პროფესიონალი ჯარების საფუძველი გახდა. ამ მხრივ მთავარ რეფორმატორს ნიკოლო მაკიაველი წარმოადგენდა, რომელიც შეეცადა ფლორენციის ფეოდალური არმია სახელმწიფო არმიად გარდაექმნა რესპუბლიკური რომაული ლეგიონების მაგალითზე.

,,...საჭიროა სიმკაცრე. ხელისუფალმა არ უნდა თქვას უარი სასჯელზე ჯარისკაცების ერთსულოვნებისა და ერთგულების უზრუნველსაყოფად"; „გაცილებით უსაფრთხოა ეშინოდეთ თქვენი, ვიდრე უყვარდეთ". ჰანიბალის „არაადამიანური სისასტიკე" აუცილებელი იყო საომარი ძალის შესანარჩუნებლად. მისი ძალები „შედგებოდა ყველა ერის წარმომადგენლისგან, რომლებიც ერთად იბრძოდნენ უცხო ქვეყნებში... მწერლები, რომლებიც პატივს სცემენ ჰანიბალს, როგორც ძლიერ გმირს, მაგრამ ჰკიცხავენ სისასტიკის გამო, უგუნურნი არიან. მისი სისასტიკე ხომ მისი წარმატების მთავარი მიზეზი იყო" -წერს მაკიაველი თავის ,,მთავარში".

პატრიოტული ენთუზიაზმით აღვსილი მხოლოდ ის ჯარი შეიძლება იყოს, რომლის მეომრებიც საკუთარი მიწისთვის იბრძვიან. მაკიაველის ყველაზე ფუნდამენტური დებულება, რომელიც ხაზგასმულია მის ყველა ნაშრომში, არის ის, რომ მმართველის ან რესპუბლიკის სამხედრო ძალები უნდა შედგებოდეს იმ სახელმწიფოს მოსახლეობისაგან, რომელიც ამ არმიამ უნდა დაიცვას.

მაკიაველიმ ჩამოაყალიბა ფლორენციის რესპუბლიკის ლაშქარი, რომლის რიცხვი 20 ათას კაცს აღწევდა. ამათგან 70% შეიარაღებული იყო შუბებით, 20% - ალებარდებით, 10% - ცეცხლსასროლი იარაღით. ლაშქარს ჰქონდა ფორმის ტანსაცმელი: თეთრი ხიფთანი და ფერადი შარვლები (ცალი ტოტი თეთრი, მეორე - წითელი). დღესასწაულებზე ლაშქარი იკრიბებოდა წვრთნის ჩასატარებლად: სწავლობდნენ იარაღის ხმარებას, მწყობრად დადიოდნენ დოლის თანხლებით, აკეთებდნენ ბრუნს მარჯვნივ და მარცხნივ მწკრივში და ა. შ.

მეორე უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა, რომელმაც ომების წარმოების დასავლური გზის შემდგომი განვითარება გამოიწვია, ე.წ. ,,რეკონკისტას" დასრულება იყო - მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების შედეგად, ევროპელი ქრისტიანების - ესპანელების, კატალონიელებისა და პორტუგალიელების მიერ იბერიის ნახევარკუნძულიდან არაბებისა და მავრების განდევნა. ეს პროცესი საბოლოოდ ესპანეთის გაერთიანებით დასრულდა 1492 წელს. სწორედ იბერიის ნახევარკუნძულიდან და იტალიის სავაჭრო ქალაქებიდან დაიწყო აზიისაკენ ახალი საზღვაო სავაჭრო გზების ძიება ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების გვერდის ავლით. ეს პერიოდი ,,დიდი აღმოჩენების" ეპოქად არის ცნობილი, რომელიც საბოლოოდ ესპანელთა მიერ ,,ვესტინდოეთის" - ამერიკის კონტინენტის აღმოჩენით, აცტეკთა და ინკების იმპერიების დაპყრობით, მათი სიმდიდრეების მეთოდური ათვისებითა და ესპანეთის სამეფოს - ,,კათოლიციზმის ამ ბურჯის" გაძლიერებით დასრულდა. აქედანვე იწყება ევროპული ქვეყნების მიერ მსოფლიო კოლონიზაციის ერა. ახალ-ახალი კოლონიების მოპოვება კი ევროპული სახელმწიფოებისათვის შემდგომი სამხედრო, პოლიტიკური და

ეკონომიკური ძლიერების საფუძველი ხდება. ცხადია, ამ ამოცანების გადაწყვეტას ის სახელმწიფოები შეძლებდნენ, რომლებსაც დიდი და ძლიერი ფლოტი, კარგად აღჭურვილი და მომზადებული არმიები და თანამედროვე შეიარაღება ჰქონდათ.

სურ.2 დამარცხებული მავრები აბარებენ გრანადას ესპანელ მონარქებს ფერდინანდ არაგონელსა და იზაბელა კასტილიელს -1492 წ.

სწორედ ძლიერ ესპანეთის არმიაში ინერგება იმდროინდელი ევროპისათვის სამაგალითო და ინოვაციური საბრძოლო წყობები, რომლებიც ევროპის სხვა ქვეყნებისათვისაც მისაბაძი გახდა. მნიშვნელოვანი იყო ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და მათი სამხედრო საქმეში დანერგვის პროცესიც. და აქ განსაკუთრებით დენთის გამოყენება და მისი როლია გამოსაყოფი.

თავდაპირველად არაბებმა დენთი ჩინელებისა და ინდოელებისაგან გადმოიღეს რაკეტის საშუალებით ისრის ფრენის სიჩქარის გასაზრდელად. 1118 წელს სარაგოსას ალყის დროს მავრები უკვე ქვემეხს იყენებდნენ. 1280 წელს კი, კორდოვის ალყის დროს, არტილერიაც ჰქონდათ. დაახლოებით 1216 წელს ინგლისელმა ბერმა როჯერ ბეკონმა საკმაოდ ზუსტად დაადგინა დენთის შემადგენლობა, მაგრამ მისი აღმოჩენა არ გამოუყენებიათ. სამხედრო მიზნებისათვის დენთი მხოლოდ XIV საუკუნის დასაწყისში გადმოიღეს ესპანელებმა არაბებისგან. 1308 წელს ფერდინანდ IV-მ გიბრალტარის ასაღებად ქვემეხები, ზოგიერთი ალყის დროს კი ასაალებელი ჭურვებიც გამოიყენა.

სურ. 3 დენთის ფხვნილი



სურ. 4 როჯერ ბეკონი (1220-1294), ინგლისელი მოაზროვნე და სასულიერო მოღვაწე

მართალია, ბევრი სამხედრო ისტორიკოსი და მოაზროვნე პირველ რევოლუციას დენთთან აკავშირებს და ხშირად ამ რევოლუციას ,,დენთის რევოლუციასაც" უწოდებენ, მაგრამ ეს ტექნოლოგიური კომპონენტი მაინც არ იყო რევოლუციის ცალმხრივად განმსაზღვრელი ფაქტორი. აზია უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში იცნობდა და იყენებდა დენთს სამხედრო დანიშნულებით, მაგრამ ,,აზიური რევოლუცია სამხედრო საქმეში" ვერ შედგა. ომის წარმოების დასავლურმა გზამ კი, გაიმარჯვა. XVI საუკუნიდან დაწყებული, უდიდესმა აზიურმა სამხედრო მანქანამ, ოსმალთა იმპერიამ თანდათანობით დაიწყო თავისი პოზიციების დათმობა. 1529 წელს ოსმალთა ლაშქარმა, იბრაჰიმ ფაშას სარდლობით ალყაში მოაქცია ვენა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. გერმანულმა კოალიციამ დიდი ზარალი მიაყენა მოალყეებს და უკან დაახევინა თურქ ოსმალებს. ეს იყო პირველი თანამედროვე ბრძოლა, სადაც ვენის დამცველებმა ცეცხლსასროლი იარღი - არკებუზები გამოიყენეს. ვენასთან მარცხის შემდეგ ოსმალთა იმპერიის ევროპული ექსპანსიის პროცესი საბოლოოდ შეჩერდა. უფრო ადრე კი, როგორც უკვე ცნობილია ჩვენთვის, ე.წ. ,,რეკონკისტას" შედეგად არაბები იბერიის ნახევარკუნძულიდან იყვნენ განდევნილნი.

და მიუხედავად იმისა, რომ ევროპელთათვისაც დენთი არაბთა მიერ იბერიაზე ბატონობის ხანის დასაწყისიდან იყო ხელმისაწვდომი, მისი სამხედრო საქმეში გამოყენების არეალი მაინც ძალიან შეზღუდული იყო. იმდროინდელი ცეცხლსასროლი იარაღი - არკებუზი და მუშკეტი კი, საცეცხლე ძალითა და საბრძოლო გამოყენების თვალსაზრისით, მეტად მოუხერხებელი იყო. ამ პერიოდში მან სრულად ვერ ჩაანაცვლა ომის წარმოების ისეთი ტრადიციული საბრძოლო იარაღები, როგორიც შუბი და მახვილი იყო.

XIV საუკუნის ბოლოს ევროპის ყველა სახელმწიფოს შეიარაღებაში იყო არტილერია და არკებუზები. ეს იარაღი იყო ძვირი, მოუხერხებელი და მოითხოვდა დიდ დროს დატენისათვის. XV საუკუნის შუა ხანებში არბალეტი თავისი საბრძოლო თვისებებით ცეცხლსასროლ იარაღს სჯობდა, ამიტომ XIV-XV საუკუნეებში ახალი იარაღის გავლენა ტაქტიკაზე უმნიშვნელო იყო, მაგრამ საბოლოოდ დენთმა გადატრიალება გამოიწვია სამხედრო საქმის ყველა დარგში.

სურ. 5 ესპანური ქვემეხი (მე-16 ს.)

სურ. 6 ფრანგული არკებუზი (მე-16 ს.)

XV საუკუნის ბოლოს გამოიგონეს თოფები და თოფის საკეტი, რამაც ხელის იარაღის გაუმჯობესება დააჩქარა.

ამავე დროს ჩნდება ფეთქებადყუმბარიანი არტილერიაც, რომლის დამანგრეველმა საცეცხლე ძალამ ფეოდალური ხანის აქამდე მიუვალი ციხე-სიმაგრეების საიმედოობის ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

სურ. 7 იუსტუს ლიპსიუსი(1547-1606), ჰოლანდიელი ფილოსოფოსი და სამხედრო თეორეტიკოსი

სურ. 8 ჯონ მორის ნასაუელი (1604-1679), გამოჩენილი ჰოლანდიელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

სამხედრო საქმეში პირველი რევოლუციის მანიშნებელი იყო ნიდერლანდებში განხორციელებული ის სამხედრო რეფორმები და სიახლეები, რომლებიც ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. საუბარი სამხედრო საგანმანათელბლო ინსტიტუტების დაფუძნებასა და დოქტრინალური სიახლეების შემუშავებას ეხება. სწორედ ნიდერლანდები იყო ის ქვეყანა, სადაც 1616 წელს პირველი ევროპული სამხედრო აკადემია დაარსდა მორის ნასაუელისა და მისი თანამოაზრეების მიერ. დასახული შედეგების მიღწევა საბრძოლო წყობაში მუშკეტისა და შუბის ტაქტიკური კომბინაციის პირობებში, მოითხოვდა კონტროლის ახალ დონეს, ისევე, როგორც ბრძოლის გაძღოლის ახალ სტილს და მეტ წვრთნას. ამას კი სამხედრო მეთაურობის ახალი სტილი, ოფიცრებისაგან უფრო მეტი პირადი ინიციატივა და ტაქტიკური უნარების ცოდნა და გამოყენება, მათი ბრძოლის საერთო გეგმასთან შესაბამისი ადაპტაცია სჭირდებოდა.

სამხედრო განათლებისა და წვრთნის ეს მეთოდოლოგია წარმატებით იქნა დანერგილი ნიდერლანდელი თეორეტიკოსებისა და სამხედრო მოღვაწეების, იუსტუს ლიპსიუსისა და მორის ნა-

საუელის მიერ. სწორედ ამ დროს ჩნდება შუბოსნების და მუშკეტერების ჰოლანდიური ინოვაციური შერეული საბრძოლო წყობაც, რომელიც ტაქტიკურ საბრძოლო ერთეულად, ბატალიონად ყალიბ-დება.

თემაში წარმოდგენილი პრობლემების ამ სქემით შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ სამხედრო საქმეში რევოლუციების რაობაში, მათ ძირითად მახასიათებლებში, განვითარების ის-ტორიულ წანამღვრებში. თემის შესწავლა საშუალებას მოგვცემს თვისობრივად განსხვავებული ხედვა ჩამოგვიყალიბდეს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

1. **სწავლების საბოლოო მიზანი**

შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას მოცემული პერიოდის ჩვენს მიერ განხილული ბრძო-ლები და სამხედრო ხელოვნება.

შუალედური სასწავლო მიზნები

1. სამხედრო საქმეში რევოლუციების არსის გააზრება.
2. გააანალიზეთ მოცემული პერიოდის ტექნოლოგიებისა და ევროპული სამხედრო აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მათი როლი სამხედრო ხელოვნების ევროპული გზის აღმავლობაში.
3. არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი.

სწავლების დონე

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

2. **იუნკერის დავალებები:**

წაიკითხეთ:

- სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა.

დამატებით წაიკითხეთ:

ნიკოლო მაკიაველი. მთავარი. თბილისი. 1984.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. რა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობეს ,,იტალიური რენესანსის" დადგომა?
2. ნიკოლო მაკიაველი - ახალი სამხედრო აზროვნება.
3. ,,გაცილებით უსაფრთხოა ეშინოდეთ თქვენი, ვიდრე უყვარდეთ"- ვის ეკუთვნის ეს სიტყვები.
4. გუსტავ ადოლფუსი, როგორც ტაქტიკოსი (ბრეტენფელდის ბრძოლა).
5. შვედური ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა.
6. ახალი ტექნოლოგიები და ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ევოლუციური გზა.
7. რაში მდგომარეობდა ,,ტერციოს" არსი?
8. იუსტუს ლიპსიუსი და მორის ნასაუელი - ჰოლანდიური რეფორმები სამხედრო საქმეში, პირველი სამხედრო აკადემია ევროპაში.
9. ფრიდრიხ დიდი-ხაზოვანი ტაქტიკის შემდგომი სრულყოფა.

მაკიაველი: ომის ხელოვნების აღორძინება

ფელიქს გილბერტი

თუ იტალიაში განხორციელებული სხვადასხვა კამპანიებისა და აჯანყებების შედეგად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამხედრო შესაძლებლობები აღარ არსებობს, ამის ნამდვილი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ომის ძველი მეთოდები აღარ იყო ეფექტური, ხოლო ახლის პოვნა ვერავინ შეძლო. ,,ძალაუფლებაში ახლად მოსული ადამიანი მაღალ რეპუტაციას სხვა ვერაფრით მოიპოვებს, თუ არა ახალი წესებისა და ხერხების აღმოჩენის გზით"- სიტყვებით, რომლითაც მთავრდება ,,ხელმწიფის" ცნობილი ბოლო თავი - „მოწოდება იტალიის ბარბაროსებისგან განთავისუფლებისკენ" – მაკიაველიმ გამოხატა იდეა, რომელიც მის ნაშრომებში ხშირად მეორდება: ახალი სამხედრო ორგანიზაციები და ახალი პროცესები ომის წარმოებაში წარმოადგენს მისი დროის ყველაზე გადაუდებელ და უმთავრეს საჭიროებას. ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ მაკიაველიმ პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში დაიწყო ახალი, თანამედროვე ეპოქა. თუმცა მისი შეხედულება, რომ საჭირო იყო თანამედროვე იტალიური სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში ცვლილება, წარმოადგენდა მამოძრავებელ ძალას. ეს იყო უმთავრესი მიზანი, რომელიც საფუძვლად ედო პოლიტიკის შესახებ მის ყველა შეხედულებას. ალბათ, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მაკიაველი პოლიტიკური მოაზროვნე გახდა იმიტომ, რომ პირველ რიგში სამხედრო მოაზროვნე იყო. მისი მოსაზრებები იმ დროისთვის არსებული სამხედრო პრობლემების შესახებ განაპირობებდა მის ზოგად პოლიტიკურ თვალსაზრისს.

I

მაკიაველის სამხედრო აზროვნების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგანაც მისი იდეები ეფუძნება იმ ფაქტის აღიარებას, რომ არსებობს კავშირი იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც განხორციელდა სამხედრო ორგანიზაციასა და სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში განვითარებულ გარდამტეხ მოვლენებში. ჩვეულებრივი ადამიანისთვის სამხედრო მოვლენებში კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის თვალსაჩინო იყო. დენთის აღმოჩენა და ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის გამოგონება იმის მანიშნებელი იყო, რომ მოახლოვდა რაინდთა ეპოქის დასასრული და გარდაუვალი გახდა შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის რღვევა, რომელშიც რაინდები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. თავის ეპიკურ პოემაში „ორლანდო ფურიოზო" (1516 წ) არიოსტო (მაკიაველის თანამედროვე და თანამემამულე) მოგვითხრობს, რომ ნაწარმოების გმირს, ორლანდოს, რომელიც რაინდული ღირსების განსახიერებას წარმოადგენდა, მოუწია ცეცხლსასროლი იარაღით ბრძოლაში ჩართვა:

,,უეცრად იელვებს, შეარყევს დედამიწას,
სანგრები თრთიან და იმეორებენ ექოს.
იგი უმიზნოდ არასოდეს იხარჯება,
და არყევს ყველაფერს, რაც მის წინააღმდეგ წასვლას გაბედავს
და დაჰქრის ქართან ერთად."

როდესაც უძლეველმა ორლანდომ მტერს სძლია, მდიდრული ნადავლიდან შეძლო აერჩია სასურველი ნივთები:

,,... გამარჯვებული არაფერს წაიღებს ნადავლიდან,
გარდა ამ იარაღისა, რომლის ძალაც გრგვინვას ჰგავდა."

შემდეგ მან გასცურა ოკეანეში, იარაღი ზღვაში ჩაუძახა და წამოიძახა:

,,ჰოი! წყეულო იარაღო!
შეუერთდი შავ, ჯოჯოხეთურ სამყაროს!
ბოროტი ხელოვნების ნაყოფო,
კაცობრიობის…მოსასპობად შექმნილო,
რათა რაინდმა ვეღარ შეძლოს შენი გამოყენება
ან მხდალმა მეომარმა ვერ ისარგებლოს შენით ბრძოლაში,
აქ განისვენე სამუდამოდ, ამ ჯოჯოხეთში!”

მოკლედ, ცეცხლსასროლი იარაღი რომ არ გამოეგონათ ან შესაძლებელი ყოფილიყო მისი განდევნა, მსოფლიო რაინდთა სამყარო თავისი მთელი ბრწყინვალებით მარადიულად იარსებებდა.

სურ. 9 ლუდოვიკო არიოსტო (1474-1533), აღორძინების ეპოქის იტალიელი პოეტი

რაინდთა ძალის დაცემის ეს დრამატული მაგალითი რეალობას სრულად არ შეესაბამება. სამხედრო ორგანიზაციების ისტორია შეუძლებელია გამოვყოთ ზოგადი ისტორიისგან. შუა საუკუნეების სამხედრო ორგანიზაცია ამ დროის განუყოფელი ნაწილი იყო და დასუსტდა მას შემდეგ, რაც დაიშალა შუა საუკუნეების სოციალური სტრუქტურა. რაინდობა სულიერად და ეკონომიკურად შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ფენომენი იყო. საზოგადოებაში, სადაც ღმერთი ითვლებოდა იერარქიის უმაღლეს საფეხურად, ყველა საერო საქმიანობას ენიჭებოდა რელიგიური მნიშვნელობა. რაინდობის განსაკუთრებულ მიზანს ქვეყნის მოსახლეობის დაცვა წარმოადგენდა. ომში მონაწილეობისას რაინდი ღმერთს ემსახურებოდა. იგი თავის სამხედრო სამსახურს უზენაესი ბატონის განკარგულებით ასრულებდა, რომელსაც საერო საქმიანობის ზედამხედველობა ეკლესი-

ამ მიანდო. თუმცა, სულიერი და რელიგიური მხარის გარდა, ვასალსა და პატრონს შორის სამხედრო კავშირი სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებსაც მოიცავდა. რაინდს მიწასა და მამულს აძლევდა ბატონი. მიწის მიღებით რაინდი იღებდა ომის პერიოდში სამხედრო სამსახურის გაწევის ვალდებულებას. ეს იყო საქონლის გაცვლა მომსახურებაში, რაც შეეფერებოდა კიდეც შუა საუკუნეების სასოფლო-სამეურნეო და სამემამულეო სისტემას.

ომის რელიგიური კონცეფცია, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების აქტისა, სამხედრო სამსახურის ვალდებულების მხოლოდ მემამულე რაინდებისა და ვასალთა კლასზე გავრცელება და მორალურ-სამართლებრივი კოდექსი, რომელიც წარმოადგენდა ჯარის ძირითად შემაკავშირებელს – განაპირობებდა სამხედრო ორგანიზაციის ფორმებს და ომის მეთოდებს შუა საუკუნეებში. ამ პერიოდისთვის არმიის თავმოყრა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეული პრობლემა წამოიჭრებოდა. ასეთ დროს ხდებოდა ჯარის შეკრება კონკრეტული კამპანიის განსახორციელებლად, კამპანიის დასრულების შემდეგ კი ჯარი იშლებოდა. სამხედრო სამსახურის დროებითი ხასიათისა და წარჩინებულ მებრძოლთა თანასწორობის გამო რთული იყო დისციპლინის შენარჩუნება. ბრძოლა ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე რაინდებს შორის დაპირისპირებაში. იმის გამო, რომ ომი წარმოადგენდა რელიგიური და მორალური ვალდებულების შესრულებას, არსებობდა ომისა და ბრძოლების დადგენილი წესებისა და ჩამოყალიბებული კოდექსის შესაბამისად ბრძოლის წარმოების მისწრაფება.

ეს სამხედრო ორგანიზაცია წარმოადგენდა შუა საუკუნეების სოციალური სისტემის ტიპიურ შედეგს და ნებისმიერი ცვლილება სისტემის საფუძველში აუცილებლად აისახებოდა სამხედრო სფეროზეც. როდესაც ფულადი ეკონომიკის სწრაფი გაფართოების გამო შუა საუკუნეების საზოგადოების სასოფლო-სამეურნეო საფუძველი შეირყა, მისი განვითარების შედეგები მაშინვე აისახა სამხედრო ინსტიტუტებზე. სამხედრო სფეროში მათ, ვინც იყვნენ ახალი ეკონომიკური პროცესების ძირითადი მონაწილეები – ქალაქებს და შეძლებულ ბატონებს – კარგად შეეძლოთ ახალი შესაძლებლობების გამოყენება: კერძოდ, მომსახურების ნაცვლად აეღოთ ფული ან მომსახურება მიეღოთ ფულადი გასამრჯელოს და ხელფასის სანაცვლოდ. ბატონს შეეძლო ფულის აღება მათგან, ვისაც არ სურდა სამხედრო ვალდებულების შესრულება და, მეორეს მხრივ, შეეძლო ჯარში დაეტოვებინა რაინდები არასაომარ პერიოდში უფრო გრძელი ვადით, რეგულარული ანაზღაურების პირობით. ამდენად, მას შეეძლო ჩაეყარა საფუძველი მუდმივი, პროფესიული არმიისთვის და გათავისუფლებულიყო ვასალებზე დამოკიდებულებისგან. ფეოდალური არმიის პროფესიულ არმიად და ფეოდალური სახელმწიფოს ბიუროკრატიულ, აბსოლუტურ სახელმწიფოდ გარდაქმნა ძალიან ნელი პროცესი იყო და კულმინაციას მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში მიაღწია, თუმცა ფეოდალური არმიის ნამდვილი რაინდული სული სწრაფადვე გაქრა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მეთხუთმეტე საუკუნის ბალადას, რომელშიც აღწერილია ცხოვრება ბურგუნდიელი შარლ დე ბოლის ჯარში. მეთხუთმეტე საუკენეში ბურგუნდია ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეული იყო და უფრო ძველი ძალები მას აგდებით ეკიდებოდნენ. ამდენად, შარლ დე ბოლს განსაკუთრებით სურდა, მოეხდინა თავისი სახელმწიფოს ლეგიტიმიზაცია ძველი ტრადიციებისა და ჩვეულებების მკაცრად დაცვით და ფაქტიურად გაეცოცხლებინა რომანტიკული რაინდობის კულტი. ამდენად, კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რომ ამ ბალადაში ,,რაინდს, მებატონეს, სერჟანტს და ვასალს" მხოლოდ ერთი აზრი აწუხებთ, კერძოდ, ,,როდის მიიღებენ გასამრჯელოს." აქ, რაინდობის ბრწყინვალე ფასადს მიღმა ასახულია მატერიალური ინტერესების პროზაული რეალობა.

უფრო დიდი სახელმწიფოების არმიებში, როგორებიცაა საფრანგეთი, არაგონი ან ინგლისი, შერეული იყო ძველი და თანამედროვე ელემენტები, ფეოდალური ლაშქარი და პროფესიონალიზმი; თუმცა იმ დროის უდიდესი ფულადი ძალები-იტალიური ქალაქები, მთლიანად პროფესიონალ ჯარისკაცებს იყენებდნენ. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, იტალია სანატრელი ქვეყანა იყო ყველა რაინდისთვის, რომლისთვისაც ომი უმთავრესად წარმოადგენდა ფულის შოვნის საშუალებას. ჯგუფებს (ჩამპაგნიე დი ვენტურა) ამარაგდებდნენ და გასამრჯელოს უხდიდნენ თავიანთი ხელმძღვანელები-(ჩონდოტტიერი)კონდოტიერები. ისინი საკუთარ მომსახურებას სთავაზობდნენ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მზად იყო საფასური გადაეხადა.Aამდენად, იტალიაში ჯარისკაცის პროფესია ცალკე პროფესიად ჩამოყალიბდა და სრულიად გამოეყო სხვა ნებისმიერ სამოქალაქო საქმიანობას.

ფულადი ეკონომიკის ზეგავლენამ უფრო ფართო შესაძლებლობები წარმოაჩინა ჯარის შეგროვებისთვის. ახალი კლასებისთვის, რომლებსაც არ გააჩნდათ სამხედრო ტრადიციები, სამხედრო სამსახური ფულადი დაინტერესების გამო მიმზიდველი იყო, ახალი ჯარისკაცების აყვანით კი შესაძლებელი გახდა ახალი იარაღისა და ბრძოლის ახალი ფორმების დანერგვა. საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებში ასწლიანი ომის დროს გამოჩნდნენ მშვილდოსნები და ქვეითი ჯარები. ახალი სამხედრო მეთოდების ექსპერიმენტის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა იმ დამარცხებების შემდეგ, რაც შარლ დე ბოლის ჯარებმა იწვნიეს შვეიცარიისგან მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს. მორატისა და ნენსის (1476 წ) ბრძოლებში შარლ დე ბოლის რაინდები, რომლებმაც ვერ შეძლეს შვეიცარიის ქვეითი ჯარის გარღვევა და ტყეებში შეღწევა, სრულად განადგურდნენ. ეს სენსაციური მოვლენა იყო ევროპაში. ქვეითმა ჯარმა იმ პერიოდის სამხედრო ორგანიზაციაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა.

დენთის გამოგონების მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ ამ ზოგადი მოვლენების ფონზე: პირველი - ესაა ფულადი ეკონომიკის წარმოშობა; ასევე - ფეოდალი ბატონის მცდელობა, გათავისუფლებულიყო ვასალებზე დამოკიდებულებისგან და ჩამოეყალიბებინა ძალის საიმედო საფუძველი; მესამე-სამხედრო ორგანიზაციაში ექსპერიმენტების ჩატარების ტენდენცია, რაც ფეოდალური კავშირების შესუსტებამ გამოიწვია.

ეს მოვლენები არ გამოუწვევია ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის გამოგონებას, თუმცა ამან ძალზედ შეუწყო ხელი განვითარების ტემპის დაჩქარებას. პირველ რიგში, ძლიერდებოდა ბატონის პოზიციები ვასალების მიმართ. არტილერიის გამოყენება კამპანიაში რთული საქმე იყო. მძიმე ქვემეხებისა და აღჭურვილობის გადასაზიდად საჭირო იყო ბევრი საზიდარი. გაჩნდა მექანიკოსებისა და ინჟინრების საჭიროებაც. მთელი ეს პროცესი მეტისმეტად ძვირადღირებული იყო. ამ პერიოდის სამხედრო დანახარჯების ანგარიშები გვიჩვენებს, რომ არტილერიის დანახარჯები შეადგენდა მთლიანი დანახარჯების არაპროპორციულად დიდ ნაწილს. მხოლოდ ძალიან მდიდარ მმართველს ჰქონდა არტილერიის გამოყენების ფუფუნება. არტილერიის გამოყენება ძირითადად დიდ სახელმწიფოებს აძლევდა ხელს და არახელსაყრელი იყო პატარა სახელმწიფოებისთვის და მცირე, დამოუკიდებელი ტერიტორიებისთვის. შუა საუკუნეებში რაინდი მეტ-ნაკლებად დაცული იყო თავდასხმისგან ციხე-სიმაგრეში. ფორტი¬ფიკაციის ხელოვნება ამ პერიოდისთვის ძლიერად იყო განვითარებული. მცირე სახელმწიფოები თავის დასაცავად საზღვრების გაყოლებაზე ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ, რაც მათ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის შემთხვევაშიც კი თავდაცვის შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა ეს შუა საუკუნეების ფორტიფიკაციები საარტილერიო ცეცხლს ვერ უძლებდა. ამდენად, სამხედრო ბალანსი გადაიხარა თავდამსხმელის სასარგებლოდ.

ფრანჩესკო დი ჯორჯო მარტინი, მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთ უდიდესი იტალიელი არქიტექტორი, რომელიც ხელმძღვანელობდა ურბინოს ჰერცოგისთვის ციხესიმაგრის მშენებლობას, სამხედრო არქიტექტურის შესახებ თავის ნაშრომში ამბობდა: ,,ადამიანი, რომელიც შეძლებს ისეთი თავდაცვის შექმნას, რომელიც თავდასხმას გაუძლებს, ღმერთია და არა ადამიანი.”



სურ. 10 ნიკოლო მაკიაველი (1469-1527),
აღორძინების ეპოქის გამოჩენილი
იტალიელი სახელმწიფო მოღვაწე

არმიების შემადგენლობისა და სამხედრო მეთოდების ამ ცვლილებების შედეგად ასევე შეიცვალა სამხედრო ორგანიზაციის სულისკვეთება. ზნეობრივი ნორმები, ტრადიციები და ჩვეულებები, რომლებიც ფეოდალიზმის პერიოდში განვითარდა, ახლა აღარ მოქმედებდა იმ ადამიანებზე, რომელთაგანაც ჯარები იქმნებოდა. სიმდიდრითა და ნადავლის მიღებით დაინტერესებული ფათერაკის მაძიებლები და თავზეხელაღებულები, ადამიანები, რომლებსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და სურდათ ყველაფერი ომის საშუალებით მოეპოვებინათ, შეადგინდნენ ჯარების ძირითად ნაწილს. იმის გამო, რომ ომმა დაკარგა რელიგიური ვალდებულების დატვირთვა, სამხედრო სამსახურის მიზანი გახდა ფინანსური გამორჩენა. გაჩნდა ზნეობრივი პრობლემა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ცოდვა ისეთი საქმიანობა, რომლის მიზანსაც სხვა ადამიანების მოკვლა წარმო-

ადგენდა. ევროპის ყველაზე უფრო ცივილიზებულ ნაწილებში, როგორიცაა იტალია, ადამიანები სამხედროებს და სამხედრო საქმეს უპატივცემულოდUეკიდებოდნენ.

II

მაკიაველის პირადული ცხოვრების გარემოებებმა დიდწილად განაპირობეს მისი გაცნობიერება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებასა და პრობლემებში.

მაკიაველის, როგორც პუბლიცისტის კარიერა მაშინ დაიწყო, როდესაც ლორენცო დი მედიჩი ფლორენციაში დაბრუნდა (1512წ) და გააძევა იგი ფლორენციის კანცელარიიდან, სადაც ის ფლორენციის რესპუბლიკას თოთხმეტი წლის მანძილზე ემსახურებოდა. მისი ნაშრომები, როგორც მრავალ მეცნიერს, პირველ რიგში კი თავად მაკიაველის უთქვამს, ესაა გაკვეთილები, რომლებიც მან მიიღო ,,მისი დროის მოვლენების ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად". ესენია: პირადი მიმოწერა, წესები და კანონები, აგრეთვე პოლიტიკის სფეროზე მისი დაკვირვებები ფლორენციის კანცელარიაში მსახურობის პერიოდში.

სურ. 11 ფრანჩესკო დი ჯორჯო მარტინი (1439-1502), აღორძინების ეპოქის იტალიელი არქიტექტორი და ინჟინერი

რენესანსის პერიოდის იტალიურ ქალაქებში კანცელარიის მოხელეები ჩვეულებრივ იყვნენ გრძნობისაგან დაცლილი საჯარო მოხელეები. მაკიაველი მათ რიგებს არ მიეკუთვნებოდა; 1498-1512წწ-ში იგი ფლორენციის რესპუბლიკაში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. როგორც მეგობარმა ფრანჩესკო გვიჩარდინიმ მისწერა მას დამცირების წლებში, როდესაც მან თანხმობა განაცხადა მცირე, თითქმის სასაცილო მისიაზე – ,,სხვა დროს [თქვენ] მოლაპარაკებებს აწარმოებდით მეფეებთან, ჰერცოგებსა და პრინცებთან."

არსებობდა რამდენიმე მიზეზი იმისა, რის გამოც 1512 წლამდე მაკიაველიმ ითამაშა უფრო დიდი, რიგითი კანცელარიის ბიუროკრატი მოხელისგან განსხვავებული, პოლიტიკური როლი. მაკიაველების ოჯახი იყო ძველი, პატივცემული ოჯახი, რომელსაც საგვარეულოში ჰყავდა თორმეტი გუბერნატორი და სამოცდაექვსი მაღალი თანამდებობის პირი. ნიკოლო მაკიაველი ამ ოჯახის არაკანონიერი შტოს წარმომადგენელი იყო და ვერ იქნებოდა მმართველი საბჭოების წევრი ან ჩინოვნიკი, თუმცა თავისი გვარისა და ნათესავ ნიკოლო დი ალესანდრო მაკიაველისთან (მოწინავე პოლიტიკოსთან) მეგობრობის გამო, იგი გამოირჩეოდა კანცელარიის სხვა თანამდებობის პირებისგან.

თუმცა, მაკიაველის გამორჩეულობის ძირითადი მიზეზი იყო მისი მჭიდრო ურთიერთობა გუბერნატორ პიერო სოდერინისთან. გუბერნატორის სამსახური ჩამოყალიბდა 1502 წელს ფლორენციელი პატრიციების ჯგუფის მიერ, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ იგი შეზღუდავდა და შეამცირებდა დიდი საბჭოს გავლენას, სადაც საშუალო ფენები დომინირებდნენ. მაგრამ სოდერინიმ იმედი გაუცრუა პატრიციებს, რადგან იგი მიიჩნევდა საკუთარ არჩევას, როგორც მანდატს, შეენარჩუნებინა და გაემყარებინა სახალხო რეჟიმი. სოდერინი კეთილგანწყობით ეპყრობოდა მაკიაველის და ასრულებინებდა სხვადასხვა სახელმწიფო ამოცანებსა და მისიებს, იცოდა რა, რომ არისტოკრატ

ოპონენტებთან ბრძოლაში კარგი იყო ისეთი კაცის სამსახური, რომელიც სრულად მასზე იყო დამოკიდებული.

სურ. 12 ფლორენციის გერბი

ამას გარდა, მაკიაველი იყო შესანიშნავი პიროვნება. ეს იყო უმთავრესი ფაქტორი, რამაც განაპირობა, რომ მისი საქმიანობა და მოვალეობები აღემატებოდა საშუალო საჯარო მოხელის მოვალეობებს. ჩვენამდე მაკიაველის პორტრეტს არ მოუღწევია. მისი სურათები და ბიუსტები, რომლებშიც მაკიაველის სახეს მელიისმაგვარი მოხერხებულობა და ბუნდოვანი ღიმილი გადაჰკრავს, მეთექვსმეტე საუკუნის შემდგომ პერიოდში შეიქმნა, როდესაც მაკიაველი გახდა რაციონალური უზნეობისა და სიბოროტის განსახიერება. თუმცაღა მაკიაველი არ წარმოადგენდა მხოლოდ რაციონალურობისა და გონიერების ხორცშესხმას. მას შეეძლო ყოფილიყო ემოციური და სრულიად დაევიწყებინა სიფრთხილე. მას უყვარდა საკუთარ თავსა და სხვებზე ხუმრობა. მაკიაველისა და წამყვან ფლორენციელ სახელმწიფო მოღვაწეებს (გვიჩარდინი, ფილიპო სტორცი, ფრანჩესკო ვეტორი) ძირითადად აკავშირებდათ საერთო ინტერესები იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენების მიმართ. ამის გამო ფლორენციელებს მოეწონათ თანამედროვე სიტუაციის მაკიაველისეული ანალიზი, თუმცა მაკიაველი მათ სხვა მრავალ სამსახურსაც უწევდა: მას შეეძლო მგზნებარედ შეეთავაზებინა ხელი მეგობრის ქალიშვილებისთვის ან მდიდრული სადილი გაემართა ფილიპო სტორცისთვის. იგი ინარჩუნებდა დამოკიდებული გარეშე პირის პოზიციას, ხოლო პოლიტიკის სამყაროს წვდომით თავს მათ თანასწორად და მათზე აღმატებულადაც კი მიიჩნევდა, ვისაც გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება ჰქონდათ. მაკიაველი ღრმად იყო ჩახედული პოლიტიკაში, მაგრამ მაინც შორს ეჭირა მისგან თავი. მის არცერთ თანამედროვეს არ ჰქონდა მაკიაველის მსგავსი თვალსაზრისი, რომელშიც შერწყმული იყო გამჭრიახობა და მომავლის ხედვა, რომელიც მუდმივად განიხილავდა არსებულ რეალობას, სასურველ და საჭირო სიტუაციას. მაკიაველიმ იცოდა, თუ რა უხერხულობას იწვევდა მისი ბუნდოვანი პოზიცია. „მანდრაგოლას" პროლოგში იგი ავტორის შესახებ ამბობს: „იგი ამბობს, რომ მთელ იტალიურ სამყაროში მასზე უკეთესი არავინაა, თუმცა ქედს მოიხრის იმ კაცის წინაშე, რომელსაც მასზე უკეთ აცვია.

მაკიაველის ერთ-ერთ მოვალეობას კანცელარიაში მსახურობისას წარმოადგენდა სამსახურის მდივნობა. ეს იყო სამთავრობო კომიტეტი, რომელსაც ებარა ომისა და სამხედრო საკითხები. ამდენად, მაკიაველი უშუალოდ ჩაერთო ფლორენციის ბრძოლაში პიზას წინააღმდეგ, ხოლო მომდევნო ათი წლის განმავლობაში იგი მუდმივად პიზას წინააღმდეგ ომის საკითხებით იყო დაკავებული. ეს გრძელდებოდა 1509 წლამდე, როცა პიზა საბოლოოდ ჩაბარდა. ფლორენციის ფარგლებს გარეთ თავის პირველ სახელმწიფო მისიაზე ყოფნისას მან მოლაპარაკება აწარმოა კონდოტიერებთან ხელფასთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაც, ფლორენციის მთავრობის აზრით, გადაჭარბებული იყო. შემდგომ მაკიაველი ჩაერთო პაოლო ვიტელის საქმის განხილვაში. ეს უკანასკნელი გახლდათ ფლორენციის მიერ დაქირავებული ერთ-ერთი კონდოტიერი. ვიტელის ჯარებმა აიღეს პიზას დამცავი ერთ-ერთი სიმაგრე. მათ შეეძლოთ ქალაქში შესვლა, თუმცა ვიტელიმ მაშინვე არ გასცა ქალაქისკენ დაძვრის ბრძანება და ამდენად, ხელიდან გაუშვა სერიოზული შესაძლებლობა ქალაქის აღე-

ბისა. ვიტელის გადაჭარბებულმა სიფრთხილემ ღალატის ეჭვი დაბადა. იგი გადააყენეს თანამდებობიდან, ჩაიყვანეს ფლორენციაში, დააპატიმრეს და თავი მოჰკვეთეს. ამ საკითხზე მიმოწერა ძირითადად მაკიაველის ებარა. ეჭვები, რომლებიც ვიტელის შემთხვევის მაგალითზე მაკიაველის აღეძრა კონდოტიერის სამსახურის სარგებლობასთან დაკავშირებით, უდავოდ გამყარდა, როდესაც პიზას წინააღმდეგ კამპანიისას ფლორენციის ბანაკში მისიაზე მყოფმა იხილა ლანდსკნეხტებისა და გასკონელების ქცევა. ეს უკანასკნელნი საფრანგეთის მეფემ (ფლორენციის მოკავშირემ) გაგზავნა პიზაში ფლორენციის მმართველობის აღსადგენად. მათ უარი განაცხადეს ქალაქის ასაღებად დაძრულიყვნენ, გამოთქვეს უკმაყოფილება ანაზღაურებასა და საკვებთან დაკავშირებით, ამბოხდნენ და გაუჩინარდნენ ბანაკიდან.

სურ. 13 ფლორენცია, იტალიის ერთ-ერთი
პროვინციის - ტოსკანის დედაქალაქი

მაკიაველიმ ყველაზე ცნობილი და ყველაზე მნიშვნელოვანი ოფიციალური მისია 1502 წლის ბოლოს ჩეზარე ბორჯიასთან შეასრულა. იგი სინილიაში იყო, როდესაც ჩეზარე ბორჯიამ დაიყოლია მტრულად განწყობილი კონდოტიერები შეხვედრაზე, ხოლო შემდეგ თავის ჯარისკაცებს მათი მოკვლა უბრძანა. ჩეზარეს მიერ დაგებულ ხაფანგში კონდოტიერების უგუნურად გაბმამ კიდევ უფრო გაამყარა მაკიაველის ზიზღი დაქირავებული ჯარისკაცების სისტემის მიმართ. იგი განსაკუთრებით აღაშფოთა მათმა წინდაუხედაობამ, გაუმაძღრობამ, ხოლო ჩეზარე ბორჯიაში მაკიაველიმ დაინახა დიდი მეთაურის ყველა თვისება: ამბიცია, დაჟინება, დეტალური დაგეგმვის უნარი, გასაიდუმლოება, გადამწყვეტი, სხარტი მოქმედება, საჭიროების შემთხვევაში – შეუბრალებლობა. მაკიაველის წარმოდგენა ჩეზარეს შესახებ წლების განმავლობაში შეიცვალა, თუმცა სინილიაში ნანახმა ფაქტმა გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია იმის აღიარებაზე, რომ საჭიროა ახალი ტიპის სამხედრო მმართველობა.

მაკიაველის უმნიშვნელოვანესი მოსაზრება სამხედრო საკითხებზე წარმოდგენილია 1505 წლის დეკემბრის კანონში, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ფლორენციის სახალხო ლაშ-

ქარი. ეს კანონი მაკიაველიმ შეადგინა და მის შესავალშივე იკითხებოდა მაკიაველის საყვარელი იდეები: რესპუბლიკის საფუძველი „სამართლიანობა და იარაღი", დიდი გამოცდილება და დიდი ფინანსური დანახარჯებია, განვლილმა საფრთხეებმა კი დაგვანახა დაქირავებული არმიის სარგებლობის სათუოობა. კანონის შესაბამისად, რომელსაც ბრძანებულებას (Ординанზა) უწოდებდნენ, უნდა შექმნილიყო 10 000 კაციანი სახალხო ლაშქარი; ჯარისკაცებს შეარჩევდა სამთავრობო კომიტეტი თვრამეტიდან ორმოცდაათ წლამდე მამაკაცებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ტოსკანას სოფლებში. ტოსკანა ამ პერიოდისთვის ფლორენციის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. სახალხო ლაშქარი უნდა დაყოფილიყო ასეულებად. თითოეულ ასეულში უნდა ყოფილიყო სამასი მეომარი. ჯარისკაცებს უნდა გაევლოთ სამწყობრო სწავლება – გერმანიის ლანდსკნეხტთა მსგავსად. სამხედრო სამსახურში გაწვევა მხოლოდ სოფლის მოსახლეობაზე ვრცელდებოდა, რადგანაც ფლორენციის ქალაქების მოსახლეობის შეიარაღება კიდევ უფრო გააადვილებდა ამ ქალაქებში აჯანყების მოწყობას. მაკიაველის არ ჰქონდა მოლოდინი, რომ შეიძლებოდა ფლორენციის მოქალაქეების დარწმუნება სამხედრო სამსახურის რაიმე ტვირთის აღებაზე, თუმცაღა იმედოვნებდა, რომ მომავალში ეს დროც დადგებოდა. მაკიაველი ამ ბრძანებულებას მხოლოდ საწყისად მიიჩნევდა. მისი მცდელობა, ქვეითი ჯარისკაცების კონტინგენტისთვის დაემატებინა ცხენოსნები, უშედეგოდ დამთავრდა. მაკიაველის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ისეთი ლაშქრის შექმნა, რომელშიც შედიოდნენ ჯარისკაცები ქალაქ ფლორენციიდან, ფლორენციის ქალაქებიდან და სოფლებიდან ერთიანი სარდლობის ქვეშ.

კონდოტიერებისა და დაქირავებული ჯარისკაცების არასაიმედოობა მხოლოდ ერთი მიზეზი იყო, რის გამოც მაკიაველის გაუჩნდა სავალდებულო, გაწვეული ჯარისკაცებისგან შედგენილი არმიის შექმნის მხურვალე სურვილი. იგი იმედოვნებდა, რომ ეს მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანდა ფლორენციის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, გაჩნდებოდა უფრო მეტი დამოუკიდებლობა საგარეო საქმეებში და მოხდებოდა საშინაო საკითხების სტაბილიზაცია. მაკიაველი დიპლომატიური მისიის შესრულებისას დარწმუნდა, რომ დაქირავებულ ჯარებზე ან უცხო ქვეყნების ჯარებზე დაყრდნობის შედეგად იზღუდებოდა მოქმედების თავისუფლება და იქმნებოდა სხვა ძალებზე დამოკიდებულება. მას მოუწია იტალიის სხვა მმართველებისთვის მიემართა თხოვნით, მიეცათ ფლორენციისთვის მათი კონდოტიერებისა და დაქირავებული ჯარისკაცების გამოყენების საშუალება; საფრანგეთში მისიის შესრულებისას მისი ამოცანა იყო საფრანგეთის მეფისთვის ეთხოვა, რათა ამ უკანასკნელს გაეგზავნა საფრანგეთის ჯარი აჯანყებულ ტერიტორიებზე ფლორენციის მმართველობის აღდგენაში დასახმარებლად. სამხედრო სისუსტით გამოწვეული საშიშროება განსაკუთრებით მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ათწლეულებში გამოიკვეთა. 1494 წელს საფრანგეთის შემოსევის შედეგად იტალიის ქალაქებში ძალაუფ¬ლების გაუქმებამ, შემდგომ ჩეზარე ბორჯიას აღმასვლამ, რომელსაც მხარს უჭერდნენ პაპი და საფრანგეთის მეფე, განაპირობა არასტაბილური და ცვალებადი სიტუაცია, რომელშიც ყოველ უფრო დიდ ძალას სჯეროდა, რომ მას შეეძლო გაფართოება და უფრო სუსტი მეზობლების შთანთქმა ძალის გამოყენებით. მაკიაველის პირველ პოლიტიკურ მემორანდუმში, რომელიც დაიწერა მალევე მას შემდეგ, რაც იგი კანცელარიის წევრი გახდა, ¸ის აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მიზნის მისაღწევად მხოლოს ორი გზა ჰქონდა: ძა-ლა და დიპლომატია, რადგან მხოლოდ მოლაპარაკებები და შეთანხმებები ვერასოდეს უზრუნველყოფდნენ სასურველი მიზნების მიღწევას, შესაბამისად, სახელმწიფოები უნდა ეყრდობოდნენ ძალასაც.

მეტიც, მან კარგად უწყოდა, რომ კონდოტიერის დაქირავება, მისი ხელფასისა და ჯარის რიცხოვნობის განსაზღვრა კონკრეტული სამხედრო ოპერაციისთვის ზრდიდა შიდა დაძაბულობას. საჭირო თანხების მობილიზება ძირითადად სესხებისა და შედარებით შეძლებულ მოქალაქეებზე დაკისრებული გადასახადების ამოღებით ხორციელდებოდა; შესაბამისად, ზედა კლასები ცდილობდნენ ამ ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას. გონფალონიერისადმი მიწერილ მემორანდუმში მაკიაველიმ სასტიკად გააკრიტიკა შეძლებული მოქალაქეები, რომლებიც ყოველთვის სირთულეებს ქმნიდნენ, როდესაც მათგან მსხვერპლის გაღება იყო საჭირო. ბრძანებულების სამუშაო ვარიანტში მაკიაველიმ დიდი ყურადღება დაუთმო ამ კანონის ფინანსურ მხარეს. იგი მსჯელობდა ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა რეგულარულ გადახდებს. იმის გამო, რომ სამხედრო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები სამხედრო წვრთნებზე თვეში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ და ისიც რამოდენიმე საათით უნდა შეკრებილიყვნენ, სხვა შემთხვევაში კი ანაზღაურებას მიიღებდნენ მხოლოდ საომარ პერიოდში, სახლიდან მოშორებით ყოფნისას, ბრძანებულებაში გაწერილი დანახარჯები პროგნოზირებადი იყო და შესაძლებელი იყო მათი დაფარვა რეგულარული გადასახადებიდან. შედეგად კი შესუსტდებოდა მდიდარი ელიტის ზეგავლენა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი გუბერნატორ სოდერინის მიმართ და აქცენტი საგარეო პოლიტიკაზე გაკეთდებოდა. თავიდან ფლორენციელები, მათ შორის, მაკიაველიც, ჯარში გაწვევის ვალდებულებას მხოლოდ გლეხობაზე ავრცელებდნენ. ეს ფენა ქალაქებისგან დაჩაგრული იყო, დახმარებისთვის ფლორენციას შეჰყურებდა და ერთგულად იყო განწყობილი. სახალხო ლაშქარი მონდომებით, თუნდაც ენთუზიაზმით მხოლოდ იმ შემთხვევაში იბრძოლებდა, თუ სახელმწიფო მათ კარგად მოეპყრობოდა, ეს მაკიაველისთვის აშკარა იყო. მაკიაველი მოელოდა (ყოველ შემთხვევაში, იმედოვნებდა მაინც), რომ მას შემდეგ, რაც სახალხო ლაშქარი გაუძლებდა პირველ გამოცდებს, გაწვეული ჯარისკაცებისგან შემდგარი არმიის უპირატესობა აშკარა გახდებოდა და ბრძანებულების ქალაქ ქფლორენციის მოქალაქეებზე გავრცელების წინააღმდეგობის გადალახვა შესაძლებელი გახდებოდა. მას შემდეგ, რაც იარაღს ხალხი აიღებდა ხელში, მდიდარი ზედა კლასების გავლენა შესუსტდებოდა და გამყარდებოდა სახალხო რეჟიმი.

მაკიაველი ქმედითი ინტერესით მიუდგა სახალხო ლაშქრის ჩამოყალიბებას. ზოგიერთ რაიონში მან თავად შეარჩია ჯარისკაცები და ზედამხედველობა გაუწია მათ სამწყობრო მომზადებას. მან მოაწყო სამხედრო აღლუმი ფლორენციაში, პიაცა დელა სინორაში. მაკიაველი ფაქტიურად სარდლობდა ლაშქრის სხვადასხვა ასეულს, როდესაც ისინი პიზას წინააღმდეგ ალყის ბოლო ეტაპებში მონაწილეობდნენ. ქალაქის დანებებამ იგი დაარწმუნა საკუთარი სამხედრო მოსაზრებების სისწორეში. მედიჩის დაბრუნებამაც კი (პრატოსთან სახალხო ლაშქრის სასტიკი დამარცხების შემდეგ) ვერ შეარყია მისი ეს რწმენა.

მაკიაველიმ „ფლორენციის ისტორიაში" განსაკუთრებული მონდომებით აღწერა ბრძოლები, რომლებიც ჩაატარეს კონდოტიერებმა იტალიის მიწაზე მეთხუთმეტე საუკუნეში. 1423 წელს გამარჯვება ზაგონარას ბრძოლაში (რომელშიც არავინ მოუკლავთ, გარდა ლუდოვიკო ობიცისა და ისიც, მის ორ მებრძოლთან ერთად, ცხენიდან ჩამოაგდეს და ტალახში დაიხრჩო) ,,მთელი იტალიის მასშტაბით გახდა ცნობილი." ანგიარის ბრძოლაში, „რომელიც გაგრძელდა 20-დან 24 საათამდე, მხოლოდ ერთი მებრძოლი მოკლეს, ოღონდ კი არ დაჭრილა, არამედ ცხენიდან ჩამოვარდა და ცხენმა გათელა." იტალიის კონდოტიერების ეს დამცინავი სურათი აშკარად უსამართლოა. ზოგი მათგანი პროფესიონალი ჯარისკაცი, მამაცი, ღირსეული და კარგი რეპუტაციის მქონე იყო. მაგრამ მაკიაველის მიზანს არ წარმოადგენდა ისტორიული სიმართლის ან ობიექტურობის ასახვა. მისი თა-

ნამდებობაზე ყოფნის პერიოდში სამი ბრძოლა გაიმართა, რომლის გამოც მთელ იტალიას დაეუფლა გაოცება და შიში: სერინიოლი, სადაც გონსალვო დი კონრბოდას საუცხოოდ გაწვრთნილმა ესპანელებმა დაამარცხეს ფრანგები და განდევნეს ნეაპოლიდან; ფრანგების გამარჯვება ანიადელოში, სადაც ვენეციელებს თავიანთი კონდოტიერების შეხლა-შემოხლა ძვირად დაუჯდათ და რავენა, სადაც გასტონ დე ფოისის ბობოქარმა თავდასხმამ საფრანგეთს გამარჯვება მოუტანა ესპანელებზე და პაპის ლაშქარზე (და რომელიც ითვლება საუკუნის ყველაზე სისხლიან ბრძოლად). მაკიაველიმ დაანახა თანამედროვეებს, რომელთათვისაც ეს ბრძოლები დიდი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, რომ დაწყებული იყო ომის ახალი ეპოქა.

III

„ხელმწიფეში" მაკიაველი ახალ მმართველს, რომელიც შემოიტანდა ახალ საბრძოლო კანონებს, დიდებას ჰპირდება. მკითხველში ეჭვს არ ბადებს ის გარემოება, რომ მაკიაველი იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა ამ ახალი წესების რაობა. და ასევე აშკარა იყო, რომ მის წიგნში „ომის ხელოვნება" წარმოდგენილი იქნებოდა ახალი რევოლუციური დოქტრინა. თუმცა მკითხველი გაკვირვებული, შესაძლოა იმედგაცრუებულიც კი დარჩება, რადგან ეს ახალი დოქტრინა ამ წიგნში წარმოდგენილია როგორც „ახალი," თანამედროვე თეორიისგან განსხვავებული. საქმე სიტყვის „ახალი" დატვირთვაში მდგომარეობს. ჩვენი მიგვაჩნია, რომ მომავალი უნდა იყოს უკეთესი, ვიდრე წარსული და აწმყო, ანუ „ახალი" წარმოგვიდგენია, როგორც „ძველის" საპირისპირო. მაგრამ ვიდრე ევროპელთა წარმოსახვას პროგრესის იდეა დაიპყრობდა, ხალხმა იხილა წარსულისკენ სვლა არსებული მაღალი წერტილიდან.

მაკიაველი იყო ჰუმანიტარულად განათლებული ადამიანი. იგი განსაკუთრებით რომის მაგალითით რწმუნდებოდა, რომ შესაძლებელი იყო ქალაქ-რესპუბლიკის მსოფლიო ძალაუფ-ლების აღდგენა და ამდენად, მისთვის წარმოადგენდა რესპუბლიკის იდეალის ხორცშესხმას. ამის დადასტურება იყო მემორანდუმი, რომელიც მან, როგორც მდივანმა მისწერა გუბერნატორს პასუხად კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ფლორენციის წინააღმდეგ აჯანყებულ არეცოს მოსახლეობას ფლორენციის მმართველობის აღდგენის შემდგომ. მემორანდუმი იწყებოდა იმის ახსნით, თუ რა გააკეთა ლუჩიო ფურიო კამილომ მას შემდეგ, რაც ლატიუმის მოსახლეობა აჯანყდა (მთელი ქალაქი გაანადგურა).

ამდენად, ომის ახალი კანონები, რომელთა შემოღებაც მაკიაველის სურდა იტალიაში, ეს იყო რომის სამხედრო წესრიგის ძველი კანონები. მეტწილად, ომის წარმოების მისი სწორი პრინციპები წარმოადგენს მცდელობას, ძველი წყაროების საფუძველზე წარმოაჩინოს, თუ როგორ აწარმოებდნენ ომს რომაელები. თუმცა, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მაკიაველის მიზანი არ იყო ფაქტების ისტორიული სიზუსტით აღდგენა. მას სურდა დაედგინა კანონები და პრინციპები, რომლებსაც რომაელთა სამხედრო ისტორიის ფაქტები ემყარებოდნენ და წარმოეჩინა მათი ვარგისიანობა თანამედროვეობაში. მაკიაველის ეს იდეა არის აშკარა უტოპია. მან იმ სურათის წარმოსაჩენად, რომელიც გონებაში ჰქონდა, გამოიყენა ფაქტები, თუმცა, დაჟინებული მცდელობით, აღმოეჩინა ზოგადი წესი კონკრეტული მოვლენის ან კონკრეტული ქმედების ფონზე.

მაკიაველის პოლიტიკური ნაშრომებიდან მის სიცოცხლეში მხოლოდ ,,ომის ხელოვნება" გამოქვეყნდა. შესაძლოა მაკიაველიმ ეს წიგნი დაწერა იმ დროის საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ის პასუხობს იმ დროის ლიტერატურულ და სამეცნიერო მოთხოვნებს. მისი იდეები წარმოდგენილია დიალოგის ფორმით ფლორენციელი პატრიცისა(წარჩინებულის) და კონდოტიე-

რის ფაბრიციო კოლონიას შორის. რომაული არმიის ორგანიზაცია და ბრძოლის რომაული მეთოდები აღწერილია ანტიკური წყაროების საფუძველზე, განსაკუთრებით ხშირად ვეგეციუსი, ფრონტონიუსი და პოლიბიოსი გვხვდებიან, რომელთა ნაშრომებიდან ზოგჯერ ვრცელი ნაწყვეტების თარგმანია მოყვანილი. მაკიაველის ან უფრო სწორად, ფაბრიციო კოლონიას მიხედვით, რომელიც დიალოგებში მთავარი მოლაპარაკეა, რომაული ჯარი – ეს იყო დიდი სიფრთხილით შერჩეული სახალხო ლაშქარი, რომლის მეომრებსაც სოფლის თემების მაცხოვრებლები წარმოადგენდნენ. რომაული ჯარი საშუალო ზომის იყო და მის ძირითად ბირთვს ქვეითი ჯარისკაცები შეადგნდნენ; კავალერია ბრძოლაში მეტად მცირე როლს ასრულებდა, თუმცა დაზვერვასა და მტრისთვის მარაგის მიწოდებისთვის ხელის შესაშლელად სასარგებლო იყო. მაკიაველის აქცენტი ქვეით ჯარზე, როგორც რომაული ჯარის ბირთვზე, გულისხმობს კონდოტიერების კრიტიკასა და უარყოფას, რომელთა ჯარების ბირთვს მძიმე კავალერია წარმოადგენდა. მეტიც, იმის გამო, რომ ბრძანებულება იტალიის ქალაქებს სახალხო ლაშქრის შეკრების უფლებას აძლევდა, შესაძლებელი გახდა რომაული მაგალითის იმიტაცია. რომაული სამხედრო სისტემის აღდგენის ეს შესაძლებლობა ასაბუთებდა მაკიაველის მიერ რომაული არმიის პრაქტიკის დეტალურ აღწერას. მან აღწერა სხვადასხვა ქვედანაყოფები, რომლებიც არმიის ნაწილებს წარმოადგენენ, იერარქიული სისტემა, არმიის მოყვანა საბრძოლო წესრიგში და მისი ოპერაციები ბრძოლის დროს, ბანაკის ადგილების შერჩევა და გამაგრებულ ადგილებზე თავდასხმა და თავდაცვა. მაკიაველი აშკარა მონდომებითა და სიზუსტით აღწერდა რომაელების მსვლელობას, რასაც შესაძლოა გამოეწვია მეთექვსმეტე საუკუნის მკითხველის დაინტერესება ამ დეტალებით. დღევანდელი სტუდენტისთვის, რომელიც მაკიაველის სწავლობს, „ომის ხელოვნება" არ არის მისი ყველაზე საინტერესო ნაშრომი.

მაკიაველი არ შეიძლებოდა სრულად შემოფარგლულიყო რომაული სამხედრო სისტემის დახასიათებით, რადგანაც მას უნდა ესაუბრა იმ მოსაზრებაზე, რომ რომაული მოდელი მისი დროის შესაბამისი არ იყო:Mარტილერიის გამოგონება, რის შედეგადაც ომში შემოვიდა ელემენტი, რომელიც თითქოს მოძველებულად აქცევდა რომაულ მეთოდებს. ფაბრიციოს პასუხი ამ მოსაზრებაზე არის მოკლე, რადგანაც, მისი განმარტებით, ეს საკითხი სხვაგან ვრცლად იყო განხილული – მითითება მაკიაველის „მსჯელობის" მეორე ტომის მეჩვიდმეტე თავზე.

ფაბრიციოს მთავარ არგუმენტად მოჰყავდა ის ფაქტი, რომ არტილერია არ არის ზუსტი და მიზანში ნასროლიც ხშირად ან ძალიან მაღალია ან ძალიან დაბალი. მეტიც, არტილერიის გადატანა ნელი და რთული პროცესია. ბრძოლაში, ალბათ, ადვილია არტილერიის იერიშით აღება. ბრძოლის ბედი წყდება ხელჩართულ შეტაკებაში. დაბოლოს, არტილერია უფრო მეტად გამოსადეგია თავდამსხმელისთვის, ვიდრე თავდამცველისთვის, განსაკუთრებით ქალაქის ალყის დროს, და იმდენად, რამდენადაც რომაული არმიის ძლიერება მდგომარეობდა თავდასხმის შესაძლებლობაში, შესაძლებელი იყო არტილერიის გამოყენება ომის წარმოების რომაული მეთოდების გასაძლიერებლად. იგი მათ საჭიროებას არ აუქმებს.

მაგრამ განხილვა ან უფრო სწორად, დენთის გამოგონების რევოლუციური მნიშვნე-ლობის უარყოფა არ ნიშნავს, რომ თანამედროვეობამ მაკიაველის მოსაზრებები იდეალური რომის შესახებ საერთოდ არ უნდა გაიზიაროს. მაკიაველი აცხადებს, რომ ომის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მტერთან ბრძოლის ველზე შეხვედრა და მისი იქ დამარცხება; ეს არის „ომის წარმატებით დასრულების" ერთადერთი გზა.

მაკიაველის „ომის ხელოვნება" იყოფა შვიდ ტომად; მესამე წიგნში, რომელიც ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი წარმოდგენითი ბრძოლის დესტ-

რუქციული ძალის აღწერას. ამასთან, წარმოდგენითი ბრძოლა ჩასმულია თანამედროვეობაში და გადმოცემულია თვითმხილველთა თვალსაზრისით. „არ გესმით ჩვენი არტილერიის ხმა?. .....ეხედეთ, როგორი ღირსებით იბრძვიან ჩვენი ჯარისკაცები.....აი, ჩვენი გენერალი ამხნევებს თავის მებრძოლებს და არწმუნებს, რომ გაიმარჯვებენ..... ნახეთ, როგორ ანადგურებენ მტერს ჩვენი მებრძოლები... ნახეთ, როგორი ღირსებით, თავდაჯერებულობითა და გულგრილობით ხოცავენ მტერს. რა ჟლეტაა! რამდენი დაჭრილია! ისინი გარბიან... ბრძოლა დასრულდა. ჩვენ დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ." თუმცა „ომის ხელოვნების" დარჩენილი ნაწილი შეეხება საომარი ორგანიზების ტექნიკურ ასპექტებს (იარაღი, მარშის წყობა, იერარქიული სისტემა, ფორტიფიკაცია). ყურადღება გამახვილებულია ადამიანურ თვისებებზე, რომლებიც ომშია საჭირო (სიმამაცე, მორჩილება, ენთუზიაზმი და სისასტიკე).

წიგნის შესავალში ავტორი წერს, რომ ძველი დროის მმართველები საჭიროდ მიიჩნევდნენ ადამიანების, განსაკუთრებით კი საკუთარი ჯარისკაცების შთაგონებას, რათა ისინი აევსოთ ერთგულებით, მშვიდობის სიყვარულითა და ღვთის შიშით. „ვინ უნდა იოცნებოს მშვიდობაზე, თუ არა ჯარისკაცებმა, რომელთა სიცოხლეც ომის დროს საფრთხის წინაშე დგება?" „ხელმწიფის" და „მსჯელობის" მკითხველები დაეჭვდებიან იმაში, გამოხატავენ თუ არა ეს სიტყვები მაკიაველის ნამდვილ გრძნობებს. „ხელმწიფე" და „მსჯელობა"- ესაა წიგნები პოლიტიკური წესებისა და ქცევის შესახებ და არა სამხედრო ორგანიზაციისა და ომის შესახებ, მაგრამ თუ გვსურს გავარკვიოთ მაკიაველის აზრები ომის შესახებ, უნდა შევისწავლოთ ისინი. აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მშვიდობა სასურველია. „ხელმწიფესა" და „მსჯელობაში" ომი წარმოდგენილია, როგორც გარდაუვალი, უზარმაზარი და შემაძრწუნებელი ძალა. ამ ნაშრომებში ასახულია მსოფლიოს მუდმივი დინება. მაკიაველი არ იზიარებს იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებულ რწმენას, რომ ადამიანი სრულად ბედისწერის ხელშია, თუმცა აღიარებს ბედისწერის ძალას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები და სახელმწიფოები მაქსიმალურად გაძლიერდებიან და მომძლავრდებიან, შეძლებენ აღარ იყვნენ უმწეო სათამაშო ბედისწერის ხელში. ამდენად, ბუნებრივია სახელმწიფოებისა და მათი მმართველების სწრაფვა გაფართოებისა და დაპყრობისკენ. ომი - ესაა პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე არსებითი მოვლენა.

მუდმივი ბრძოლები და გაურკვევლობა განაპირობებს ომის ხასიათს და მეთოდებს. უსაფრთხო გზა არ არსებობს. აუცილებელია რისკზე წასვლა. ომები უნდა დასრულდეს რაც შეიძლება მალე, განსაზღვრული შედეგის მიღწევით – ესაა მტრის სრული დამარცხება. ომი უნდა იყოს „ხანმოკლე და სასტიკი." თუმცა სწრაფი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ბრძოლაში შეიძლება. იმდენად, რამდენადაც ყველაფერი დამოკიდებულია ბრძოლის შედეგზე, გამარჯვებისთვის უნდა გაკეთოთ ყველაფერი; უნდა გამოიყენოთ სრული ძალა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მტერს თქვენზე ნაკლები ძალა აქვს. ბრძოლით გადაწყვეტა წარმოადგენს ყველა საომარი კამპანიის მიზანს; იგი, თავის მხრივ, უნდა იყოს დაგეგმილი და კოორდინირებული ოპერაცია. ამდენად, სარდლობა ერთ ადამიანს უნდა ებაროს. თუ ეს სახელმწიფო მონარქიაა, მმართველი თავად უნდა იყოს მთავარსარდალი. მაგრამ რესპუბლიკებმა ასევე უნდა ანდონ საკუთარი არმია ომიანობისას ერთ სარდალს, რომელიც ისარგებლებს შეუზღუდავი ძალაუფლებით. ასე მოიქცნენ რომაელები, რომლებმაც კამპანიის ყველა დეტალი „კონსულს ჩააბარეს."

მაკიაველი სრულად აღიარებდა იმას, რომ „ხანმოკლე და სასტიკი" ომის საწარმოებლად საჭირო იყო ჯარისკაცთა მგზნებარება. მაკიაველისთვის ომისთვის დამახასიათებელ სისასტიკეს თავისი გაურკვეველი შედეგები მოჰქონდა. მას ახლდა საფრთხეები, მაგრამ შესაძლებლობებიც. საფ-

რთხეები იყო ის, რომ ჯარისკაცთა დიდი მასები, როდესაც ბრძოლა შედიოდა არეულ და გააფრთების ფაზაში, აღარ დაემორჩილებოდნენ მეთაურობას, არამედ იფიქრებდნენ მხოლოდ თავის გადარჩენაზე. მათ შესაძლოა დაეწყოთ დარბევა პირადი გამორჩენის იმედით. ამ შემთხვევაში არმია დაიშლებოდა. „ხელმწიფესა" და „მსჯელობაში" ისევ და ისევ იკვეთება დისციპლინისა და წვრთნის მნიშვნელობა. სამხედრო წარმატება დამოკიდებულია წესრიგსა და დისციპლინაზე. მხოლოდ მამაცობა არ არის საკმარისი. მაკიაველი მოწონებით აღნიშნავდა, რომ გერმანიის ქალაქებში „სამხედრო წვრთნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და დადგენილი აქვთ მათი ჩატარების დებულებები". წვრთნა დასრულებულად არასოდეს უნდა ჩაითვალოს. გონიერ ხელმძღვანელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს წვრთნის აუცილებლობა და ატარებდეს წვრთნებს როგორც მშვიდობიან, ასევე ომის პერიოდში. მაგრამ ის კავშირებიც კი, რაც იქმნება წვრთნისა და დისციპლინის შედეგად, ვერ უზრუნველყოფს მორჩილებას. უნდა მოხდეს მათი გამყარება მკაცრი სასჯელის შიშით. საჭიროა სიმკაცრე. ხელისუფალმა არ უნდა თქვას უარი სასჯელზე ჯარისკაცების ერთსულოვნებისა და ერთგულების უზრუნველსაყოფად; „გაცილებით უსაფრთხოა ეშინოდეთ თქვენი, ვიდრე უყვარდეთ". მაკიაველის თქმით, ეს ზოგადი პოლიტიკური წესი განსაკუთრებით მიესადაგებოდა არმიის სარდლობას. ჰანიბალის „არაადამიანური სისასტიკე" აუცილებელი იყო საომარი ძალის შესანარჩუნებლად. მისი ძალები „შედგებოდა ყველა ერის წარმომადგენლისგან, რომლებიცერთად იბრძოდნენ უცხო ქვეყნებში". მწერლები, რომლებიც პატივს სცემენ ჰანიბალს, როგორც ძლიერ გმირს, მაგრამ ჰკიცხავენ სისასტიკის გამო, უგუნურნი არიან. მისი სისასტიკე ხომ მისი წარმატების მთავარი მიზეზი იყო.



სურ. 14 ლორენცო დი მედიჩი(1449-1492),
გამოჩენილი ფლორენციელი სახელმწიფო მოღვაწე

თუმცა, აუცილებელია იძულებას თან ახლდეს სრულიად განსხვავებული სახის ზომები. ჯარისკაცებთან უნდა დამყარდეს სულიერი კავშირი, რომელიც შთააგონებს მათ გმირულ საქციელს. ასეთ კავშირს ყველაზე უშუალოდ აუცილებლობა წარმოშობს. ისეთ ვითარებაშიც კი, რომელიც უიმედო არ არის, გენერალმა უნდა გაუსვას ხაზი იმას, რომ დამარცხების საშიშროება დიდია, რათა ჯარისკაცებმა სასოწარკვეთილი სიმამაცით იბრძოლონ. თუმცა უძლირესი სტიმული, რომელიც ჯარისკაცში სიმამაცესა და ენთუზიაზმს აღძრავს, მიიღწევა პირადი ჩართულობისა და მორალური ვალდებულების შეგრძნებით. სამხედრო სამსახური უნდა მიიჩნეოდეს რელიგიური მოვალეობის შესრულებად. მაკიაველის სჯეროდა, რომ ძველ მსოფლიოში რელიგიური ცერემონიების პომპეზურობა და სანახაობრიობა - „მსხვერპლშეწირვის ველური და სისხლიანი ხასიათი, ცხოველების დახოცვა და ამ საშინელი სანახაობის მოურიდებლობა" – აღაგზნებდა მებრძოლი ჟინის მქონე ადამიანებს. ქრისტიანულმა რელიგიამ საბრძოლო ჟინის განვითარებას სირთულეები შეუქმნა. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, „უზენაესი ბედნიერება მდგომარეობს თავმდაბლობაში, მოკრძალებასა და მიწიერი საგნების უგულებელყოფაში". ამან ადამიანები დაასუსტა, თუმცა, მაშინაც კი, თუ შეუძლებელია იმ ურთიერთობის აღდგენა, რომელიც ძველ მსოფლიოში არსებობდა რელიგიასა და საბრძოლო სიმამაცეს შორის, ქრისტიანული რელიგია ქადაგებს სამშობლოს სიყვარულს და თავის გაწირვა სამშობლოსთვის ემსგავსება წმინდანთა თავგანწირვას. მაკიაველის აზრით, პატრიოტიზმისკენ მოწოდება წარმოადგენდა არმიის შთაგონების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ხერხს გმირული საქმეების ჩადენისთვის.

თუმცა, პატრიოტული ენთუზიაზმით აღვსილი მხოლოდ ის ჯარი შეიძლება იყოს, რომლის მეომრებიც საკუთარი მიწისთვის იბრძვიან. მაკიაველის ყველაზე ფუნდამენტური დებულება, რომელიც ხაზგასმულია მის ყველა ნაშრომში, არის ის, რომ მმართველის ან რესპუბლიკის სამხედრო ძალები უნდა შედგებოდეს იმ სახელმწიფოს მოსახლეობისაგან, რომელიც ამ არმიამ უნდა დაიცვას. „იტალიის მარცხი შედეგია დაქირავებულ ჯარისკაცებზე დაყრდნობისა." „ისინი არიან დაყოფილნი, ამბიციურნი, არადისციპლინირებულნი, მოღალატენი, მრძანებლურნი მეგობრებთან, მხდალნი მტრებთან, არ აქვთ ღვთის შიში, ადამიანების ერთგულება." ომში წარმატების აუცილებელი წინაპირობა – თავდაჯერებულობა და დისციპლინა „შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარისკაცები იმავე ქვეყნის მკვიდრნი არიან და ერთად უცხოვრიათ გარკვეული დროის მანძილზე." ამდენად, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი სამხედრო რეფორმაში, რომელზეც მაკიაველი საუბრობს, ესაა სახელმწიფოს მიერ რეგულარული ჯარის შექმნა, რომელშიც ამ სახელმწიფოს მოსახლეობა იმსახურებს.

მიუხედავად ამისა, მაკიაველი დარწმუნებულია, რომ მოქალაქეები მზად იქნებიან იბრძოლონ და დაიღუპონ საკუთარი მმართველის ან სახელმწიფოსთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კმაყოფილნი არიან ცხოვრებით. „უდიდესი განსხვავებაა ისეთ არმიებს შორის, რომელთაგანაც ერთი კმაყოფილია და იბრძვის საკუთრი რეპუტაციისთვის, მეორე კი ცუდად არის განწყობილი და უნდა იბრძოლოს მხოლოდ სხვათა ინტერესებისთვის." ეს თეზისი, რომელიც გულისხმობს მჭიდრო ურთიერთკავშირს პოლიტიკურ და სამხედრო დაწესებულებებს შორის, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და ასევე ყველაზე უფრო რევოლუციურ არგუმენტს მაკიაველის მოსაზრებებიდან. „ხელმწიფეში" იგი წერს რომ „კარგი კანონები უნდა არსებობდეს იქ, სადაც კარგი შეიარაღებაა, და სადაც კარგი შეიარაღებაა, კარგი კანონები უნდა იყოს." „განხილვის" ბოლოს იგი წარმოადგენს მოსაზრებას სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ყველაზე კატეგორიული ფორმულირებით: ,,მე ვამტკიცებ, რომ სახელმწიფოს სა-

ფუძველი არის კარგი სამხედრო ორგანიზაცია, თუმცა არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ სამხედრო ორგანიზაციის გარეშე ვერ იქნება ვერც კარგი კანონები და ვერც ვერაფერი სხვა.”

IV

მაკიაველის „ომის ხელოვნება” წარმატებული წიგნი იყო. მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში გამოიცა მისი ოცდაერთი რედაქცია და ითარგმნა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და ლათინურ ენებზე. მონტეინმა მაკიაველი მოიხსენია იმ პიროვნებათა გვერდით, როგორიცაა კეისარი, პოლიბიოსი და კომინესი, როგორც ავტორიტეტული ფიგურა სამხედრო საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში სამხედრო მეთოდების ცვლილებამ სხვა მწერლები წამოწია წინა პლანზე, მაკიაველის ციტატები ხშირად მოჰყავდათ ხოლმე. მეთვრამეტე საუკუნეში მარშალმა დე საქსიმ წიგნის „ოცნება ომის ხელოვნების შესახებ” (1757) შექმნისას გამოიყენა მაკიაველის ნაშრომები, ხოლო ალგაროტიმ მაკიაველიში დაინახა მასწავლებელი, რომელმაც ასწავლა ფრიდრიხ დიდს ტაქტიკა (რითაც მან ევროპა განაცვიფრა). სხვა ადამიანების მსგავსად, რომლებსაც აინტერესებთ სამხედრო საკითხები, ჯეფერსონს მაკიაველის „ომის ხელოვნება” თავის ბიბლიოთეკაში ედო და როდესაც 1812 წლის ომის დროს ამერიკის ინტერესი ომის პრობლემების მიმართ გაიზარდა, ,,ომის ხელოვნება” სპეციალური, ამერიკული რედაქციით გამოიცა.

ეს მუდმივი ინტერესი მაკიაველის, როგროც სამხედრო მოაზროვნის მიმართ, მხოლოდ მისი სახელგანთქმულობით არ იყო გამოწვეული; „ომის ხელოვნებაში” წარმოდგენილმა ზოგმა რეკომენდაციმ, მაგ. ადრეულ თანამედროვე ევროპაში წვრთნის, დისციპლინისა და კლასიფიკაციის თაობაზე პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჯარები იქმნებოდა პროფესიონალებისგან. ისინი ყველაზე განსხვავებულ სოციალურ ფენებს წარმოადგენდნენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში სამხედრო ხელოვნების პროგრესი (სამწყობრო სწავლება, არმიის ქვედანაყოფებად დაყოფა, დაგეგმვა და კამპანიების მოწყობა) მაკიაველის ზეგავლენით იყო გამოწვეული, თუმცა იმ დროის სამხედრო ნოვატორებს მოსწონდათ ისეთი ნამუშევრის ხილვა, სადაც მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული ასპექტები ახსნილი და დასაბუთებული იყო. ამასთან, მეთექვსმეტე საუკუნეში, როცა საზოგადოებამ კარგად იცოდა ძველი ლიტერატურა და ღრმად სცემდა პატივს კლასიკურ სიბრძნეს, ჩვეულებრივ მიაჩნდათ, რომ რომაელების სამხედრო გამარჯვება დისციპლინასა და წვრთნაზე აქცენტირების შედეგი იყო. ამდენად, მაკიაველის მცდელობა, წარმოეჩინა რომაული სამხედრო ორგანიზაცია, როგორც მოდელი მისი დროის ჯარებისა, უცნაურად არ ჩაუთვლიათ. მაგალითისთვის, მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს იუსტუს ლიპსიუსმა თავის გავლენიან ნაშრომებში სამხედრო საკითხებზე ასევე განიხილა რომაული სამხედრო წყობა, როგორც მუდმივად აქტუალური მოდელი.

თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე კუთხით მაკიაველიმ სწორად ვერ განსაჯა, თუ რა იყო შესაძლებელი და რეალისტური იმ დროისთვის.

წარსულში, და ზოგჯერ ჩვენს დროშიც კი, მაკიაველის ანიჭებდნენ გამორჩეულ ადგილს სამხედრო აზროვნების განვითარებაში, რადგანაც ის ემხრობოდა სამხედრო სამსახურში გაწვევას. მისი სამხედრო აზროვნება წინასწარმეტყველური იყო. მას შეეძლო განეჭვრიტა, თუ რა მოხდებოდა მომავალში, თუმცა შევცდებით მაკიაველის წინასწარმეტყველური ხასიათის დაშვებებს სამხედრო საკითხებში და მის მიმხრობას სამხედრო სამსახურში გაწვევის იდეისადმი დიდი მნიშვნელობა რომ მივანიჭოთ. მისი იდეა გაწვეული ჯარისკაცებისგან შემდგარი არმიის შესახებ ითვალისწინებდა ქალაქ-სახელმწიფოს სახალხო ლაშქარს, არამუდმივ სამხედრო სამსახურს ძველი ქალაქ-

რესპუბლიკების მსგავსად, მაგრამ იგი ძნელად მისაღები თუ იქნებოდა ტერიტორიული სახელმწიფოს არმიის შემთხვევაში. ამასთან, მაკიაველის მოღვაწეობის შემდეგ, სულ მცირე, ორი ან სამი საუკუნის განმავლობაში სავალდებულო სამსახური არ ჩამოყალიბებულა. ამ პერიოდშიც გამოიყენებოდა იმ ჯარისკაცთა ინსტიტუტი, რომლებიც მაკიაველის არ უყვარდა და აბუჩად იგდებდა. ეს იყო დაქირავებულ, პროფესიონალ ჯარისკაცთა ინსტიტუტი.

ფაქტორი, რომლის მნიშვნელობაც მაკიაველიმ აშკარად ვერ გათვალა, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა მის განვითარებაზე. ეს იყო ჯარისკაცების აღჭურვა ცეცხლსასროლი იარაღით და არტილერიის მზარდი როლი. შედეგად, სპეციალიზებული პირადი შემადგენლობა და მუდმივი სამხედრო დაწესებულებები გახდა ნებისმიერი არმიის აუცილებელი ბირთვი. გაიზარდა დანახარჯები, განსაკუთრებით არტილერიასთან დაკავშირებული დანახარჯები. მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველიმ იცოდა ნებისმიერი სამხედრო დაწესებულების ფინანსური მოთხოვნები, მან სრულად არ გაითვალისწინა სამხედრო აღჭურვილობის ხარჯები – თოფები და შაშხანები, ურთიერთკავშირი ეკონომიკურ ძალასა და სამხედრო ძალას შორის. მხოლოდ უფრო დიდი ტერიტორიების მმართველები ახერხებდნენ არმიის შენახვას და ჯარის დახმარებით პატარა მეზობლების ტერიტორიებს საკუთარ კონტროლქვეშ აქცევდნენ. აბსოლუტიზმი უნდა დამყარებულიყო მუდმივ არმიებზე. თითოეული მათგანი მეორეზე იყო დამოკიდებული.

მაგრამ მაკიაველის გავლენა სამხედრო აზროვნებაზე საგრძნობლად გასცდა ტექნიკურ-სამხედრო სფეროს. თუ რომის სამხედრო ორგანიზაციის (მისი აზრით, სამაგალითო) ხასიათმა შეცდომაში შეიყვანა იგი და სათანადოდ ვერ შეაფასა ახალი იარაღისა და ეკონომიკის ზეგავლენა სამხედრო განვითარებაზე, მისმა აღფრთოვანებამ რომით გადამწყვეტი როლი ითამაშა თანამედროვეობაში ომის მნიშვნელობის გააზრებაზე. შუა საუკუნეების პერიოდში ომის წარმოება წარმოადგენდა კონკრეტული საზოგადოებრივი კლასის ფუნქციას და ყალიბდებოდა მისი ღირებულებების და ღირსების კოდექსის მიხედვით. პირველი და გადამწყვეტი გაკვეთილი, რომელიც მაკიაველიმ მიიღო ძველი მსოფლიოს კვლევიდან იყო ის, რომ სახელმწიფოს თავდაცვა წარმოადგენდა არა სპეციალურად პრივილეგირებული ჯგუფის ამოცანას, არამედ იგი უნდა ყოფილიყო საზოგადოების ყველა წევრის საზრუნავი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ რომაელი ისტორიკოსების შესწავლის შედეგად იგი უკეთ ჩასწვდა მისი დროის საერთაშორისო სისტემას: სახელმწიფოები სტაბილურად იზრდებოდნენ და ფართოვდებოდნენ; ისინი გამუდმებით ერთვებოდნენ ომში, ცდილობდნენ თავიანთი ძალაუფლებისა და ტერიტორიების გაფართოებას და იბრძოდნენ არსებობისათვის, იგერიებდნენ მტერს, რომელსაც სურდა მათი დამორჩილება. მაკიაველი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ჩასწვდა თანამედროვე სახელმწიფო სისტემის კონკურენტულ ხასიათს. როგორც მისი მიმდევარი, პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე წერს – ,,სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია მის საომარ სიძლიერეზე.”

იმის გამო, რომ სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია მისი არმიის წარმატებაზე, პოლიტიკური ინსტიტუტები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელსაყრელი წინაპირობა შეიქმნას სამხედრო ორგანიზაციის ფუნქციონერებისთვის. ეს არის ერთი დებულება, რომელიც გასდევს მაკიაველის ყველა მსჯელობას სამხედრო საკითხებზე: „ომის ხელოვნებას”, „ხელმწიფეს” და ნაშრომს - „მსჯელობანი”. ასევე მისი მეორე მნიშვნელოვანი დებულებაა - ომის მიზანი არის მტრის თქვენი ნებისადმი დამორჩილება. ამდენად, სამხედრო კამპანია უნდა იყოს დაგეგმილი ერთიანი სარდლობის ქვეშ, რომლის კულმინაციასაც გადამწყვეტი ბრძოლა წარმოადგენს. თუ რა არის სათანადო

ზომები და სწორი სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, რომლის პირობებშიც ტარდება კამპანია.

მაკიაველის წვდომა ომის რაობასა და საზოგადოებრივ წყობაში სამხედრო ორგანიზაციის როლის შესახებ წარმოადგენს მისი სამხედრო აზროვნების საფუძველს. პრობლემები, რომლებსაც ეს კითხვები წამოჭრის, არ არის მხოლოდ კონკრეტული ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელი. ამდენად, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის პერიოდშიც კი, როდესაც სამხედრო ორგანიზაციამ და ომის წარმოებამ ახალი ფორმები შეიძინა, მაკიაველის იდეები კვლავ ცოცხლობდა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სამხედრო აზროვნება მეთექვსმეტე საუკუნიდან მაკიაველის მიერ ჩაყრილ საფუძველზე ვითარდება. ამით არ ვგულისხმობთ იმას, რომ მაკიაველის რეკომენდაციები აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, თუმცა დისკუსია მისი თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ არ წარმართულა. პირიქით, მოხდა მისი იდეების გავრცობა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველის იდეა ბრძოლის გადამწყვეტობის შესახებ მნიშვნელოვანი იყო, მალე აშკარა გახდა, რომ არსებობდა რეალური საჭიროება ჩატარებულიყო მისი შედეგების უფრო საფუძვლიანი ანალიზი. სამხედრო თეორია მხოლოდ სწორი საბრძოლო წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით წესების დადგენაზე ვერ შეჩერდებოდა; ასევე უნდა მომხდარიყო საბრძოლო მოქმედებების დროს მოვლენათა განვითარების ანალიზი. მეორე მხრივ, თუ ბრძოლა ომის კულმინაციური წერტილი იყო, აშკარაა, რომ აუცილებელი იყო მთელი კამპანიის დაგეგმვა და გაანალიზება გადამწყვეტი ბრძოლის გათვალისწინებით. ამგვარი მოსაზ¬რებები გვიჩვენებს, რომ ის როლი, რომელსაც საომარი მოქმედებების თეორიული მომზადება და დაგეგმილი მართვა თამაშობდა თანამედროვე ომში, იყო უფრო დიდი, ვიდრე ამას მაკიაველი მოიაზრებდა. მან ზედაპირულად აღიარა გენერლის როლის მნიშვნელობა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ის განაცხადა, რომ გენერალმა უნდა იცოდეს ისტორია და გეოგრაფია. მოგვიანებით სამხედრო ხელმძღვანელობის დაგეგმვის და გენერლის ინტელექტუალური მომზადების საკითხები სამხედრო აზროვნების ცენტრალურ პრობლემებად იქცა. მათი განვითარებისას სამხედრო აზროვნება საგრძნობლად გასცდა მაკიაველის ნააზრევს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო თანამედროვე დასკვნები წარმოადგენდა ლოგიკურ გაგრძელებას იმ კვლევისა, რომელსაც მან დაუდო სათავე.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამხედრო აზროვნებაში არსებობს ერთი ასპექტი, რომელიც არათუ არ უკავშირდება მაკიაველის აზროვნებას, არამედ მკვეთრად ეწინააღმდეგება მას. მაკიაველი ძირითადად განიხილავდა ზოგად ნორმას, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა სამხედრო ორგანიზაციებისთვის ყველა სახელმწიფოსა და დროში. თანამედროვე სამხედრო აზროვნება ხაზს უსვამს, რომ განსხვავებული ისტორიული გარემოებების პირობებში უნდა განსხვავდებოდეს მოქმედებებიც და რომ სამხედრო ინსტიტუტები იქნება დამაკმაყოფილებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მორგებულია კონკრეტულ კონსტიტუციასა და მოცემული სახელმწიფოს პირობებზე. გარდა ამისა, მაკიაველი სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ომის წარმოებაზე რაციონალური და ზოგადად მართებული წესების შესაბამისად აქცენტის გადატანის გამო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რაციონალურობის ფაქტორს სამხედრო საკითხებში. მაკიაველი თავდაპირველად სასტიკად აკრიტიკებდა მეთხუთმეტე საუკუნის ჭადრაკული ტიპის ომებს, თუმცა მეთვრამეტე საუკუნის გენერლები გარკვეულწილად დაუბრუნდნენ მანევრების ომს და ეს მოვლენა სრულიად არ ეწინააღმდეგება სამხედრო მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც მაკიაველიმ წამოიწყო. როდესაც თვლიან, რომ ომს წყვეტს რაციონალური კანონები, მაშინ ლოგიკურია ყველაფერი დანარჩე-

ნის გათვლაც და იმის მოლოდინი, რომ მოწინააღმდეგე უკან დაიხევს მაშინ, როდესაც თამაში რაციონალურად წაგებულია. თუ ომს განვიხილავთ, როგორც უბრალოდ მეცნიერებას ან სულ მცირე, თუ ზედმეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ რაციონალურ ელემენტს სამხედრო საკითხებში, გამოდის, რომ ომის გადაწყვეტა ქაღალდზეც ისევე შეიძლება, როგორც ბრძოლის ველზე.

ამის შემდეგ აღიარეს, რომ ომი არათუ მხოლოდ მეცნიერება, არამედ ხელოვნებაცაა. მეთვრამეტე საუკუნის და რაციონალიზმის ეპოქის დასრულებასთან ერთად უეცრად გამოჩნდა სხვა, არარაციონალური ფაქტორების მნიშვნელობა. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად ითვლებოდა არა ზოგადი ელემენტი, არამედ მოვლენის ინდივიდუალური და უნიკალური თავისებურება. ეს არახელშესახები ელემენტები ითვლებოდა რაციონალურ და გათვლად ელემენტებზე არანაკლებ მნიშვნელოვნად.

სამხედრო თეორიაში ამ ახალი ინტელექტუალური ტენდენციების შემოტანა – უნიკალურობისა და ინდივიდუალობის გააზრება, მეცნიერულის გარდა შემოქმედებითი და ინტუიციური ელემენტის აღიარება-უკავშირდება კლაუზევიცის სახელს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კლაუზევიცი, რომელიც მეტისმეტად კრიტიკულად იყო განწყობილი და აბუჩად იგდებდა სხვა სამხედრო მწერლებს, მაკიაველის მოსაზრებებს არა მხოლოდ დიდი სიფრთხილით განიხილავდა, არამედ აღიარებდა კიდეც, რომ მაკიაველი „სამხედრო საკითხებს სწორად და მართებულად აშუქებდა." ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ახალი თვისებებისა, რომლებიც კლაუზევიცმა შემოიტანა სამხედრო თეორიაში და რომლებიც მაკიაველის აზროვნებისთვის არ იყო დამახასიათებელი, ძირითად საკითხებში იგი მაკიაველის ეთანხმებოდა. მაკიაველის მსგავსად, მასაც სჯეროდა, რომ სამხედრო პრობლემების ნებისმიერი სპეციალური ანალიზის სისწორე დამოკიდებული იყო ზოგად აღქმასა და ომის ხასიათის სწორ გაგებაზე. კლაუზევიცის ყველა დოქტრინა სათავეს იღებს ომის ზოგადი ხასიათის ანალიზიდან. ამდენად, მეცხრამეტე საუკუნის სამხედრო მოაზროვნეებს შორის ამ დიდმა რევოლუციონერმაც კი არ უარყო მაკიაველის ფუნდამენტური დებულება. მან იგი საკუთარ დებულებაში გააერთიანა.

გუსტავ ადოლფუსი

ნიუპორტის ბრძოლის შემდეგ ჰოლანდიის ტაქტიკურმა სისტემამ დიდი ყურადღება მიიპყრო. ნიდერლანდების არმიას ახლა მიიჩნევდნენ ევროპაში საუკეთესოდ და კარგად თუ ცუდად, ერთმა მწერალმა აღნიშნა რომ ნიდერლანდები გახდა „სამხედრო სკოლების ცენტრი, სადაც ევროპის ახალგაზრდების უმრავლესობა დაეუფლა სამხედრო საქმეს." ზოგადად, მორის ორანელის რეფორმები ყველაზე სწრაფად პროტესტანტულმა მიწებმა აიტაცეს. შვედეთში, გუსტავ ადოლფმა თავიდანვე დაამყარა პრინც მორისის მეთოდები, თუმცა შეიტანა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებდა შეტევითი შესაძლებლობების გაძლიერებას. გუსტავი იყო პირველი, ვინც სრულად ჩასწვდა შოკისა და ცეცხლის კომბინაციის მნიშვნელობას და გააძლიერა ამ ორივე საშუალების მოქმედება ახალი საბრძოლო მეთოდებითა და გაუმჯობესებული იარაღით. ადმინისტრაციული კუთხით, მეფემ ააღორძინა ეროვნული გაწვეული ჯარისკაცებისგან შემდგარი არმია, თუმცა უდიდესი ბრძოლები ძირითადად დაქირავებული ჯარისკაცებით დაკომპლექტებული არმიით ჩაატარა; ეს ჯარისკაცები გაწვრთნა და შეასწავლა ტაქტიკა. ამაში მას ეხმარებოდნენ ოფიცრები, რომლებსაც ნიდერლანდებში ჰქონდათ სწავლება გავლილი, მათ შორის იყო იაკობ დე ლა გარდი, რომელიც, როგორც ამბობენ, გუსტავისთვის იგივე იყო, რაც „შვერინი იყო ფრიდრიხისთვის ან პარმენიონი იყო ალექსანდრესთვის."

სურ. 15 გუსტავ II ადოლფუსი, შვედეთის მეფე 1611-1632 წლებში. გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე

მიუხედავად იმისა, რომ მას უფრო მეტად ჰქონდა ბრძოლისკენ მისწრაფება, გუსტავმა, მორისის მსგავსად, ისტორიაში ადგილი პირველ ყოვლისა დაიმკვიდრა ტაქტიკური და ადმინისტრაციული სიახლეების წყალობით. სტრატეგიული კონცეფციების შექმნისას იგი ვერ გაექცა იმ დროის შემზღუდველ ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც მონარქს, შეეძლო დაესახა გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის გეგმები, ვიდრე მორისს, ისიც ძალიან ფრთხილი გენერალი იყო, თითოეულ ნაბიჯს ფრთხილად ზომავდა და ზედმეტ რისკზე არასოდეს მიდიოდა; იგი იყო მტკიცე, თანმიმდევრული სტრატეგი. მისი ცნობილი ოპერაციები გერმანიაში განხორციელდა ციხესიმაგრეების აღების პირობებში და მიუხედავად მისი დიდი გეგმებისა, ფაქტიურად მის ოპერაციებს წყვეტდა მისი უნარი დაეპყრო სიმაგრეები კომუნიკაციებისა და მხარდაჭერის სფეროების კონტროლის საშუალებით. რა თქმა უნდა, ამის გამო იგი ვერ იღებდა სწრაფ გადაწყვეტილებებს და მორისის მსგავსად ითვლება პოზიციური და სამანევრო ბრძოლების მიმდევარად, მეთვრამეტე საუკუნის სტრატეგების წინამორბედად. გამოდიოდა რა ამ ტენდენციის წინააღმდეგ, კლაუზევიცი მკაცრად აკრიტიკებდა გუსტავს. კლაუზევიცი წერს, რომ ის არ იყო „გაბედული დამპყრობელი", არამედ „ერუდირებული სარდალი, რომელსაც შეეძლო ფრთხილი კომბინაციების ჩატარება", რომლის ბრძოლის სტილსაც ძირითადად „ხელოვნური, დაუსრულებელი მანევრების სისტემური მეთოდების გამეორება წარმოადგენდა."

სურ. 16 შვედეთის არმიის ოფიცერი

როდესაც გუსტავ ადოლფუსი, რომელსაც ჯერ ჩვიდმეტი წელიც კი არ შესრულებოდა, შვედეთის ტახტზე ავიდა 1611 წელს, მას დახვდა ცუდად გაწვრთნილი, არადისციპლინირებული და ცუდად ორგანიზებული სამხედრო სისტემა. ეს ყველაფერი ორმოცდაათი წლის წინ იყო დაწყებული, როდესაც გუსტავ ვაზამ და ერიკ მეთოთხმეტემ, ჰოლანდიის რეფორმების მოლოდინში, გვიანი ფეოდალური ჯარი და დაქირავებული უცხოელი ჯარისკაცები გადააქციეს მუდმივ ეროვნულ არმიად. თავდაპირველად ჯარი კარგად ორგანიზებული იყო მცირე შუბითა და თოფით შეიარაღებულ ბატალიონებად, მაგრამ შემდგომი მმართველების ხელში არმია დასუსტდა დანიის, პოლონეთისა და რუსეთის წინააღმდეგ პერიოდული ომების შედეგად. იოან ნასაუ-ზიგენი, რომელმაც ეს იხილა პოლონეთში 1605 წელს, დიდად იმედგაცრუებული დარჩა. ეს ჯარი არ შეესაბამებოდა ახალგაზრდა მეფის ამბიციებს. მიუხედავად იმისა, რომ გუსტავს მხოლოდ ზედაპირული სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული, რაც მოიცავდა კლასიკურ ლიტერატურას და შედარებით თანამედროვე ჰუმანისტი მწერლების ნაშრომებს, იგი იცნობდა ჰოლანდიის რეფორმებს. იგი აშკარად ხედავდა არმიის მინუსებს და ჯარის გარდაქმნა მისი უმთავრესი პრიორიტეტი გახდა.

სურ. 17 შვედი მუშკეტერები

მან იმთავითვე გააფორმა საზავო ხელშეკრულება პოლონეთთან და 1613 წელს მოაგვარა ომი დანიასთან, თუმცა მეტად არადამაკმაყოფილებელი პირობებით. შემდეგ, ლა გარდისთან ერთად სარდლის მოადგილის სტატუსით მან განახორციელა ოპერაცია ფინეთში და შეძლო რუსეთთან მშვიდობის დამყარება 1617 წელს. სამი წლის შემდეგ, როდესაც ჯარი გაუმჯობესდა, იგი შეიჭრა პოლონეთში, რომელსაც ომი ჰქონდა რუსეთთან. მაგრამ მოკლე და მარტივი ოპერაციის მოლოდინი არ გამართლდა. ეს იყო ხანგრძლივი და დამღლელი ომი, რომლის დროსაც ახალგაზრდა მეფემ სასარგებლო გამოცდილება მიიღო ლოგისტიკაში, მობილურობაში, კავალერიის შოკსა და საალყო ბრძოლაში. ომი შეწყდა მხოლოდ ორწლიანი ზავის პერიოდში 1622 წელს, შემდგომ კი გაგრძელდა 1629 წლამდე, მომდევნო ზავის დადებამდე. ამ დროისთვის, გუსტავი მიხვდა, რომ უფრო დიდი კონფლიქტი შვედეთისთვის ერთდროულად საშიშროებაც იყო და შესაძლებლობაც, გუსტავმა სამხედრო სისტემაში განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სურ. 18 შვედი კავალერისტები

1625 წელს მეფემ შეცვალა სამხედრო სამსახურში გაწვევის მეთოდი. დაამყარა კანტონური სისტემა, რომელშიც ადგილობრივი სამღვდელოება აწარმოებდა თვრამეტიდან ორმოც წლამდე მამაკაცების რეესტრს. სამსახურის ასაკი ოცი წელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ, ოციდან ერთს იწვევდნენ, ასევე არსებობდა გამონაკლისები ოჯახებისა და პროფესიის მიხედვით. ქვეყნის შიგნით სამსახურისას ანაზღაურებას არ აძლევდნენ, თუმცა ქვეით ჯარისკაცებს აძლევდნენ მიწის ნაკვეთებს; კავალერია კომპლექტდებოდა წარჩინებული გვარის წარმომადგენელთა და შედარებით შეძლებული ფერმერებისგან. ქალაქელები მსახურობდნენ გაფართოებულ საზღვაო ფლოტში. გადასახადები, რომლებიც დარჩენილ მოსახლეობას ეკისრებოდა, ხმარდებოდა სამხედრო ტექნიკის უზრუნველყოფას. შედეგად კი შეიქმნა მდგრადი და ზევადიანი ეროვნული არმია, 40.000 კაცამდე შემადგენლობით, ევროპაში პირველი ასეთი ჯარი.

ეს სისტემა ძირითადად მიმართული იყო სამოქალაქო თავდაცვისკენ. საზღვარგარეთ ოპერაციებს, ძირითადად კი მეფის მიერ გერმანიაში წარმოებულ ომს ვერ უზრუნველყოფდა სულ რაღაც მილიონნახევრიანი მოსახლეობა, შესაბამისად, დაქირავებულ ჯარისკაცებს კვლავაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭათ. მიუხედავად იმისა, რომ მეფე თავის 1627 წელს გამოცემულ მითითებაში აცხადებდა, რომ „სახელმწიფოს საუკეთესოდ იცავენ თავად ამ ქვეყნის მოქალაქეები" და აღწერდა უცხოელ დაქირავებულ ჯარისკაცებს, როგორც „არასაიმედო, სახიფათო და ძვირად შესანახს", გუსტავმა დაიწყო ინგლისელი, შოტლანდიელი და გერმანელი ჯარისკაცების დაქირავება ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე პომერანიაში გასცურავდა. 1631 წლისთვის უცხოეთის ჯარი შეადგენდა მისი არმიის დიდ ნაწილს და უმეტეს ბრძოლებში ისინი იღებდნენ მონაწილეობას. ეს იყო წინდახედული პოლიტიკა: არმიის დიდი დანაკარგის შემთხვევაშიც კი შვედეთის მოქალაქეებით დაკომპლექ-ტებული ნაწილები უსაფრთხოდ მოახერხებდნენ სამშობლოს დაცვას. ეს ნაწილები სტრატეგიული რეზერვის ფუნქციას ასრულებდნენ, იცავდნენ კომუნიკაციის ხაზებს. ცნობილმა სარდალმა მონტეკუკოლიმ შენიშნა, რომ „ყველა საზღვაო პორტს იცავენ შვედი კომენდანტები და გარნიზონები; ისინი არ ენდობიან არც ფინელებს, ლივონიელებს და არც გერმანელებს ენდობიან." იმ დროისთვის, როდესაც გუსტავი მოკლეს 1632 წელს, მის ჯარში 120 000 ადამიანიდან შვედი მხოლოდ ერთი მეათედი იყო. დანარჩენები უცხოელი ჯარისკაცები იყვნენ, მათ შორის მოკავშირე ქვეყნების ჯარისკაცები და დამხმარე ქვეყნების დაქირავებული მეომრები. უცხოური დანაყოფები ძირითადად წვრთნას გადიოდნენ შვედეთში და ნასწავლი ჰქონდათ შვედური ტაქტიკა. მათი პირველი დიდი გამოცდა იყო ბრეტენფელდის ბრძოლაში 1631 წელს, მობილურობისა და ცეცხლის ძალის გამარჯვება დიდი რაოდენობის და შუბებით შეიარაღებულ მოწინააღმდეგეზე; ამ ბრძოლის შემდგომ ევროპის ფაქტიურად ყველა სხვა არმია იძულებული გახდა შეეცვალა ბრძოლის მეთოდები.

გუსტავის ტაქტიკურ სისტემაში აქცენტი იყო შეტევით მოქმედებაზე იარაღის კომბინაციით, თუმცა, ხშირი იმპროვიზაციების გამო, არ ხდებოდა რომელიმე მეთოდის უნივერსალურად გამოყენება. ქვეითთა პოლკები, არტილერიის ორი დივიზიონი და რვა ასეული შეადგენდა ძირითად ადმინისტრაციულ და ტაქტიკურ ნაწილებს, რომლებიც ბრძოლისას ორი ან სამი პოლკისგან შემდგარ ბრიგადებად ერთიანდებოდნენ. თითოეულ პოლკში დაახლოებით რვაასი მებრძოლი იყო, რასაც ემატებოდა ოთხმოცდათოთხმეტი მუშკეტერი. ჩვეულებრივ, ისინი თხელი წყობით განლაგდებოდნენ ექვსი რიგის სიღრმით. ბრიგადები აგრძელებდნენ მარშს კონტრმარშის შემდგომაც, შუბიანი მებრძოლები კი, რომელთაც გუსტავი მიიჩნევდა თავდასხმის იარაღად, ხელს უწყობდნენ საბოლოო შედეგის მიღწევას. ახლო დისტანციაზე კონტრმარშის ცეცხლს ცვლიდა მძიმე ზალპი, რომელსაც მუშკეტერების სამი მწკრივი ერთდროულად ისროდა, ერთი გრძელი და უწყვეტი ჭექა, რომელიც ათ წყვეტილზე უფრო საშინელი იყო. კავალერია ჭენებით იერიშით და მუშკეტერების დახმარებით ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა მტრის ფლანგების წინააღმდეგ, ამასობაში კი არტილერია იწყებდა შეტევას სტაციონარული ქვემეხის რიგებიდან. ბრეტენფელდის შემდეგ, მსუბუქი გადასატანი ქვემეხის შემოღებამ ქვეითებს პირდაპირი საცეცხლე მხარდაჭერა შესძინა. საჭიროებისამებრ ხდებოდა ცხენოსანთა და ქვეითთა რეზერვების მოხმობა. ეს იყო ეფექტური, თუმცა რთული სისტემა და გუსტავსაც კი, ენერგიულ, შეუპოვარ და ორიგინალურ სარდალს, უჭირდა ასეთი ბრძოლის კონტროლი. მიუხედავად ამისა, შვედეთის მოდელი გახდა სტანდარტი მომდევნო საუკუნის ყველა მხედართმთავრისთვის.



სურ. 19 ესპანური ტერციოს სქემატური საბრძოლო წყობა 1600 წელს

შვედეთის ახალი არმია გაცილებით ნაკლებ ეფექტური იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. გუსტავი მიხვდა, რომ მობილურობა ბრძოლის ველზე დამყარებული იყო დისციპლინაზე, დისციპლინა კი – ეფექტურ ადმინისტრირებაზე, მაგრამ შვედეთის სამხედრო საკითხების ეს ასპექტი სუსტი დარჩა. წვრთნა შვედეთის უმრავლეს სამხედრო ნაწილში მაღალი დონის იყო და იგი მისაღები იყო დაქირავებული ჯარისკაცებისგან შემდგარი პოლკებისთვის, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მოკავშირე და ასოცირებული ძალების კონტინგენტებზე. დისციპლინის მხრივ, მეფემ შემოიღო

მკაცრი წესები 1621 წელს, რომლებსაც არმიის კაპელანების დახმარებით ატარებდა: ეს იყო ყოველ-დღიური ლოცვები და სხვა ზნეობრივი წესები. მაინც, 1630 წელს დისციპლინა შეირყა. ეს მხოლოდ გამოუსწორებელი დაქირავებული ჯარისკაცების სიმრავლით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმ-ით, რომ ვერ ხდებოდა არმიის სათანადოდ შენახვა; თუმცა, უნდა ითქვას, რომ შვედი გაწვეული ჯარი შედარებით უკეთ კონტროლირებადი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გუსტავმა მიიღო საგულ-დაგულო ლოგისტიკური ზომები, შვედეთის რესურსები ვერ უზრუვენლყოფდა გერმანიაში გაზრ-დილ არმიას. როგორც ერთმა შვედმა დიპლომატმა განაცხადა, ,,სხვა ერები ომს იმიტომ იწყებდნენ, რომ მდიდრები იყვნენ, ხოლო შვედეთმა ომი სიღარიბის გამო წამოიწყო". საფრანგეთისა და ჰო-ლანდიის სუბსიდიები საქმეს ვერ შველოდა. მეტიც, სახსრების არსებობის დროსაც კი რთული იყო შესყიდვები და მარაგების გადაზიდვა. 1631 წლის გაზაფხულზე შვედეთის ჯარებმა დაარბიეს გერ-მანიაში პროტესტანტული ქალაქები და იმ ზაფხულს გუსტავმა გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მი-სი ჯარები აცარიელებდნენ რეგიონალურ მარაგებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე იყო შენარ-ჩუნებული ბრძოლის დისციპლინა, შვედეთის არმიას, როგორც იმ დროის ნებისმიერ სხვა არმიას, უნდა ეარსება მიწით. მდიდარი ტერიტორიების დაცარიელების შემდეგ კი ჯარების გადაად-გილებას განსაზღვრავდა არა ოპერაციული მოსაზრებები, არამედ ადამიანებისა და ცხენების გა-მოკვების საჭიროება, შედეგად კი მეფის დიდი სტრატეგიული გეგმები მხოლოდ ქაღალდზე რჩე-ბოდა.



სურ. 20 კარაკოლე და შუბოსნები

როდესაც გუსტავი მდინარე ოდერის შესართავთან დაბანაკდა 1630 წლის ზაფხულში, ოც-დაათწლიანი ომი, რომელიც დაიწყო როგორც კონფლიქტი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შო-რის და ასევე როგორც კონფლიქტი გერმანიაში იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ, უკვე სა-ერთაშორისო მასშტაბით იყო გაფართოებული. ჰაბსბურგების თავდაპირველი გამარჯვებების შემ-დეგ, საფრანგეთმა, ინგლისმა, დანიამ და გერმანიის პროტესტანტმა მთავრებმა შექმნეს თავისუფა-ლი კოალიცია, რათა შეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის იმპერიულ ხელისუფლებას. მაგრამ ეს შე-

უსაბამო კავშირი მალე შეარყიეს იმპერიულმა ჯარებმა ალბრეხტ ფონ ვალენშტაინის, დიდი მხედართმთავრის და იოან ტილის, ძალზედ კომპეტენტური გენერლის მხედართმთავრობით, რომლებიც კათოლიკური ლიგის ჯარებს მეთაურობდნენ. 1627 წლისთვის იმპერატორმა აღადგინა კონ-

სურ. 21 ფერდინანდ II, საღვთო რომის იმპერატორი 1619-1637 წლებში. სარდლობდა იმპერიის ჯარებს ოცდაათწლიან ომში

ტროლი ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს ძირითად ტერიტორიაზე. მხოლოდ რამოდენიმე პორტმა, რომლებსაც დანიისა და შვედეთის ჯარები ამაგრებდნენ, შეძლო წინააღმდეგობის წარმატებით გაწევა. თუმცა, ბალტიისპირეთში იმპერიული ჰეგემონიის დამყარების შესაძლებლობა შვედეთის მეფეს არ მოსწონდა და უთხრა პარლამენტს, რომ იგი მიემართებოდა გერმანიისკენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ პროტესტანტიზმის ბედი იდო სასწორზე, არამედ იმიტომაც, რომ უმჯობესი იქნებოდა საზღვარგარეთ ბრძოლა, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. 1629 წლისთვის გერმანიაში სრულმასშტაბიანი ინტერვენციისთვის მზადება მიმდინარეობდა.

სტრატეგიული მდგომარეობა ხელსაყრელი იყო. სჯეროდა რა, რომ ომი გერმანიაში თითქმის დასრულდა, იმპერატორი ფერდინანდ მეორე გაემართა ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად იტალიაში, ხოლო გენერლები ვალენშტაინი და ტილი ჩრდილოეთში რამოდენიმე გაფანტული შენაერთით დატოვა. მიუხედავად ამისა, გუსტავი წავიდა რისკზე. მისი საექსპედიციო ჯარები მხოლოდ ცამეტი ათასს აღწევდა, თუმცა აგენტები შოტლანდიასა და დანიაში აგროვებდნენ მეტ ხალხს და მეფე ელოდა მნიშვნელოვან დახამარებას გერმანიის მთავრებისგან. თუმცა მისი მოლოდინი მცდარი

სურ. 22 ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი(1583-1634), გერმანიის იმპერიის გენერალისიმუსი და ფლოტის ადმირალი, გამოჩენილი სარდალი

იყო. ჩრდილოეთ გერმანიის ორი მთავარ პროტესტანტ მმართველს, ბრანდენბურგისა და საქსონიის კურფიურსტებს, გადაწყვეტილი ჰქონდათ ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება და ამდენად გუსტავი თავიდანვე იძულებული იყო განეხორციელებინა სტრატეგია, რომელიც ხანგრძლივ ომს ითვალისწინებდა. ლოგისტიკისა და სამშობლოსთან კომუნიკაციების დაცვის საჭიროებამ, ასევე პოტენციური საშიშროების მოლოდინმა დანიისა და რუსეთის მხრიდან, მისი სტრატეგია ძალიან შეზღუდა. იგი განიხილავდა ერთ-ერთ ვარიანტად მდინარეების გაყოლას და მათ გაყოლებაზე გამაგრებული ადგილების აღებას; მეორე ვარიანტი კი იყო ჩრდილოეთ გერმანიაში გამაგრებული ტერიტორიების აღება და შენარჩუნება, სადაც შევიდოდა მისი არმია, ხოლო ნაციონალური ჯარების ძირითადი ნაწილი საშინაო თავდაცვისთვის იყო განკუთვნილი.



სურ. 23 იოჰან ფონ ტილი (1559-1632), გერმანიის იმპერიის ფელდმარშალი, გამოჩენილი სარდალი

სურ. 24 არმან დე რიშელიე, საფრანგეთის კარდინალი და პირველი მინისტრი 1624-1642 წლებში. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. თანამედროვე დიპლომატიის ფუძემდებელი

გუსტავმა ოპერაცია დაიწყო არა შტრალზუნდიდან (ქალაქი მდინარეზე არ მდებარეობდა), არამედ კიდევ უფრო აღმოსავლეთით ოდერის შესართავიდან. აქ მან აღმოაჩინა კარგი სტრატეგიული მდგომარეობა ტილის გარნიზონების მოსაზღვრედ მეკლენბურგსა და დასავლეთ პომერანიაში და აქედან შეეძლებოდა ბრანდენბურგსა და საქსონიაზე ზეწოლა და მათი მოკავშირეობაზე დაყოლიება. იგი დაუბრკოლებლად შევიდა შტეტინში, ოდერიდან ორმოცი მილით ზევით ივლისის დასაწყისში და შემდეგ 1630 წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ნელა აფართოებდა ბაზას, ასუსტებდა რამოდენიმე მცირე ქალაქს და აგროვებდა ჯარებს. მიუხედავად აუცილებლობისა, ეს ასევე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. მან კონტროლქვეშ არსებული რაიონი ეტაპობრივად გააფართოვა, გაშალა არმია და ნელი პროგრესის გამო ვერ დაიყოლია ორი კურფიურსტი, შეეცვალათ ფრთხილი ნეიტრალური პოზიცია. როგორც ჩანს, გუსტავმა ხელიდან გაუშვა შანსი. მიუხედავად იმისა, რომ მისი არმია ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო, მის მოწინააღმდეგეს, ტილის, ასევე მცირე ჯარი ჰყავდა და მეტიც, მაგდებურგში, ელბეს შუაში მდებარე სტრატეგიულ ქალაქში აჯანყება იყო. თუ გუსტავი სწრაფად შეუტევდა ელბეს, მას შეეძლო ტილის ბრძოლაში ჩათრევა იმპერიული ძალების მოსვლამდე და ნაადრევ გამარჯვებას შესაძლოა გამოეწვია პროტესტანტთა მხარდაჭერა. ამის ნაცვლად, ოქტომბერში შვედები გაემართნენ ზამთრის ყაზარმებში პომერანიასა და მეკლენბურგში.

ამ დროისთვის გუსტავმა სტრატეგიული გეგმა ჩაიფიქრა მომდევნო წლისთვის. იგი ითვალისწინებდა ხუთ არმიას, 100 000-ზე მეტი ჯარისკაცით, რომლებიც მეტ-ნაკლებად კონცენტრული იერიშით მდინარეების გასწვრივ ცენტრალურ გერმანიაში შევიდოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმა აღფრთოვანებულმა ბიოგრაფმა ეს გეგმა აღწერა, როგორც „ნაპოლეონისეული მასშტაბისა და სიდიადის მქონე", იგი არ იყო არსებითი. მეფეს არ ჰქონდა სტრატეგიული პოზიცია და არ გააჩნდა სათანადო ჯარები. მან ვერ გათვალა საკუთარი შესაძლებლობა ახალი ჯარების შეგროვების მხრივ და ვერ გაიგო კავშირი მანძილებს, კომუნიკაციებს, უზრუნველყოფას და საკუთარი ჯარის ოპერაციულ შესაძლებლობებს შორის.

ამიტომ, როდესაც მარაგების სიმწირის გამო იგი იძულებული იყო ადრე გამოსულიყო ზამთრის ყაზარმებიდან, მან კვლავ ვერ მოახერხა ტილის ძირითადი ჯარის ბრძოლაში ჩართვა. სანაცვლოდ, იმ იმედით, რომ მოახერხებდა ტილის მანევრით გაყვანას ბლოკადიდან მაგდებურგში, ჩაატარა მცირე ოპერაციები ოდერის გასწვრივ და დასავლეთ მეკლენბურგში. 1631 წლის მარტის დასაწყისში, ტილი დაიძრა მასთან საბრძოლველად თორმეტიათასიანი არმიით, თუმცა გუსტავმა, რომელსაც თვრამეტი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, ბრძოლაში ჩაბმაზე უარი თქვა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე აშკარა შეცდომა მის სამხედრო კარიერაში, რომელიც კლაუზევიცმა დამცინავად აღწერა, როგორც „ომის სტრატეგიული მანევრირებით მოგების მცდელობის ახალი მეთოდი.” გუსტავმა განაგრძო მსვლელობა ოდერის ზემო მიმართულებით, დაიპყრო რამოდენიმე მცირე ქალაქი და იერიში მიიტანა ფრანკფურტზე 3 აპრილს, ამოჟლიტა გარნიზონი და გაძარცვა პროტესტანტი მოქალაქეები. გუსტავი მაინც ფრთხილად მოქმედებდა და ღელავდა უკან დასახევ უსაფრთხო გზაზე, იმპერიულმა ჯარმა აიღო მაგდებურგი 20 მაისს. დარბევა, რომელიც ქალაქის აღებას მოჰყვა მეთვრამეტე საუკუნეშიც კი ცნობილი იყო; ამოხოცეს ოცდახუთი ათასი ადამიანი და დაწვეს ყველა შენობა, გარდა საკათედრო ტაძრისა. ეს გუსტავის დიდი ფიასკო იყო, რომელსაც თავი გერმანიის პროტესტანტების მფარველად მოჰქონდა. ამან აიძულა იგი, ჩაბმულიყო მოქმედებაში. ბოლოს მან აიძულა ბრანდენბრუგის კურფიურსტი გადაეცა მისთვის ორი მთავარი ციხესიმაგრე, კურსტინი და შპანდაუ, ხოლო შემდგომ, ქვემო ოდერი მჭიდროდ გამაგრებული დატოვა და გაემართა დასავლეთით ელბესკენ. იგი მაინც ფრთხილად გადაადგილდებოდა, გზადაგზა აგებდა სიმაგრეებს. შემდეგი იყო ვერბენი, ჰაველსა და ელბეს შორის, ძლიერი პოზიცია, რომელიც ტილიმ წარუმატებლად გამოსცადა ივლისში. თუმცა, ეს არ იყო მთავარი მოქმედება. იმპერიული ჯარები ელოდებოდნენ გაძლიერებას იტალიიდან, რისი მიღების შემდეგაც შევიდნენ საქსონიაში და მოითხოვეს, რომ კურფიურსტს საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა. ამან საბოლოოდ აიძულა კურფიურსტი მიმხრობოდა გუსტავს.

სურ. 25 გერმანიის საიმპერიო არმიის კავალერისტი

ახლა მოახლოებული იყო გადამწყვეტი მომენტი. გუსტავი გაემართა საქსონებთან შესაერთებლად და 1631 წლის 17 სექტემბერს ბრეტენფელდში მოხდა ძირითადი არმიების შეტაკება. მიუხედავად იმისა, რომ საქსონთა კონტინგენტი ბრძოლის დაწყებიდან მალევე გაიქცა, გუსტავმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ხუთსაათიანი ინტენსიური ბრძოლის შედეგად. თუმცა გამარჯვება ვერ გამოიყენა თავის სასარგებლოდ. ტილის ჯარის დარჩენილი ნაწილების წასვლის შემდეგ შვედები მათ მაშინვე არ გაედევნენ. ამის ნაცვლად, ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ სამხედრო საბჭო ჰალეში განიხილავდა არსებულ შესაძლებლობებს. გადევნება გამოირიცხა და მსჯელობა შემდეგ შეეხო იმას, რომ გასულიყვნენ თუ არა ბოჰემიის მთებით ვენის წინააღმდეგ, თუ მიბრუნებულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთით რაინლანდისკენ. ვენაზე შეტევა იმპერიულ ძალებს დიდ დარტყმას მიაყენებდა, მაგრამ გუსტავმა მეტად სარისკოდ მიიჩნია, რადგან ახლოვდებოდა ზამთარი და მას კი ზურგს მხოლოდ სუსტი საქსონები უმაგრებდნენ. ამიტომ, მან არჩია სამხრეთ-დასავლეთით წასვლა, არმია დააბანაკა რესურსებით მდიდარ რაიონში, რომელიც ასევე კარგი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩეოდა, აღმოსავლეთით ბავარეილები ესაზღვრებოდნენ, ხოლო დასავლეთით, სავარაუდოდ, ჰაბსბურგების სიმაგრეები. ჩრდილოეთით ხაზების დასაცავად მაგდებურგთან და ერფურტთან, გერმანიის საგზაო ქსელის ცენტრში განალაგეს ძლიერი შვედეთის რაზმები, ხოლო კურფიურისტმა არმია ბოჰემიაში და სილეზიაში გადაიყვანა.

სურ. 26 გერმანიის საიმპერიო არმიის ოფიცერი

ზოგი კრიტიკოსი გუსტავს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა მიღწეული გამარჯვება. ნამდვილი მიზანი იყო ტილის არმია და არა რაინი ან თუნდაც ვენა. ფაქტიურად, ტილიმ და მისმა მთავარმა გენერალმა პაპენჰაიმმა, შეძლეს ახალი ჯარების შეგროვება ზამთრის განმავლობაში, ხოლო იმპერატორმა მიაღწია ნაჩქარევ შეთანხმებას ვალენშტაინთან, რათა ჩამოეყალიბებინათ ახალი არმია ბოჰემიაში. მაგრამ გუსტავი დაინტერესებული იყო უსაფრთხო ბაზის ჩამოყალიბებით. იგი მარშით გაემართა რაინისკენ, დაიპყრო მცირე ჰაბსბურგი, ბავარიული და ესპანეთის გარნიზონები და მალე კონტროლი მოიპოვა რაინლანდზე. მან სწრაფად მიაღწია პროგრესს; მისი საალყო მეთოდები მოიცავდა მოტყუებას და სწრაფ თავდასხმას, მცირე სანგრების გათხრას და ყუმბარების დაშენას. 1631 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის იგი კვლავ ამბიციურ გეგმას ქმნიდა მომდევნო წლისთვის. ამ დროს მან გადაწყვიტა, ჩაეტარებინა დიდი გარშემორტყმა მოაზრებული როგორც ერთი უზარმაზარი ოპერაცია, რომელშიც შვიდი არმია კოორდინირებულად იმოქმედებდა. ნამგლის ფორმის ფრონტი გაიჭიმებოდა ვისტულადან ბრემენამდე, გლოგაუდან კონსტანცის ტბამდე. მთავარი არმია მეფის წინამძღოლობით უნდა შეჭრილიყო ბავარიაში და დუნაის გავლით მისულიყო ვენამდე, ხოლო საქსონებს ბოჰემიასა და სილეზიაში მხარდაჭერა უნდა უზრუნველეყოთ. სხვა მნიშვნელოვანი რაზმები შეაკავებდნენ იმპერიულ ჯარებს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში და სხვანი კი დაიცავდნენ შვედეთთან კომუნიკაციის ხაზებს. მეფემ საქსონები შეამცირა და იმედოვნებდა, რომ 120 000 კაცი ეყოლებოდა, ხოლო ინტენსიური რეკრუტინგის შედეგად კი ეს რიცხვი 170 000-მდე გაიზრდებოდა გაზაფხულის მიწურულისთვის. ამასობაში, ყოველთვის ფრთხილი, იგი აპირებდა მთლიანი რეგიონის გადაქცევას დუნაიდან ჩრდილოეთამდე,

ლეხიდან აღმოსავლეთამდე და ალპების მთისწინეთიდან სამხრეთამდე თავდასხმით-თავდაცვით ზონად, იმ შემთხვევაში, თუ მისი დიდი ჩანაფიქრი წარუმატებელი აღმოჩნდებოდა.

სურ. 27 საფრანგეთის არმიის მუშკეტერი

1632 წლის მარტში მეფემ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. 10 აპრილს იერიში მიიტანა დუნავერტზე, ყველაზე დასავლეთით მდებარე ბავარიის ციხე-სიმაგრეზე და ხუთი დღის შემდეგ ფორსირებულად გადალახა მდინარე ლეხი; ეს იყო ტაქტიკური სვლის შედეგრი. თუმცა, კვლავაც, ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ ტილი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ბავარიელებმა უბრალოდ დაიხიეს დინების მიმართულებით და როდესაც გუსტავი გამოჩნდა ინგოლშტადტთან _ ძლიერ ციხესიმაგრესთან, მან აღმოაჩინა, რომ მას არ შეეძლო მისი აღება ჩვეული ხერხით. იგი გატრიალდა და განახორციელა მცირემასშტაბიანი დაპყრობა ბავარიასა და შვაბიაში, თუმცა დაკარგა სტრატეგიული ინიციატივა.

ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მას არ გააჩნდა ვენაზე იერიშისთვის ძალები. მიუხედავად იმისა, რომ არმიის რიცხოვნობა საკმაოდ დიდი იყო, მისი რეკრუტინგის ინტერესი აღარ ჰქონდა, ხოლო მისი არმიები ძალიან იყო მიმოფანტული ეფექტური კოორდინაციისთვის. მისმა წარუმატებელმა მცდელობამ ტილის განადგურებისა ბრეტენფელდის შემდეგ, მტერს შესაძლებლობა მისცა აღედგინა ძალები და შვედებს ახლა ახალი ჯარები უპირისპირდებოდნენ, განსაკუთრებით ძლიერი ჯარი, რომელსაც ვალენშტაინი მორავიაში გასაოცარი სისწრაფით აგროვებდა. მეტიც, მეფის ამბიციებმა შეაშფოთა მისი მოკავშირეები. მისმა მოქმედებებმა რაინზე გამოიწვია უთანხმოება საფრანგეთთან, რომელიც მისი მთავარი ფინანსური მხარდამჭერი იყო 1631 წლის იანვრამდე; ხოლო მისმა მცდელობებმა ალპების ხეობის გაკონტროლებისა გააუცხოა შვეიცარიის კანტონები. მეტიც, ბრანდენბურგისა და საქსონიის კურფიურსტები ყოყმანობდნენ, როდესაც ვალენშტაინი წყნარად ურჩევდა მათ, რომ ალბათ მათავარი მიზანი, რომელზეც ყველა მხარეს შეეძლო შეთანხმება, იყო უხცოელი დამპყრობლის გერმანიიდან გაძევება.

გუსტავმა სცადა ვალენშტაინის ბავარიაში შეტყუება მისი ჩრდილოეთი რეგიონის განადგურებით, თუმცა მისი მოწინააღმდეგე უკვე შესანიშნავად მიხვდა შვედების მდგომარეობის მთავარ სისუსტეს. ეს იყო საქსონებთან ალიანსი. თუ საქსონიას დაკარგავდა, გუსტავს მოეჭრებოდა კომუნიკაციის გზა შვედეთთან და იგი ამას არ დაუშვებდა. ამდენად, ვალენშტაინი შევიდა ბოჰემიაში, ადვილად გამოდევნა საქსონები, და შემდეგ, გასაოცარი სიჩქარით მიბრუნდა სამხრეთით და შეუერთდა ბავარიელებს ეგერის მახლობლად. შვედეთიდან, კანცლერმა ოქსერტიენმა სცადა დაერწმუნებინა მეფე, გაეგრძელებინა მსვლელობა დუნაითი და საჭიროების შემთხვევაში შეესუსტებინა კომუნიკაციები. მისი თქმით, ჩრდილოეთ გერმანიის დაკარგვა არ იყო პრობლემა, თუ გაგრძელდებოდა ვენაზე იერიში. თუმცა გუსტავმა ამჯერადაც არ ისურვა რისკზე წასვლა. მან ვერ შეუშალა ხელი ბავარიელთა და ვალენშტაინის შეერთებას, დაბანაკდა ნურემბერგის მახლობლად და აღმარ-

თა ტრანშეებით გამაგრებული ბანაკი. ვალენშტაინმაც იქვე ახლოს დასცა ბანაკი და ელოდებოდა მეფის მოქმედებას. მან მოახდინა შვედეთის ოპერაციული მეთოდის ანალიზი და მიხვდა, რომ მათი ტაქტიკური სისტემა დამოკიდებული იყო ველზე მობილურობაზე, ხოლო მათი სტრატეგიული სისტემა - ბრძოლის წარმოებაზე და პარალელურად უსაფრთხო ბაზებისა და კომუნიკაციების შენარჩუნებაზე. იგი გუსტავთან თანასწორ ბრძოლას ვერ გამართავდა, ამდენად ვალენშტაინმა გაძლების მეთოდს მიმართა. ასე გაგრძელდა ექვსი კვირა; ორივე მხარის ჯარისკაცებს შემოაკლდათ საკვები და მუსრი გაავლო დაავადებებმა, გუსტავი იძულებული გახდა 3-4 სექტემბერს განეხორციელებინა სასოწარკვეთილი და წარუმატებელი თავდასხმა ვალენშტაინის წინააღმდეგ და მძიმე დანაკარგები ნახა.

სურ. 28 გუსტავ ადოლფუსი სთხოვს უფალს დახმარებას ბრეტენფელდის ბრძოლის წინ

მეფე კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვალენშტაინი სახიფათოდ ახლოს იყო პროტესტანტთა ტერიტორიასთან და მის სამხრეთისკენ წასაყვანად გუსტავმა წამოიწყო მეორე იერიში ვენაზე. ვალენშტაინმა არ მიაქცია მას ყურადღება, მარშით გაემართა საქსონიაში, აიღო ლაიპციგი და შემდეგ დაიწყო ქვეყნის დარბევა. ეს იყო გონივრული სვლა, კარგი მაგალითი სტრატეგიის ირიბი მეთოდისა. გუსტავი სწრაფად გაემართა ჩრდილოეთით, ოც დღეში გაიარა 270 მილი. ეს იყო შესანიშნავი მოხერხებული სვლა, მაგრამ გუსტავმა მხოლოდ თვრამეტი ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეძლო. იგი დაასუსტა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა და იმპერიული რეიდების წინააღმდეგ გარნიზონების საჭიროებამ. მას შეუერთდა ჰერცოგ ბერნარ საქს-ვაიმარის, მისი უერთგულესი გერმანელი მოკავშირის კონტინგენტი, მაგრამ საქსონიის კურფიურსტმა გადაიყვანა მისი მნიშვნელოვანი არმია ტორგაუში და უგულებელყო შვედებთან შეერთების თხოვნა. ამასობაში დადგა ნოემბერი და ვალენშტაინმა განიზრახა ჯარების სხვადასხვა ადგილებში განთავსება ზამთრისთვის. ამის შეტყობისთანავე გუსტავმა გადაწყვიტა შეტევა. მან განაცხადა: „ახლა კი ნამდვილად მჯერა, რომ ღმერთმა იგი მე ჩამაბარა.” 1632 წლის 6 ნოემბერს საქსონიელი მოკავშირეების

მხარდაჭერის გარეშე მან ბოლო სასოწარკვეთილი ბრძოლა ჩაატარა ლიუცენში, ლაიპციგის სამხრეთ-დასავლეთით. მიუხედავად იმისა, რომ ვალენშტაინს ბრძოლის დროს დამატებითი ძალები მიემატა, გუსტავმა დაამარცხა კათოლიკე მასპინძელი, მაგრამ თავად გუსტავი მოკლეს კავალერიის იერიშის დროს.

სურ. 29 გუსტავ ადოლფუსის დაღუპვა ლიუცენის ბრძოლაში

ეს იყო ეფექტური სამხედრო კარიერის ჯეროვანი დასასრული, თუმცა გუსტავს, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში უკვე გავლილი ჰქონდა წარმატების მწვერვალი. როდესაც მეფე ლუცენში ბრძოლის ველზე დაეცა, მარცხი განიცადა მისმა დიდმა გეგმამ, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის კონტროლსა და გამოყენებას ოპერაციების ბაზად. გუსტავი რომ გადარჩენილიყო და მოეხერხებინა მოკავშირეების ერთგულების შენარჩუნება, კიდევ ერთი გამარჯვება ვერ დაასრულებდა ომს. კომუნიკაციებისა და აგრარული რესურსების მდგომარეობის გამო ცენტრალური ევროპის თეატრის მასშტაბის ოპერაციები, როგორც გუსტავს ჰქონდა ჩაფიქრებული, შეუძლებელი იყო. თუ არ მოხდებოდა მარაგების წინასწარ მიტანა ან წყლის ტრანსპორტით გადაზიდვა, მხოლოდ რამოდენიმე რაიონი თუ შეძლებდა დიდი ჯარების შენახვას დიდი ხნით და გადაადგილებას განაპირობებდა უფრო ლოგისტიკური, ვიდრე სტრატეგიული მოსაზრებები. მეტიც, ყველა გადაადგილება იყო ნელი, განსაკუთრებით, თუ საჭირო იყო მძიმე საბრძოლო ტექნიკის გადატანა სახმელეთო გზით და არა წყლით.

ყველაფრის მიუხედავად, გუსტავ ადოლფუსი ოცდაათწლიან ომში ბრწყინვალე მხედართმთავარი იყო. მის პოზიციისა და მანევრის სტრატეგიას, რომელსაც ამყარებდა მისი სურვილი წასულიყო ბრძოლის რისკზე სათანადო პირობების არსებობისას, იყენებდნენ საფრანგეთის რევოლიციამდე და ნაპოლეონამდე. თუ გავითვალისწინებთ ობიექტურ პირობებს, გუსტავმა ბევრს მიაღწია. მან საგრძნობლად გაზარდა საკუთარი არმიის მოქმედების რადიუსი და მიუხედავად იმისა, რომ 1632 წელს ვალენშტაინმა მას მანევრით აჯობა, იგი არასოდეს დამარცხებულა ველზე. მის

ადმინისტრაციულ, ტაქტიკურ, და ოპერაციულ მეთოდებს ფართოდ იყენებდნენ და უფრო მეტად, ვიდრე მისი პერიოდის რომელიმე სხვა გენერალი, იგი წარმატებით იყენებდა სარდლობის სხვადასხვა ელემენტებს. იგი იყო დიდი მეთაური, არმიას ავსებდა ნებისყოფითა და სიმტკიცით, და უნერგავდა გრძნობას, რომ არაფერი იყო შეუძლებელი. მიუხედავად მისი შეცდომებისა, იგი იყო დიდი სარდალი, უფრო პრაქტიკოსი, ვიდრე თეორეტიკოსი. ნაპოლეონმა აღიარა მისი დამსახურება, როდესაც მან გუსტავი ჩართო დიდი გენერლების ძალიან მოკლე სიაში.

ბრეტენფელდის ბრძოლა: საბრძოლო ეპიზოდი

სკოტ სტეფენსონი

1631 წლის 15 სექტემბრის დილას შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფუსი ბრძოლისთვის მზად იყო. მან თავისი და მოკავშირე საქსონელების არმიები ლაიფციგიდან ჩრდილოეთით, ოთხი მილის დაშორებით მდებარე დაბლობზე საბრძოლო წყობაში განალაგა. გუსტავის სამხრეთით შემაღლებულ ადგილზე სოფელ ბრეტენფელდთან იდგა მისი მოწინააღმდეგე, კათოლიკური ლიგისა და ჰაბსბურგის სახლის იმპერიალისტური არმია. მოწინააღმდეგის არმიას ტილის გრაფი, იოჰან ცერკლასი მეთაურობდა. ის იყო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე საშიში და პატივცემული საბრძოლო სტრატეგი. შვედეთის მეფემ იცოდა, რომ 15 სექტემბერი გადამწყვეტი დღე იქნებოდა. მოწინააღმდეგეს რომ უთვალთვალებდა, გუსტავმა დაინახა, რამხელა კონტრასტი იყო თავის მტვრიან, გაბურძგნულ ჯარისკაცებსა და იმპერიალისტური არმიის ღია ფერის უნიფორმებში გამოწყობილ მებრძოლებს შორის. მიუხედავად ამისა, მეფემ გაიფიქრა, რომ არმიის შესაფასებლად მხოლოდ გარეგნობა არ იყო საკმარისი და მისმა ჯარისკაცებმა დიდ ხანს იარეს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. ის დადგა ბრძოლის ხაზის წინ და ლოცვა დაიწყო. ბოლოს და ბოლოს, ის პროტესტანტების თავგამოდებული ქომაგი და დამცველი იყო. რელიგიური რწმენის დემონსტრირება მეფეს ბრძოლისთვის განაწყობდა, ხალხს კი გაამხნევებდა.

რწმენამ, ამბიციამ და ომში იღბალმა შვედეთის მეფე სამშობლოდან შორს წაიყვანა. ის ჯერ კიდევ ცამეტი წლის იყო, როდესაც საშინელი ომის მოწმე გახდა. რელიგიური მიზნით გაჩენილი კონფლიქტი ოცდაათწლიან ომში გადაიზარდა, რამაც ცენტრალური ევროპა მოიცვა. რელიგიამ უკვე უკანა პლანზე გადაინაცვლა. ერთი წლით ადრე გერმანიაში ჩასვლიდან მოყოლებული გუსტავი კათოლიკური საფრანგეთის ფინანსური დახმარებით და დიპლომატიური მხარდაჭერით სარგებლობდა.

15 სექტემბრის დილას გუსტავს არც ფრანგული ფულის და არც მათი დიპლომატიის გამოყენება მოსვლია აზრად. ახლა მისი იარაღი მუშკეტები, შუბები, ხმლები და ქვემეხები იყო. ის და მისი არმია საბრძოლო გამოცდის წინ იდგა.

გუსტავი ამ გამოცდას თავდაჯერებული ხვდებოდა. მისი და საქსონელი მოკავშირეების 42 000-იანი არმია რიცხვობრივ უპირატესობას ფლობდა მოწინააღმდეგის 35 000-კაციან არმიაზე. უფრო მეტიც, გუსტავის არმიის ძირითადი ნაწილი (ერთი-მეოთხედიდან ნახევრამდე) მამაცი და კარგად გაწვრთნილი შვედი და ფინელი გლეხებისგან შედგებოდა. დანარჩენი მებრძოლები გერმანიიდან და შოტლანდიიდან იყვნენ. მეფემ თავად იზრუნა იმაზე, რომ ჯარისკაცებს შვედეთის შესაფერისი მაღალი სტანდარტების წვრთნა გაევლოთ და არმიაში სანიმუშო დისციპლინა დამყარებულიყო.

ერთადერთი, რაც შვედეთის მეფეს აღელვებდა, მისი მარცხენა ფლანგი იყო, სადაც საქსონელი მოკავშირეები იდგნენ. საქსონელი პრინცი იოჰან გეორგი უხალისოდ ჩაერთო ომში. მან

ნეიტრალიტეტი მხოლოდ მას შემდეგ დათმო, რაც ტილის არმიამ საქსონია დაიპყრო და უკან დაბრუნებულმა ძარცვას მიჰყო ხელი. საქსონელმა პრინცმა თავისი მიწა-წყლის დასაცავად დაუყოვნებლივ გამოიყვანა მილიციური ქვედანაყოფი და ახალწვეულები. საქსონელები მონდომებული ჩანდნენ, მაგრამ გუსტავმა იცოდა, ისინი ისე მამაცად ვერ იბრძოლებდნენ, როგორც მისი კარგად გაწვრთნილი არმიელები.

ლოცვის დასრულების შემდეგ გუსტავმა ისევ მის წინ სამი მილის მანძილზე ორ მწკრივად განლაგებულ არმიას მიაპყრო მზერა. მეფემ, წესისამებრ, კავალერია ფლანგებზე განალაგა, ცენტრი კი ქვეითებს დაუთმო. მძიმე არტილერია არმიის სათავეში იდგა. გუსტავმა განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ორივე ფრთაზე მეთაურები დანიშნა, თვითონ კი ცენტრალურ ძალებს ჩაუდგა სათავეში. მეფეს სანდო ვეტერანები უმშვენებდნენ მხარს. მარჯვენა მიმართულებას ფელდმარშალი ბანერი ხელმძღვანელობდა, მარცხენას _ ფელდმარშალი ჰორნი, სადაც შვედების შენაერთი საქსონელებთან ერთად ლაიფციგ-დუებენის გზისკენ უნდა წასულიყო.

თუ გუსტავისთვის დამახასიათებელი ჯარების განლაგების ზოგადი ფორმა პრაქტიკაზე იყო დაფუძნებული, ამას ვერ ვიტყოდით დეტალებზე. შვედების ქვეითი ჯარი მცირე ბრიგადებად იყო დაყოფილი. წინ შუბების თხელი კედელი იყო აღმართული, ფლანგებზე კი ექვს მწკრივად განლაგებული მუშკეტერები იდგნენ. ასევე უნივერსალური იყო თითოეულ ბრიგადასთან სამ-სამი ან ოთხ-ოთხი ,,საპოლკო“ ქვემეხების დაყენება. უფრო კურიოზული იყო მუშკეტერთა ასეულების შენაერთის დაყენება ფლანგებზე კავალერიის მხარდასაჭერად.

გუსტავიდან ტილის არმიის დანახვა მეფეს ერთი მილის სიშორეზე შეეძლო. მან ისიც შეამჩნია, რომ ტილიმ კავალერია ფლანგებზე განალაგა, ქვეითები - ცენტრში და ქვემეხები - წინ. შვედების ხაზოვანი წყობის საპირისპიროდ იმპერიალისტთა ქვეითი ჯარი ხშირ-ხშირად, პოლკის ფალანგებად იყო გაშლილი, ცენტრში შუბებისგან მართკუთხა ფორმის ჯგუფები იქმნებოდა, ოცდაათი კაცი სიგრძეზე და ორმოცდაათი - სიგანეზე. მუშკეტერები უფრო მცირე კვადრატული ფორმის ჯგუფებად კუთხეებში იდგნენ. გუსტავმა შენიშნა, რომ მოწინააღმდეგის კავალერია ზუსტად მარჯვენა ფლანგის პირისპირ იდგა. შავი ჯავშნის მიხედვით მეფეს შეეძლო ევარაუდა, რომ ეს პაპენჰეიმის, ევროპაში ყველაზე საშიში კავალერიის მეთაურის, მძიმე კავალერია იყო.

გუსტავის მახვილი თვალისთვის იმპერიალისტური არმია საშიშ ძალად გამოიყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ბავარიელების, ავსტრიელების, იტალიელების და ხორვატების მრავალეროვნული შენაერთი, ტილის დაქვემდებარებაში მყოფ ვეტერანებს ჯერ დამარცხება არ ენახათ. სულ რამდენიმე თვის წინ იმავე არმიამ საშიში რეპუტაცია დაიმკვიდრა მაგდებურგის ქალაქის დაპყრობისა და გაძარცვის გამო. იმპერიალისტურმა ჯარებმა 20 000-ზე მეტი მაცხოვრებელი მოკლეს სასტიკი ომის დროს. გუსტავს მეტად აღიზიანებდა კრიტიკოსების აზრი იმის შესახებ, რომ მას შეეძლო მაგდებურგი ეხსნა დამპყრობლებისგან.

ახლა მეფეს აღარ ჰქონდა დრო შანსების ხელიდან გაშვებისა და შესაძლებლობების დაკარგვისთვის. ბრძოლა საარტილერიო დუელით დაიწყო, რომელმაც ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. როგორც მეფე მოელოდა, მისი მძიმე არტილერია რიცხვობრივად ჯობდა იმპერიალისტთა ქვემეხებს, ორმოცდათერთმეტი ოცდაშვიდის წინააღმდეგ, კარგად გაწვრთნილმა შვედმა არტილერისტებმა სამჯერ გაუხსნეს უწყვეტი ცეცხლი მოწინააღმდეგეს. ბოლოს და ბოლოს, გულფიცხელმა პაპენჰეიმმა გადაწყვიტა, რომ არ უნდა დაეშვა მისი ცნობილი კავალერიის უძრავ სამიზნედ ყოფნა. მან 7 000 ცხენოსანი გაგზავნა შვედების მარჯვენა ფლანგთან საბრძოლველად.

საბრძოლო ყიჟინით მიმავალი იმპერიალისტთა კავალერია სასურველი სამიზნე იყო, თუმცა თავიანთი სიმრავლით ერთი შეხედვით ჩანდა, რომ გენერალ ბანერის ფრთას გადაუვლიდნენ. შვედების ქვედანაყოფთან ხმალდახმალ შებრძოლების ნაცვლად პაპენჰეიმის კავალერია მოწინააღმდეგისგან მოკლე მანძილზე გაჩერდა და პისტოლეტებიდან ცეცხლი გაუხსნა შვედებს. ეს იყო დღის მოვლენა: კარაკოლე. კავალერიამ უარი თქვა შოკის მომგვრელ მოქმედებაზე, რათა მხარი დაეჭირა პისტოლეტებიდან გახსნილი შეზღუდული ცეცხლისთვის. ისინი თავიანთი ცხენებით პისტოლეტის სასროლ მანძილზე უნდა მიახლოებოდნენ მოწინააღმდეგეს, გაეხსნათ ცეცხლი და შემდეგ იარაღის დასატენად ისევ უკან დაეხიათ. როგორც კი პაპენჰეიმის კავალერია შვედებს მიუახლოვდა, უსიამოვნო შოკი მიიღო. შვედური კავალერიის ესკადრონებს შორის განლაგებულმა მუშკეტერების ასეულებმა მომაკვდინებელი ცეცხლი გაუხსნეს მას და ხელი შეუშალეს კარაკოლეს ქორეოგრაფიულ დემონსტრაციას. მუშკეტერების ცეცხლით უკუგდებულმა პაპენჰეიმის ხალხმა შემდგომი შოკი მაშინ მიიღო, როცა შვედების ფრონტის ხაზზე მდგარმა კავალერისტებმა და სარეზერვო ძალებმა შემხვედრი იერიში წამოიწყეს. შვედმა კავალერისტებმა ახლა ხმალდახმალ შეუტიეს მოწინააღმდეგეს. პაპენჰეიმის ცხენოსნებმა უკან დაიხიეს.

სურ. 30 გუსტავ ადოლფუსი ბრეტენფელდის ბრძოლაში

პაპენჰეიმს ადვილად არ დაუთმია ბრძოლა. მან კიდევ ექვსჯერ შეუტია შვედების ფრონტსა და ფლანგს, თუმცა ექვსჯერვე უკუაგდეს. არაქათგამოცლილმა იმპერიალისტებმა ხელი აიღეს გენერალ ბანერის ფრთაზე შეტევის განხორციელებაზე, რადგან შვედმა რეზერვისტებმა ისინი ბრძოლის ველიდან გააძევეს.

სხვა ფლანგზე ბრძოლა სხვანაირად წარიმართა. შვედების მარჯვენა ფლანგზე პაპენჰეიმის ნაჩქარევი შეტევა რომ ნახა, ტილიმ გადაწყვიტა მისთვის მხარი დაეჭირა და კავალერიის ძალები გაგზავნა გუსტავის მარცხენა ფლანგზე მდგომ საქსონელებთან საბრძოლველად. შედეგად საქსონელები უკუიქცნენ. პირველად საქსონელთა კავალერია გაიქცა, შემდეგ კი ქვეითი ჯარი; საყოველ-

თაო პანიკაში მათ თავიანთი პრინცი ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. საქსონელებმა სირბილით მიაღწიეს ეილენბურგამდე, 10 მილის დაშორებით. ამრიგად, შვედების მეფემ მოწინააღმდეგის ერთი დარტყმით მარცხენა ფლანგიც დაკარგა და რიცხობრივი უპირატესობაც.

სამოცდათორმეტი წლის ტილი საკმაოდ მოხერხებული და გამოცდილი იყო იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაეშვა. მან მალევე უბრძანა თავის ოთხ ძლიერ ქვეით ფალანგას იმპერიალისტთა ცენტრი დაეტოვებინა და მოწინააღმდეგის დაშლილი ფლანგისკენ წასულიყო. როდესაც ფალანგები საქსონებისგან დაცარიელებულ ადგილს მიაღწევდნენ, ისინი მარცხნივ უნდა შებრუნებულიყვნენ, შვედების ხაზის პერპენდიკულარულად. შემდეგ მათ კავალერიის მხარდაჭერით სრული გამარჯვება უნდა მოეპოვებინათ მოწინააღმდეგეზე. იმპერიალისტთა პოლკებმა გადაადგილება დაიწყეს; ისინი შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.

კრიზისის დრო დადგა. საქსონელთა უკუგდების შემდეგ ტილის მარჯვენა ფრთაზე მდგომმა კავალერიამ, ავსტრიელებმა და იტალიელებმა თავიანთი ყურადღება შვედების დაუცველი ფლანგისკენ გადაიტანეს. ზოგმა ფლანგს შემოუარა და შვედების ზურგში შეიჭრა, სადაც აღალის გაძარცვა დაიწყო. ზოგმა კი გუსტავის ქვეით ჯარს დაარტყა. შვედებს რეაგირებისთვის მხოლოდ წუთები რჩებოდათ. ცენტრალურ პოზიციაზე მდგარმა შვედების მეფემ მთელი დატვირთვა მარცხენა ფლანგის მეთაურზე, ფელდმარშალ ჰორნზე გადაიტანა.

ნდობამ გაამართლა. ტაქტიკური მოქნილობის უპირატესობით შეგულიანებულმა ჰორნმა კარგად გაწვრთნილი 4 000 შვედი ქვეითი ლაიფციგ-დუებენის გზაზე პოზიციაზე გადაიყვანა. ჰორნმა შუბოსნები და მუშკეტერები ერთ ხაზზე დააყენა, აქვე გამართა პოლკის ქვემეხებიც. იმპერიალისტთა შეტევის მოლოდინში ჰორნს სიბრაზე ემატებოდა. ჰორნმა იცოდა, მას მეფე დაეხმარებოდა, მაგრამ მანამდე მას რიცხვობრივი უპირატესობა, 5/1-ზე უნდა ჰქონოდა. მოსალოდნელი ტრიუმფის იმედით იმპერიალისტებმა ,,ვიქტორიას“ (გამარჯვება) ყვირილი დაიწყეს.

ის, რაც შემდეგ მოხდა, იყო გუსტავის ხალხის გაწვრთნილობის და შვედური ტაქტიკური სისტემის უპირატესობის გამოცდა. შვედებისა და სარეზერვო კავალერიის ცეცხლმა ტილის კავალერიას უკან დახევა აიძულა, როდესაც ის კარაკოლეს შესრულებას ცდილობდა. შემდეგ, როცა იმპერიალისტთა ფალანგებმა ძლივსძლიობით ისევ თავიანთი პოზიცია დაიკავეს, ისინი ინტენსიური ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასეთი ცეცხლი მათ არასოდეს ენახათ. უმეტეს არმიებში დამკვიდრებული სტანდარტების მიხედვით მუშკეტერებს ინდივიდუალურად უნდა გაეხსნათ ცეცხლი და შემდეგ ზურგისკენ წასულიყვნენ, რათა ხელახლა დაეტენათ იარაღი. ამის ნაცვლად, სამ მწკრივად განლაგებულმა შვედმა მუშკეტერებმა ერთდროულად ზალპური ცეცხლი გასხნეს. ამგვარი მასირებული ცეცხლის ფიზიკური ეფექტი უზარმაზარი იყო, ხოლო მორალური ეფექტი - კიდევ უფრო დიდი. ცეცხლისგან უკუგდებული ფალანგები ცდილობდნენ, შვედების მწკრივებს მანამდე მიახლოებოდნენ, სანამ ისინი ხელახლა დატენას მოასწრებდნენ. მაგრამ სანამ ისინი მუშკეტერებს დაარტყამდნენ, შვედების შუბოსანთა ასეულების საპასუხო შეტევის მოგერიება უნდა მოესწროთ. როგორც კი იმპერიალისტთა ქვეითი ჯარი მწკრივებში მიიჯრებოდა თავდასხმის მოსაგერიებლად, შვედი შუბოსნები უკან იხევდნენ და სროლის სექტორს უთავისუფლებდნენ თავიანთ მუშკეტერებს, რომლებსაც უკვე მოესწროთ იარაღის გადატენა და მზად იყვნენ მომდევნო ზალპის გასახსნელად.

შვედების მეფემ ეს მომენტი მოწინააღმდეგეზე დარტყმისათვის გამოიყენა. მას სახე მტვრისგან და დენთის კვამლისგან მთლიანად გამურული ჰქონდა. მეფე თავის სარეზერვო კავალერიას ტილის ცენტრისკენ წარუძღვა. მან გაარღვია იმპერიალისტთა ხაზის ცენტრში მდგომი ბატარე-

ები და ქვემეხების გათვლებს შორის ხმლით გაიკვალა გზა. შვედმა არტილერისტებმა რამდენადაც შეეძლოთ, სწრაფად შემოაბრუნეს დიდი ქვემეხები მათი ყოფილი მფლობელების წინააღმდეგ. ამის ატანა იმპერიალისტურ მორალს უკვე აღარ შეეძლო. უკან წასული პაპენჰეიმი დასავლეთით იდგა; აღმოსავლეთის ფალანგები დაქსაქსულნი იყვნენ. ცენტრი გარღვეული იყო. შვედების მეფემ კავალერია მოწინააღმდეგეს დაადევნა და შვებით ამოისუნთქა. მან ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ის სისხლიანი დღე, როგორც იქნა, დამთავრდა.

ამით იმპერიალისტთა განკითხვის დღე არ დასრულებულა. ტილის ერთ-ერთმა მეთაურმა საქსე-ლაუენბერგის ჰერცოგმა დაინახა, როგორ ურტყავდა შვედი ოფიცერი მოხუც გენერალს პისტოლეტის ლულით. ჰერცოგმა შვედს ესროლა და დაჭრილი ტილი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა. დაჭრილი იყო მონტეკუკოლიც, რომელიც პაპენჰეიმის შენაერთში კავალერიის ასეულის მეთაურად იბრძოდა. მას მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მონტეკუკოლმა სცადა ბრძოლის ველიდან გაეღწია თავი, მაგრამ მომდევნო დღეს ის შვედებმა შეიპყრეს. საბოლოოდ, ტყვედ ჩავარდნილმა მონტეკუკოლმა შვედებისგან საკუთარი ფულით გამოისყიდა თავი.

გუსტავი მოპოვებული გამარჯვების გაანალიზებისას კმაყოფილი იყო, რომ მან ტილის ხალხს მძიმე დარტყმა მიაყენა. მეფის ხალხმა ბრძოლის ველზე მოკლული 7.600 იმპერიალისტი დაითვალა. 3.000 კაცი ტყვედ აიყვანეს. ამას აემატებოდა გაქცევის დროს დაშავებულთა და დაჭრილთა რაოდენობა. საერთო ჯამში, ტილის არმიამ 20.000 კაცზე მეტი დაკარგა. გუსტავის ზარალი კი 2.000 კაცზე ოდნავ მეტი იყო.

როგორ შეიძლება განვმარტოთ შვედეთის მეფის აბსოლუტური გამარჯვება? რა შეიძლება ვისწავლოთ ამ პატარა საბრძოლო ეპიზოდიდან გარდა 350 წლის წინანდელი სისხლიანი მოვლენისა? ამ კითხვებზე პასუხი აშკარაა - ჩვენ უნდა შევაფასოთ გუსტავის მიღწევები ჩვენი დოქტრინების პირობებისა და კონცეფციების მიხედვით. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვედებმა იმიტომ გაიმარჯვეს, რომ მათ ზედმიწევნით გამოიყენეს ,,არმიის ოპერაციების პრინციპები“: მოქნილობა (ჰორნის უნარი, ძალები მარჯვენა ფლანგზე გადაესროლა), ურთიერთშეთანხმებული მოქმედება (შვედი შუბოსნების, არტილერისტების (მექვემეხეების) და მუშკეტერების სინერგიული ეფექტი) და განლაგების სიღრმე (შვედების მეორე მწკრივის სარეზერვო ძალები თანამებრძოლებს დაეხმარნენ ორივე ფლანგზე მდგომარეობის გამოსწორებაში). მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია წინ წამოვწიოთ შვედების მეფის მიერ საბრძოლო ძალის ელემენტების საუკეთესოდ გამოყენების მომენტი; მეფის ლიდერულ თვისებებთან შერწყმულმა მუშკეტერების საცეცხლე სიმძლავრემ, ასევე, ქვეითი ბრიგადებისა და კავალერიის ესკადრონების მანევრულობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა წარმატების მოპოვებაში. ამგვარი ანალიზი სამხედრო სპეციალისტებისთვის ადვილი გასაგებია, მაგრამ ჩვენ რეალურად რა დასკვნებს გავაკეთებთ აქედან?

თუ ჩვენ უბრალო ენაზე მოვლენების ჩამონათვალს მოვყვებით, მაშინ მოგვინდება მეტი შევიტყოთ ბრძოლის არსის შესახებ. ზემოთ აღწერილი მცირე საბრძოლო ეპიზოდი ვერაფერს გვეუბნება სტრატეგიული და ოპერატიული წინაპირობების შესახებ. რატომ იყო შვედეთის არმია ღრმად შეჭრილი გერმანიის ტერიტორიაზე 1631 წელს? რატომ დაიპყრო ტილმა ნეიტრალური საქსონია? როგორ მივიდა ორი არმია ბრეტენფელდამდე?

ოპერატიული და სტრატეგიული ფონის მიღმა ისტორიის ფაკულტეტის სამხედრო სტუდენტი მოისურვებდა კითხვა დაესვა იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნა შვედეთის მეფემ თავისი არმია იმ დროისათვის ასეთ განსხვავებულ და უპირატეს არმიად. აქ უნდა გავითვალისწინოთ მაიკლ ჰოვარდის აზრი სამხედრო ორგანიზაციების შესახებ, რომელიც გამოხატა თავის ცნობილ სტატი-

აში - ,,მშვიდობიანობის ხანის სამხედრო მეცნიერება“. მათი პროგრესი, ამბობდა ის, განისაზღვრება ,,სამკუთხა დიალოგით“ ოპერატიულ მოთხოვნებს (და შედეგად შემუშავებულ დოქტრინას), ფინანსურ შეზღუდვებსა (რესურსები) და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს შორის. როგორ წარმართა ეს დიალოგი გუსტავ ადოლფუსმა? მოდით, გავიხილოთ თითოეული ელემენტი.

აღნიშნული ბრძოლის დროს შვედეთის არმიის დოქტრინა ბევრად ჯობდა მოწინააღმდეგის დოქტრინას. როტენბურგის სტატიაში - ,,თანამედროვე სტრატეგიის შემქმნელები“ - რამდენიმე მიზეზია დასახელებული. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილი იყო მორის ორანელი. ამ ჰოლანდიელმა მეთაურმა დაამტკიცა, რომ დისციპლინით გამორჩეულ და კარგად გაწვრთნილ ჯარს ხაზოვან წყობაში მაქსიმალური საბრძოლო ძალის დემონსტრირება შეეძლო. ამგვარი წყობის გამოყენებით მორისის ჯარებმა შეძლეს ეჩვენებინათ, რომ იმაზე მეტი შეეძლოთ, ვიდრე ესპანური ტერციოსაგან (სამოქალაქო გვარდიის ქვედანაყოფი ესპანეთში) თავდაცვა. ტერციო შიშის ზარს სცემდა ევროპას, მაგრამ იმ დღეს მისი ბედი სულ სხვაგვარად წარიმართა. გუსტავმა ჰოლანდიელების მაგალითი შეისწავლა და უფრო მეტ პროგრესსაც მიაღწია, კერძოდ, მუშკეტერთა ათმწკრივიანი წყობა ექვს მწკრივამდე შეამცირა (ოღონდ უფრო გრძელ მწკრივებად). მან ასევე უარყო შუბოსნების პასიური, თავდაცვითი როლი და მათ მოწინააღმდეგესთან ახლოს მუშკეტების ცეცხლში ბრძოლა ასწავლა.

გუსტავის კავალერიის დოქტრინაც გამოცდილებისა და უცხო ქვეყნის მაგალითის საფუძველზე შეიქმნა. შვედებმა პოლონელების წინააღმდეგ კარაკოლის გამოყენება სცადეს, რასაც საშინელი შედეგები მოჰყვა. პოლონელმა კავალერისტებმა თავიანთი ძირითადი იარაღით, ხმლებით და შუბებით, ცხენებზე ამხედრებულებმა მუსრი გაავლეს პისტოლეტებით შეიარაღებულ შვედებს. გუსტავმა გადაწყვიტა, რომ მის კავალერიასაც შოკისებურ მოქმედებაზე (და არა ცეცხლით) უნდა გაეკეთებინა აქცენტი. მან თავის ცხენოსნებს ასწავლა, როგორ ებრძოლათ პოლონელებივით. გუსტავმა სიახლეც შეიატანა და კავალერიის მხარდასაჭერად მუშკეტერთა ასეულები გამოყო.

ამ და სხვა პრაქტიკის საფუძველზე გუსტავმა საკუთარი დოქტრინა შეიმუშავა. ეს დოქტრინა ახალბედა მეომარს უღვიძებდა იმის სურვილს, რომ მასში გადმოცემული პრაქტიკული გამოცდილება ეფექტური საბრძოლო სისტემისთვის მოერგო, რომელიც ბრეტენფელდში იქნა გამოყენებული. დოქტრინა მეთაურს ბიძგს აძლევდა მასზე დაქვემდებარებული პირებისთვის ბრძოლის ველზე ინიციატივის გამოჩენის ნება მიეცა. შვედეთის არმიის უმცროს ოფიცრებს სტიმულს აძლევდნენ, რომ დამოუკიდებლად ეაზროვნათ, რადგან შვედური სისტემის მოქნილობა სწორედ ამაზე იყო დამყარებული.

რა როლი შეასრულეს ფინანსურმა შეზღუდვებმა? როგორ შეძლო შვედეთისნაირმა ღარიბმა და მცირერიცხოვანმა ქვეყანამ გერმანიის ტერიტორიაზე მასზე ბევრად ძლიერ არმიასთან შებრძოლება? აქაც პასუხი შვედურ ინოვაციაში (სიახლეებში) უნდა ვეძებოთ. დაქირავებული ჯარისთვის უზარმაზარი თანხის გადახდის ნაცვლად გუსტავმა შვედეთის ჯარი შვედი გლეხებისგან შექმნა. მისი ჯარისკაცები ბევრად სჯობდნენ სხვა არმიების დაქირავებულ მეომრებს. ისინი უფრო ლოიალურებიც იყვნენ. გუსტავის ეფექტური ბიუროკრატიის წყალობით შვედი მეომრები გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ. ასეთი რამ სხვა მონარქებს არ გაუკეთებიათ. უფრო მეტიც, დიპლომატია (სხვა ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა) გუსტავს ფინანსურ სიძლიერეს ჰმატებდა და იმის საშუალებას აძლევდა, რომ მისი არმია გერმანელი ახალწვეულებით გაეზარდა, როდესაც გერმანიის ტერიტორიაზე შევიდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფრანგეთის მეფე შვედეთის ომში ძირითადი დამფინანსებელი იყო.

რა როლი შეასრულა ტექნოლოგიამ? პოლკის მობილური ქვემეხები ევროპის ლიდერი შვედური მეტალურგიის ნაწარმი იყო. გუსტავს თავის ქვეყანაში ნიდერლანდებიდან და გერმანიიდან საუკეთესო ლითონგადამამუშავებელი დანადგარები შეჰქონდა. ამრიგად, შვედურმა ტექნოლოგიამ იმდენად მსუბუქი ქვემეხი გამოუშვა, რომ მისი გადატანა ჯარისკაცებსაც შეეძლოთ ხელით და საჭირო აღარ იყო ცხენებზე მისი გამობმა.

ამის შემდეგ გუსტავმა სცადა ჰოვარდის ,,სამკუთხა დიალოგის“ სამივე ასპექტი თავისი არმიის მშენებლობის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა. დოქტრინული ინოვაციის, მდიდარი რესურსების და ტექნოლოგიური უპირატესობის წყალობით გუსტავმა შექმნა არმია, რომელმაც ბრეტენფელდის ბრძოლა მოიგო. ამ დრამატულმა გამარჯვებამ ყველა ევროპელი ჯარისკაცის ყურადღება მიიპყრო. მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორიკოს ჯონ ლინის ტერმინით, გუსტავ ადოლფუსის ძალები თანამედროვეობის ,,პარადიგმულ არმიად“ იქცა. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ომში მიბაძვა ადამიანებს ყველაზე მეტად უყვართ, სხვა ევროპულმა არმიებმა გადაწყვიტეს შვედური ტაქტიკური სისტემა თავიანთ პრაქტიკაშიც გამოეცადათ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც იმპერიალისტური ძალები გუსტავს ლუცენთან შეხვდნენ, მათ უკვე ბევრი შვედური ინოვაცია ჰქონდათ ათვისებული. გუსტავს ისინი ერთხელ კიდევ უნდა დაეცა ზურგზე, მაგრამ ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

გუნტერ როტენბერგი თავის ესსეში - ,,თანამედროვე სტრატეგიის შემქმნელები“ - დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გუსტავის ღვაწლს მეჩვიდმეტე საუკუნის სამხედრო რევოლუციაში. როტენბერგის და ბევრი სხვა ისტორიკოსის აზრით, გუსტავმა დიდი წვლილი შეიტანა 1600-იან წლებში ,,სამხედრო საქმეში რევოლუციის“ მოხდენაში. ამ ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი ეპიზოდია ბრეტენფელდი. ისტორიკოს მაიკლ რობერტსის სიტყვებით, ,,ბრეტენფელდმა ყველა სამხედრო აიძულა, დაფიქრებულიყო და ღირებულებები გადაეფასებინა, ევროპა ტაქტიკური რევოლუციის ტრიუმფის მოწმე გახდა. ომის ხელოვნებამ ახლა უკვე სხვა დატვირთვა შეიძინა“.

ლიუცენთან ბრძოლა 1632 წელს

ბრეტენფელდთან გამარჯვების შემდეგ, მთელი ჩრდილოეთი გერმანია გუსტავ ადოლფუსის ხელში აღმოჩნდა. ახლა ის სამხრეთისკენ დაიძრა და გერმანიის იმპერატორს მაინციდან უკარნახა ზავის პირობები, რომლებიც მან არ მიიღო.

1632 წლის გაზაფხულზე გუსტავ ადოლფუსი ბავარიისკენ დაიძრა. მდინარე ლეხზე გრაფი ტილი დაამარცხა (ამ ბრძოლაში ტილი მოკლეს) და აუგსბურგი და მიუნხენი დაიკავა.

გერმანიის იმპერატორი იძულებული გახდა ვალენშტაინი კვლავ მოეწვია, რომელმაც მცირე დროში დიდი არმია მოაგროვა და გუსტავ ადოლფუსი აიძულა სამხრეთ გერმანიიდან წასულიყო.

1632 წლის ნოემბერში საქსონიაში ლიუცენთან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. გუსტავ ადოლფუსს 12 ათასი ქვეითი და 6 500 ცხენოსანი ჰყავდა. ვალენშტაინს ლიუცენის რაიონში 18 ათასი კაცი ჰყავდა, მასთან შესაერთებლად მოიჩქაროდა პაპენჰაიმიც (10 ათასი).

ვალენშტაინის ჯარმა ლიუცენთან 2,5 კილომეტრის საერთო სიგრძის პოზიცია დაიკავა ფრონტით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მარჯვენა ფლანგზე 5 დიდი ესკადრონი იყო განლაგებული (87 კორნეტი), რომელიც მუშკეტერებითა და ქვეითთა ბატალიონით იყო გაძლიერებული. ცენტრში განლაგებული იყო ესპანური ბრიგადა - ქვეითთა 4 ბატალიონი. მარცხენა ფლან-

გზე განლაგებული იყო 6 დიდი ესკადრონი (63 კორნეტი), კროატები და დრაგუნები (28 კორნეტი და 10 ესკადრონი). კავალერია 2 ხაზად იყო მოწყობილი. საბრძოლო წყობის მარჯვენა ფლანგზე განლაგებული იყო ერთი ბატარეა (14 ქვემეხი), ცენტრში - მეორე (7 ქვემეხი).

გუსტავ ადოლფუსმა გადაწყვიტა, დილას ადრე მოულოდნელად თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს. მისი საბრძოლო წყობის ცენტრს ქვეითი ჯარი წარმოადგენდა, რომელიც ორ ხაზად იყო მოწყობილი (თითო მწკრივში 4 ბრიგადა). ფლანგებზე განლაგებული იყო კავალერია, ასევე ორ ხაზად (ყოველ ფლანგზე 12 ესკადრონი). ესკადრონებს შორის არსებულ ინტერვალებში იდგნენ მუშკეტერები. ყოველ ქვეით ბრიგადას 5 დიდი ქვემეხი ჰქონდა, 40 მსუბუქი ქვემეხი არმიის ორივე ფლანგზე იყო განაწილებული.

1632 წლის 16 ნოემბერს შვედები შეტევაზე გადავიდნენ და იმპერიელების მოწინავე ნაწილების შევიწროება დაიწყეს. ბრძოლა საარტილერიო დუელით დაიწყო, ამის შემდეგ გუსტავ ადოლფუსმა ვალენშტაინის ჯარზე იერიში მიიტანა. მისი მარცხენა ფლანგი ჩამორჩა, რადგან იძულებული გახდა ცეცხლის ალში გახვეული ლიუცენისთვის გარს შემოევლო.

თორმეტის ნახევარზე პირველი ხაზის ერთმა შვედურმა ბრიგადამ იმპერიელების ცენტრში განლაგებული ბატარეა ჩაიგდო ხელში. მეორე ბრიგადის ხელშეწყობით შვედებმა იმპერიელების ორი ბატალიონი მოიგერიეს, მაგრამ ამ წარმატების გამოყენება ვერ მოახერხეს. შვედების პირველი ხაზის სამივე ქვეითი ბრიგადა იმპერიელების მესამე ბატალიონის ცეცხლით იქნა შეჩერებული. მათი მეოთხე ბატალიონისა და ცხენოსანი ჯარის კონტრიერიშმა შვედების ბრიგადა აიძულა უკან დაეხია და მანამდე დაკავებული 7-ქვემეხიანი ბატარეა დაეტოვებინა. შვედების არტილერიამ საკუთარი ქვეითი ჯარის უკან დახევის დაცვა უზრუნველყო.

შვედების მიერ იმპერიელების მარცხენა ფლანგზე შეტევა წარუმეტებელი იყო. ამ შეტევის დროს მოკლეს გუსტავ ადოლფუსი. ჯარის მეთაურად ბერნჰარდ ვაიმარელი დაინიშნა. მან მთელ ფრონტზე შეტევის განახლება ბრძანა. ეს შეტევა მან ჯერ არტილერიის ცეცხლით მოამზადა. შეტევა 14 საათზე დაიწყო.

შვედების კავალერიამ ორივე ფლანგზე წარმატებას მიაღწია. იმპერიელებს ფრონტიდან შეუტიეს და მათი ორივე ფლანგი მოიცვეს. იმპერიელებმა უკან დახევა დაიწყეს და თანდათან ტოვებდნენ თავიანთ ბატარეებს.

იმ დროს, როდესაც ბრძოლის ბედი უკვე განსაზღვრული იყო, პაპენჰაიმმა (4 ათასი ცხენოსანი) მოულოდნელად შვედების მარჯვენა ფლანგს შეუტია, რომელიც ბრძოლის ველს დაახლოებით 3 საათისთვის მიუახლოვდა. ამ დროს ვალენშტაინმა თავისი ჯარის წესრიგში მოყვანა დაიწყო. ბერნჰარდი მარცხენა ფლანგის რამდენიმე ესკადრონით მარჯვენა ფლანგის დასახმარებლად წავიდა, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. პაპენჰაიმის კავალერიამ უწესრიგოდ უკან დახევა დაიწყო, თვითონ მძიმედ დაიჭრა, ამის შემდეგ იმპერიელების მთელი არმია გაიქცა. ვალენშტაინმა მარცხი განიცადა.

იმპერიელებმა 6 ათასი კაცი დაკარგეს, შვედებმა კი - 3 ათასი.

დასკვნა. ომის მესამე პერიოდი შვედების წარმატებებით აღინიშნა. მათმა მოწინააღმდეგეებმა - იმპერიალებმა და კათოლიკურმა ლიგამ - დამარცხება განიცადეს. ომმა მოაოხრა და დაასუსტა გერმანია.

ოცდაათწლიანი ომის შვედური პერიოდი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს შეიქმნა გაუმჯობესებული ცეცხლსასროლი იარაღის ახალი ტაქტიკა. ეს იყო ხაზოვანი ტაქტიკა,

რომელმაც თავისი უპირატესობა ღრმა წყობასთან შედარებით კიდევ ერთხელ ლიუცენთან ბრძოლის დროს დაადასტურა.

გუსტავ ადოლფუსი, როგორც წესი, რეზერვს არ გამოყოფდა. ხაზოვანი ტაქტიკა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ძირითად მიმართულებაზე თავი მოეყარათ ჭარბი ძალებისთვის და ბრძოლა ფრონტალური შეტაკების სახეს იღებდა. მანევრირება ძალიან რთულდებოდა.

ლიუცენთან შვედების ქვეითი ჯარი ორჯერ გადავიდა შეტევაზე, მაგრამ ბრძოლის ბედი ისევ კავალერიამ გადაწყვიტა, რომელიც ხაზოვანი ტაქტიკის პირობებში მთავარ შემტევ ძალას წარმოადგენდა.

ომის დასასრული და მისი შედეგები. 1648 წელს ოცდაათწლიანი ომი გერმანიის სრული განადგურებით დასრულდა. ამ წელს დადებული ვესტფალიის ზავი გერმანიის საბოლოოდ დაშლისა და საერთაშორისო მნიშვნელობის დაკარგვის მომასწავებელი იყო.

გერმანიის ხარჯზე გაიზარდა შვედეთის ძლიერება, რომელმაც განიმტკიცა საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. სულ უფრო მტკიცდებოდა შვედური აბსოლუტიზმი.

ვესტფალიის ზავის მიხედვით შვედეთმა მიითვისა თითქმის მთელი პომერანია ქალაქ შტეტინთან და კუნძულ რიუგენთან ერთად, მეკლენბურგის ქალაქი ვისმარი, ბრემენისა და ვერბენის საეპისკოპოსოები. ერთი სიტყვით, შვედეთმა შეიძინა ოდერის, ელბის და ვეზერის შენაკადები, რამაც განსაკუთრებული ზიანი მიაყენა გერმანიას.

საფრანგეთმა მიიღო ელზასი და მეცის, ტულისა და ვერდენის საეპისკოპოსოები.

ვესტფალიის ზავმა ცნო თავადების სრული დამოუკიდებლობა და გერმანია გადაიქცა დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონგლომერატად. გერმანიაში 300-მდე დამოუკიდებელი სახელმწიფო და 1000 იმპერიული რაინდული მამული გაჩნდა, რომლებიც ოდნავ განსხვავდებოდნენ წვრილ მემამულეთა სამფლობელოებისგან.

სურ. 31 ვესფალიის ზავის ხელმოწერა ქ. მიუნსტერში-1648 წ.
ოცდაათწლიანი ომის დასასრული ევროპაში

გერმანია საბოლოოდ გაღატაკდა. ომში მან დაკარგა მოსახლეობის 75% (12-13 მილიონი). ომმა გამოიწვია მისი ეკონომიკის განადგურება. მთელი ქვეყანა ერთ ღრმა პროვინციად იქცა. ოცდაათწლიანი ომის გამო გერმანია ევროპის ბურჟუაზიული და კულტურული განვითარების გზას ჩამოშორდა. ქალაქები დაკნინდნენ და დიდი ხნით დაკარგეს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. სოფელმა თავისი პრიმიტიული მეურნეობით უფრო სწრაფად აღიდგინა თავისი პირვანდელი მდგომარეობა.

ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და კულტურის მოშლა - ასეთი იყო ოცდაათწლიანი ომის შედეგები გერმანიისათვის.

სამხედრო ხელოვნების განვითარებისთვის ოცდაათწლიანი ომი მნიშვნელოვან მობრუნების წერტილად იქცა. ახალმა ტაქტიკამ უკვე საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი, გუსტავ ადოლფუსმა მანევრის სტრატეგიის ახალი ფორმები დაამკვიდრა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოწესრიგდა ჯარის მომარაგება, რომელიც სურსათს ახლა საწყობებიდან იღებდა. შეიქმნა ჯარის მომარაგების სასაწყობე სისტემა. ჯარისთვის პურს სალაშქროდ მოწყობილ საცხობებში აცხობდნენ, რომლებიც ჯარს უკან მისდევდნენ.

ყოველ ჯარისკაცს თავის ზურგჩანთაში ედო პურის 3 დღის მარაგი. ასეულის აღალში იდო პურის 6 დღის მარაგი, ხოლო ჯარს უკან მიჰყვებოდა სასურსათო აღალი (მოძრავი საწყობი), რომელსაც ჰქონდა ფქვილის 9 დღის მარაგი. მთლიანად ჯარს სურსათის 18 დღის მარაგი ჰქონდა. საცხობის ამოშენებას 3-4 დღე სჭირდებოდა, ამიტომ არმია მე-5 დღეს უკვე უნდა გაჩერებულიყო და მე-9 დღეს კი უკვე გამომცხვარი პური ჰქონდა, მაგრამ შემდგომ არმიას მხოლოდ ორი დღის სავალზე შეეძლო გადაადგილება, რაც განპირობებული იყო პოლკის აღალის შესაძლებლობებით.

ფრიდრიხ დიდი

გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე სვეჩინი

პრუსია - მუდმივი არმიის ზრდა - დაკომპლექტება - კანტონ-რეგლამენტი - დეზერტირობა - ცემა-ტყეპის დისციპლინა - შტაბი - ქვეითთა ტაქტიკა - კავალერია - ჰუსარები - არტილერია - სტრატეგია - როსბაჰი - ლეიტენი - კუნერსდორფი - ბერენჰორსტი.

პრუსია. XVIII საუკუნის პრუსიის არმია ცალკე განხილვას იმსახურებს. ფრიდრიხის არმია წარმოადგენს განვითარების ბოლო წერტილს, იმ მიმართულების უმაღლეს მიღწევას, რომელიც სამხედრო ხელოვნებამ შეიძინა მორის ორანელის დროს. გარკვეულწილად, სამხედრო ხელოვნების ამ გზით განვითარება აბსურდამდე მიდიოდა და სამხედრო ხელოვნების მომდევნო ევოლუცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეული სასტიკი ძვრის და ევოლუციის სრულიად ახალ გზაზე დაყენების შემდეგ. თვით ცალმხრივობა ფრიდრიხის არმიისა, რაც მასების მიმართ მისი ზიზღის, მისი მხრიდან მორალური ძალების დაუფასებლობის შედეგი იყო, ჭკუის სასწავლებელია, ვინაიდან იძლევა თითქმის ლაბორატორიული გამოცდილების სურათს საბრძოლო მუშაობის იძულებით შესრულებისა ხელოვნური, უსულო ჯარისკაცების მიერ.

ზერელე ისტორიკოსები ხსნიან გერმანიის გაღარიბებას XVII და XVIII საუკუნეებში მისი გაპარტახებით ოცდაათწლიანი ომის დროს. სინამდვილეში კი მატერიალური დანაკარგები სრულიად არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ორი საუკუნით უკან დაეხევინებინა აყვავებული ქვეყანა, ორგანიზაციის და შრომის მიმართ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსახლეობით. მაგრამ,

ოცდაათწლიანი ომის შედეგად, რიშელიეს და მაზარინის პოლიტიკური ხელოვნების წყალობით, გერმანია პოლიტიკურად დაყოფილი იყო ასობით მცირე სახელმწიფოებად; გერმანელებმა დაკარგეს კოლონიებთან ვაჭრობაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ვინაიდან ბურჟუაზიული წყობის პირობებში მსოფლიო გზები გახსნილია მხოლოდ იმ ვაჭრებისთვის, რომლებსაც მხარს უჭერენ სამხედრო ესკადრები. ჰოლანდია, რომელიც ფლობდა მდინარე რეინის შესართავს, გადასახადებს კრეფდა მდინარეზე სანაოსნოდ; შვედეთი იმავეს აკეთებდა მდინარე ოდერთან დაკავშირებით; ყველა გზა გადაღობილი იყო ასობით საბაჟოთი; ძალაუნებურად თითქმის ყველა შემთხვევაში ბაზრები ადგილობრივი ხასიათისა იყო.

ცენტრალური ევროპის ფრანგული პოლიტიკით დამახინჯებულ ამ ფართობზე იქმნებოდა და იზრდებოდა ავაზაკური ტიპის სახელმწიფო - პრუსია. ამ უწყალო, ხარბი სახელმწიფოს პოლიტიკა და მთლიანი წყობილება პირველ რიგში პასუხობდა სამხედრო მოთხოვნებს.

30-წლიანი ომის ბოლოს, 1640 წელს ბრანდერბურგის ტახტზე ფრიდრიხ - ვილჰელმი დიდი კიურფურისტი ავიდა; ამ ჰოჰენცოლერმა „დიდის“ წოდება მოიპოვა იმით, რომ ვალენშტაინისაგან გადმოიღო მისი პოლიტიკა და მართვის ხერხები. ავსტრიამ ვალენშტაინისაგან მემკვიდრეობით მიიღო არმია, XVI საუკუნეში არსებულ ანტინაციონალურ, ანტირელიგიურ, თავისუფალ ტრადიციებთან და სახელმწიფოსგარეთა დინასტიურ ხასიათთან ერთად. ჰოჰენცოლერებმაც კი ვალენშტაინისაგან მიიღეს სამხედრო ანტრეპრიზის იდეა; მხოლოდ ამჯერად ანტერპრენიორები ხდებოდნენ არა კერძო მეწარმეები, არამედ ბრანდენბურგელი კიურფურისტები, რომლებიც თავისი არმიის ძლიერების გამო XVIII საუკუნის დასაწყისისთვის აყავთ პრუსიის მეფეების რანგში. ომი გახდა მათი სპეციალობა, როგორც შემოსავლის წყარო. შიდა მართვის ორგანიზება ხდებოდა ვალენშტაინის საოკუპაციო მართვის მსგავსად. მაზრის სათავეში იდგა ლანდრატი, რომლის ამოცანაც მდგომარეობდა იმის კონტროლში, რომ მაზრას წესიერად შეესრულებინა თავისი ფუნქციები სამხედრო საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ; მასთან მყოფი მოსახლეობის წარმომადგენლები, როგორც ვალენშტაინის სარეკვიზიციო კომისიებში, თვალყურს ადევნებდნენ ბეგარის თანაბარ განაწილებას და ადგილობრივი ინტერესების დაცვას, თუმცა არა არმიის მოთხოვნების საზიანოდ. სამხედრო კომისარიატის ხასიათი აგრეთვე ჰქონდათ ლანდრატების შემდგომ ინსტანციაზე მდგომ საოლქო კოლეგიებს, ხოლო მთავარი საინტენდანტო მმართველობის ხასიათი, რა თქმა უნდა, თავიდან მოიცავდა ცენტრალიზებულ მართვას - გენერალ-კომისარიატს; თუმცა დროის განმავლობაში ცენტრალურ მმართველობაში სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობიდან გამოიყო წმინდა სამოქალაქო კომპეტენციის უჯრედები.

მუდმივი არმიის ზრდა. პრუსიის სამეფოს შემოსავლები შედგებოდა გადასახადებისაგან, რომლებიც გამოიწურებოდა მისი მოსახლეობისაგან; შემოსავლებისაგან მნიშვნელოვანი და სანიმუშოდ მართული სამეფო მამულებიდან და მესამე-იჯარისაგან პრუსიული არმიის გამოყენებისთვის, რასაც ეწოდებოდა სუბსიდიები მდიდარი სახელმწიფოებისაგან, ძირითადად ჰოლანდიისა და ინგლისისაგან, რომელთა საფასურადაც პრუსია თანხმდებოდა მონაწილეობის მიღებაზე მისი ინტერესებისთვის უცხო ომებში. ასე რომ, 1688 – 1697 წლების პერიოდში საზღვაო სახელმწიფოებმა 6.545 ტალერად პრუსია მოისყიდეს ლუი XIV-თან საბრძოლველად. ავაზაკური სახელმწიფო თვალს ფხიზლად ადევნებდა გაურკვევლობებს მეზობლებს შორის, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთვევაში ერეოდა სხვის საქმეებში და თანდათანობით თავის საზღვრებს ამრგვალებდა. პრუსიის ქალაქები ნახევრად სამხედრო დასახლებებს წარმოადგენდა, ვინაიდან, თუ გარნიზონის რიცხობ-

რიობა აღწევდა მოსახლეობის მეოთხედს, დანარჩენ მეოთხედს შეადგენდა ან ოფიცრების ოჯახები, ან ეს მეოთხედი საარსებო წყაროს პოულობდა საჯარისო მოთხოვნების უზრუნველყოფაში.

ეს არის პრუსიული არმიის ზრდის მრავლისმეტყველი ცხრილი

წელი	არმიის რიცხოვნობა	მოსახლეობის რაოდენობა მილიონებში	არმიის ხვედრითი წილი მოსახლეობასთან	მეფობა
1630	1.200	-	-	გეორგ-ვილჰელმი
1640	4.650	-	-	დიდი კიურფურისტი ფრიდრიხ-ვილჰელმი
1688	32.000	1	3%	ფრიდრიხ I, პრუსიის მეფე
1713	36.600	1.5	2.4%	ფრიდრიხ ვილჰელმი I
1740	83.500	2.2	4%	ფრიდრიხ II დიდი
1783	200.000	5.4	3.7%	

რომის იმპერია ინახავდა მუდმივ არმიას, რომელიც არ აღემატებოდა მოსახლეობის 0,5%-ს. ფრიდრიხ II-ის თანამედროვე საფრანგეთი მშვიდობიანობის დროს საბრძოლველად მზადყოფნაში ამყოფებდა 0,5 - 0,7%-ს, რომლის რიცხობრიობაც ომის დროს აღწევდა, მაქსიმუმ, მოსახლეობის 1,2%-ს. მსოფლიო ომის წინ ევროპაში შეიარაღების სფეროში უმძიმესი დაძაბულობის პერიოდში, სახელმწიფოები მშვიდობიანობის დროს ინახავდნენ არმიებს, რომლებიც შეადგენდნენ მოსახლეობის 1%-ს, ხოლო ფრიდრიხ დიდის მამა, ფრიდრიხ ვილჰელმ პირველი _ ძლევამოსილი უნტერ-ოფიცერი, ღარიბ ქვეყანაში პოულობდა შესაძლებლობას და საშუალებებს მზა არმიის შენახვისა, რომელიც აღწევდა მოსახლეობის 4%-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრიდრიხ დიდი წელიწადის უდიდესი ნაწილის განმავლობაში ინახავდა მხოლოდ 143 ათას ჯარისკაცს, დანარჩენ რაოდენობაში კი შედიოდნენ შვებულებაში გაშვებული, საყარაულო სამსახურისაგან გათავისუფლებული ჯარისკაცები (ფრეივახტერები), გამოდის, რომ ის ინახავდა 2,65%-ან არმიას. და ასეთი არმია ყავდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანას, რომელიც სხვებზე მეტად დაზარალდა 30-წლიან ომში, რომელსაც ყავდა მცირე მოსახლეობა და უკიდურესად სუსტად განვითარებული ვაჭრობა და მრეწველობა. მხოლოდ უკიდურესი ეკონომია ხდიდა შესაძლებელს არმიის არა მხოლოდ უზრუნველყოფას ყველაფრით, რაც მას სჭირდებოდა, არამედ ციხე-სიმაგრეების მაღაზიებში არმიისთვის ომის შემთხვევაში პურის 1-2 წლის მარაგის ქონას, გარდა ამისა, ვერცხლის ხელუხლებელი ფონდის შეგროვებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ნებისმიერ წუთში ომის დაწყება ფინანსური კონიუნქტურის გაუთვალისწინებლად.

დაკომპლექტება. 1660 წელს, როდესაც შვედეთს და პოლონეთს შორის ომში პრუსიის ჩარევის შემდეგომი დემობილიზაციის მიმდინარეობისას, მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ 14-18-ათასიანი არმიიდან გარნიზონების ნაწილების გარდა შეენარჩუნებინათ საველე ჯარები 4 ათასის რაოდენობით, მუდმივი არმიის საკითხი პრინციპულად გადაიჭრა, და დაიწყო არმიის თანდანობითი ზრდა; მისი დაკომპლექტება ხდებოდა ნებაყოფლობითი დაქირავების გზით. მაგრამ, ფრიდრიხ ვილჰელმ პირველის მეფობის დროს, რომელიც ენერგიულად შეუდგა არმიის გაზრდას, დაქირავება მხოლოდ სიტყვიერად რჩებოდა ნებაყოფლობითი. მისი წინამორბედი, ფრიდრიხ პირველი

1701 წელს შეეცადა მუდმივი დაქირავებული არმიის გარდა ლანდმილიციის შექმნას მოსახლეობის სავალდებულო ბეგარის სახით. ფრიდრიხ ვილჰელმ პირველმა, რომელსაც თვით სიტყვა „მილიცია“ სძულდა და რომელმაც დააწესა დიდი ჯარიმა ოფიციალურ მიწერ-მოწერაში ამ სიტყვის გამოყენებისთვის, დაშალა ლანდმილიცია, მაგრამ შეინარჩუნა მოსახლეობის სამხედრო ბეგარის პრინციპი. მისი მეფობის დასაწყისიდანვე (1713 წ.) მან დაადგინა, რომ ჯარისკაცს უნდა ემსახურა მთელი სიცოცხლის მანძილზე, სანამ მეფე მას სამსახურიდან არ გაუშვებდა. პრუსიულ არმიაში ჩარიცხვა სამოქალაქო სიკვდილს უდრიდა. პრუსიული არმიის შემადგენლობა საკმაოდ მოწიფული გახდა - უნტერ-ოფიცრების საშუალო ასაკი 44 წელს უდრიდა, ჯარისკაცების უდიდესი ნაწილის ასაკი 30 წელზე მეტი იყო, ბევრი 50 წლის იყო, შეხვდებოდით 60-ზე მეტი წლის მოხუცებსაც. მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე არმიის რიგებში ჯარისკაცის გაჩერების მიუხედავად, არმიის დაკომპლექტება ადვილი საქმე არ იყო. მოსახლეობის სამხედრო ბეგარა თავიდან ხორციელდებოდა უკიდურესად მოუწესრიგებელ, მახინჯ ფორმებში. 1708 წლის ინსტრუქცია მიუთითებდა - ,,გახმაურების გარეშე ხელი ჩაავლეთ ხალხს, რომელთა სოციალური მდგომარეობა უმნიშვნელოა, რომელთა ახლობლები ვერ შეძლებენ დიდი ხმაურის ატეხვას, ამავე დროს დააკვირდით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ სამხედრო სამსახურის მოთხოვნილებებს, მიიყვანეთ ისინი ციხესიმაგრეებში და გადაეცით დამქირავებელთა ხელში.” ასეთმა მითითებებმა გამოიწვია ხალხზე ნადირობა. გლეხები უარს ამბობდნენ ქალაქის ბაზრებზე თავისი საქონლის წაღებაზე, ვინაიდან გზებზე მათ ემუქრებოდათ დამქირავებელთა ჩასაფრებები. ოფიცრებმა მოაწყეს ხალხით ვაჭრობა. ერთი ოფიცერი ათავისუფლებდა მის მიერ დაჭერილ ხალხს საკმაოდ დიდი გამოსასყიდის სანაცვლოდ და სხვისგან იძენდა კარგი ნადავლის ზედმეტობას. განსაკუთრებით თავგამოდებული დამქირავებლები იწვევდნენ ემიგრაციას და მათი რაიონების დაცარიელებას. ამით ზიანი ადგებოდათ მემამულეებს. სხვა ქვეყნებში მემამულეთა პროტესტი სამხედრო ბეგარის წინააღმდეგ, რომელიც ართმევდა მათ მიწების დასამუშავებლად საჭირო მუშა ხელს, საკმარისი იყო სახელმწიფო აგენტების თვითნებობისთვის ბოლოს მოსაღებად, ხოლო პრუსიის მთავრობას, რომელიც თავის ქვეყანაში მოქმედებდა, როგორც დაპყრობილ მხარეში, შეეძლო ნაკლებად გაეთვალისწინებინა მმართველი კლასის ინტერესების დარღვევა. 1733 წელს მაინც გაჩნდა სამხედრო ბეგარის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების მოწესრიგების აუცილებლობა და გამოიცა ,,კანტონ-რეგლამენტი“.

კანტონ-რეგლამენტი. ეს კანონი მნიშვნელოვნად ზღუდავდა კაპიტნების თვითნებობას. ამიერიდან თითოეულ კაპიტანს უფლება ჰქონდა ხალხი დაეჭირა არა მთელი საპოლკო ოლქის მასშტაბით, არამედ არმიის დაკომპლექტების მიზნით ასეულისთვის გამოყოფილ რაიონში. ამ რაიონებშიც ხალხის მრავალრიცხოვანი ჯგუფები გამოიყვანეს კაპიტნის განკარგულებიდან. იკრძალებოდა ხელის ჩავლება: ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არანაკლებ 10 ათასი ტალერის ოდენობის ქონებას ფლობდა, რომელიც მსახურობდა მემამულის მეურნეობაში, საეკლესიო პირების ვაჟებისთვის, უმნიშვნელოვანესი კატეგორიის ხელოსნებისთვის, მრეწველობის ყველა საწარმოს მუშებისთვის, პირებისთვის, რომელთა საქმიანობაში სახელმწიფო დაინტერესებული იყო, დაბოლოს, გლეხის ერთ-ერთი ვაჟისთვის, რომელსაც საკუთარი კომლი ჰქონდა და დამოუკიდებლად აწარმოებდა მეურნეობას. შვიდწლიანი ომის შემდეგ კაპიტანი ასრულებდა დამქირავებლის ფუნქციებს არა ერთპიროვნულად, არამედ კომისიის შემადგენლობაში. ბერლინი არ წარმოადგენდა დამქირავებელ უბანს, მაგრამ ყველა კაპიტანს ენიჭებოდა მის საზღვრებში უმდაბლესი წარმოშობის ხალხის დაქირავების უფლება.

სურ. 32 ავსტრიელი კავალერისტი

სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული ხალხისაგან ვის იღებდნენ ჯარებში? XVIII საუკუნეში სამსახურში მიღებისას არ იყენებდნენ კენჭისყრას; კენჭისყრის როლს ასრულებდა სიმაღლე. პრუსიულ არმიაში განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ მოთხოვნას, რომ ჯარისკაცები მაღლები ყოფილიყვნენ. ტანდაბლებს დამქირავებელი გვერდს აუვლიდა ყურადღების გარეშე, მაგრამ მსხვილი აღნაგობის ადამიანისთვის ძნელი იყო დაქირავებისაგან თავის დაღწევა, მაშინაც კი, თუ კანონის მიხედვით იგი თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან. თვით კანონი ხაზს უსვამდა იმას, რომ თუ გლეხს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, კომლი და მეურნეობა გადადიოდა ვაჟზე, რომელიც ყველაზე ტანდაბალი იყო, ასე რომ ტანმაღალი ვაჟები თავიდან ვერ აიცილებდნენ სამხედრო სამსახურს. თუ ბიჭს ეტყობოდა, რომ მისი სიმაღლე გამორჩეული იქნებოდა, მაშინ 10 წლის ასაკიდან კაპიტანს იგი აღრიცხვაზე აჰყავდა და მას ეძლეოდა მოწმობა, რომელიც მას იცავდა მეზობელი დამქირავებლების მცდელობებისაგან.

დაქირავებულის მორალური თვისებები არანაირ ყურადღებას არ იმსახურებდა. პრუსიულ არმიას, მისი ცემა-ტყეპის დისციპლინით, არანაირი სულიერი ავადმყოფობის არ ეშინოდა. 1780 წელს გამოიცა განკარგულება სასამართლოებისთვის - სასჯელის მოხდის შემდეგ ყველა არალეგალური მწერლებისთვის, ამბოხების მომწყობი და მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციით დაკავებული პირებისთვის სამხედრო სამსახურის მისჯის შესახებ.

პრუსიაში დამქირავებელთა დაძაბული მუშაობის, დაქირავების იძულებითი და არა ნებაყოფლობითი ხასიათის მიუხედავად ქვეყანამ შეძლო რეკრუტების მხოლოდ 1/3 შეგროვება იმ რიცხვიდან, რომელიც საჭირო იყო არმიისთვის. დანარჩენ ნაწილს უცხოელები შეადგენდნენ. პრუსიელი დამქირავებლები მუშაობდნენ იმპერიის ქალაქებში, გერმანიის მცირე სათავადოებში, პოლონეთსა და შვედეთში. 1768 წელს პრუსიული არმიის შემადგენლობაში შედიოდა 90 ათასი უცხოელი და 70 ათასი პრუსიელი; სხვა პერიოდებში უცხოელების პროცენტი უფრო მნიშვნელოვანი იყო. საიდან მოდიოდნენ ეს უცხოელები, რომლებიც ვითომდაც ნებაყოფლობით თავს წირავდნენ იმ სამუდამო კატორღაზე სამყოფად, რასაც პრუსიულ არმიაში მსახურება წარმოადგენდა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა რეტბერგის პოლკის ჯარისკაცების შემორჩენილი სია, რომელიც დათარიღებულია 1744 წლით. ერთ ასეულში მომსახურე 111 უცხოელიდან 65-ის გასწვრივ არსებობს შენიშვნა მანამდე სხვა სახელმწიფოსთვის სამსახურის შესახებ; მეორე ასეულში 119 უცხოელიდან იმ ჯარისკაცების რიცხვი, რომლებიც იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში სხვა არმიებში, უდრიდა 92-ს. უცხოელების სამ მეოთხედს შეადგენდნენ დეზერტირები ან ნებაყოფლობით შესული ან პრუსიელი აგენტების მიერ გადმობირებული ჯარისკაცები! ომის დროს უცხოელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ტყვეების მწყობრში ჩაყენების შედეგად. ფრიდრიხ დიდი თვლიდა, რომ პრუსიულ დისციპლინას შეუძლია ადამიანთა ნებისმიერი, ფიზიკურად ძლიერი მასალიდან კარგი ჯარისკაცების შექმნა, და უგულვებელყოფა იმისა, რაც ჯარისკაცის გულში ხდებოდა. იქამდე მიდიოდა,

რომ როდესაც 1756 წელს, შვიდწლიანი ომის პირველ წელიწადში, პირნასთან საქსონელების არმია დანებდა, ფრიდრიხ დიდმა თავი არ შეიწუხა საქსონელი ტყვეების განაწილებით პრუსიელ პოლკებს შორის და უბრალოდ შეცვალა საქსონელი ოფიცრები პრუსიელი ოფიცრებით, საქსონური ბატალიონების ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის გარეშე. თუმცა ამისთვის ფრიდრიხი სასტიკად დაისაჯა ამბოხებების, ოფიცრების მკვლელობების და ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის მხარეზე მთელი ბატალიონების გადასვლის სახით.

სურ. 33 ფრიდრიხ II დიდი, გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. პრუსიის მეფე 1740-1786 წლებში

სურ. 34 პრუსიის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები

ასეთ პირობებში პრუსიელი ჯარისკაცი არ იყო სულიერად შეკავშირებული პრუსიის სახელმწიფოსთან. როდესაც 1757 წელს დანებდა ბრესლავლი, პრუსიელმა კომენდანტმა გამოსთხოვა ავსტრიელებს თავისი გარნიზონისთვის პრუსიაში დახევის უფლება. მაგრამ პრუსიელების გარნიზონის 9/10-მა არ ისურვა შეთავაზებული შეღავათით სარგებლობა, არამედ არჩია ავსტრიულ არმიაში გადასვლა, სადაც სამსახური ბევრად ადვილი იყო.

დეზერტირობა. იძულებით დაქირავებული და სამსახურში იძულებით დაკავებული პრუსიელი ჯარისკაცი ცდილობდა დეზერტირობისთვის თითოეული შემთხვევის გამოყენებას. დეზერტირობასთან ბრძოლა წარმოადგენდა პრუსიელი სარდლობის უმნიშვნელოვანეს საზრუნავს. ყველა 14 პრინციპი, რომლითაც იწყება ფრიდრიხ დიდის ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, გვაუწყებს დეზერტირობის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ზომების შესახებ. 1745 წელს საფრანგეთის ელჩი ვალორი პარიზს მოახსენებდა, რომ პრუსიელ არმიაში იკრძალებოდა მზირთა დაშორება 200 ნაბიჯზე დიდი მანძილით მთავარი ძალებისგან. ყველა განწესის - შეშაზე, წყალზე და ა.შ. - შესასრულებლად იგზავნებოდა რაზმები მიჯრილი მწყობრით და ოფიცრების ხელმძღვანელობით. 1735 წელს ფელდმარშალ ლეოპოლდ დესაუს, ყველაზე დამსახურებული გენერლის რჩევით, გადაწყდა ოპერაციების მიმართულების შეცვლა, რათა გვერდი აევლოთ ძლიერ დასერილი ადგილისთვის მდინარე მოზელზე, სადაც არმიას ემუქრებოდა დიდი დანაკარგი დეზერტირების სახით. 1763 წელს ფრიდრიხ დიდმა გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც ნაწილების მეთა-

ურებისაგან მოითხოვდა ოფიცრების მიზიდვას გარნიზონების მიდამოების შესასწავლად; მაგრამ ადგილი შეისწავლებოდა არა ტაქტიკის მოთხოვნების კუთხით, არამედ ადგილობრივი მონაცემების მოპოვების მიზნით, რომლებიც დაეხმარებოდა დეზერტირების დაჭერაში. ვოლტერის ირონიული შენიშვნით ზოლ-ზოლად მოწყობილი პრუსია წარმოადგენდა საზღვრების სამეფოს; თითქმის ყველა გარნიზონი მდებარეობდა ზღვრიდან არაუმეტეს ორი დღის სავალის მანძილზე და დეზერტირობასთან ბრძოლა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ ფართო, გეგმიური ღონისძიებების ჩატარებით.

ცემა-ტყეპის დისციპლინა. რაც უფრო მკაცრია დისციპლინა, მით ნაკლებად ფასდება რეკრუტების კეთილი ნება და მორალური ღირსებები. ცემა-ტყეპის დისციპლინა, რომელიც სუფევდა პრუსიული არმიაში, აძლევდა მას შესაძლებლობას ჯარისკაცებად გადაემუშავებინა თავგანწირვისადმი ყველაზე ნაკლებად მიდრეკილი მასალა. თავის მხრივ, პრუსიული არმიის დაკომპლექტების ამაზრზენი მასალა - დეზერტირები და დამნაშავეები მთელი ევროპიდან - მხოლოდ შეურყეველი დისციპლინის პირობებში შეძლებდა ბრძოლისუნარიანი ჯარის შექმნას. არსებობდა არმიაში დისციპლინის შენარჩუნების ორი საშუალება. პირველ რიგში, სამწყობრო სწავლება და გაწაფვა მიდიოდა დახვეწილობამდე; მაშინ როცა ფრანგულ არმიაში სამწყობრო სწავლება უტარდებოდათ მხოლოდ რეკრუტებს, ასეულის მთელი შემადგენლობა კი საწვრთნელად გამოჰყავდათ კვირაში ერთხელ, პრუსიულ არმიაში ჯარისკაცი დილიდან საღამომდე დაკავებული იყო სამწყობრო მოედანზე. გაზაფხულის ორი თვის განმავლობაში – აპრილიდან ივნისამდე დაძაბული სამწყობრო სწავლება მიმდინარეობდა ნაწილების სრული შემადგენლობით. წელიწადის დანარჩენ დროს ჯარები დაკავებული იყვნენ ფართო საყარაულო სამსახურით, რომლის ზუსტ შესრულებასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ჯარისკაცების ნაწილი, დაახლოებით ერთი მესამედი, თავისუფლდებოდა საყარაულო სამსახურისაგან და იხსნებოდა ჯამაგირიდან და ულუფიდან. თუ ეს „ფრეიბახტერები“ წარმოიშვებოდნენ იმ უბნის მოსახლეობიდან, რომლითაც ასეული დაკომპლექტდა, მათ უშვებდნენ 10-თვიან შვებულებაში. მათ რიგებში აგრეთვე იყვნენ უცხოელები, რომლებიც ფლობდნენ რომელიმე ხელობას. ისინი აგრძელებდნენ ცხოვრებას ყაზარმებში და თავს ინახავდნენ საკუთარი შემოსავლით.

სურ. 35 პრუსიელი ქვეითების შეტევა

გარდა უწყვეტი სამწყობრო სწავლებისა, რომელიც ვირტუოზობას აღწევდა, დისციპლინის შენარჩუნების ძირითადი საშუალება ჯოხი იყო, რომლითაც ოფიციალურად შეიარაღებულნი იყვნენ უნტერ-ოფიცრები. დისციპლინას შეეწირა ჰუმანურობის ყველა მოთხოვნა, უფლებები და კერძო ინტერესები. ფრიდრიხ დიდი ხშირად იმეორებდა, რომ ჯარისკაცს უნდა ეშინოდეს კაპრალის ჯოხისა უფრო, ვიდრე მტრის ტყვიისა. თავიდან თავის ინსტრუქციებში ფრიდრიხი მიუთითებდა, რომ ჯარისკაცებს ასწავლიან არა ცემით, არამედ მოთმინებით და მეთოდურობით, და რომ ჯარისკაცის ჯოხებით ცემა საჭიროა, მაგრამ ზომიერად და მაშინ, როდესაც დაიწყებს ბევრ ლაპარაკს ან არ გამოიჩენს გულმოდგინებას. მაგრამ ცორნდორფის ბრძოლის შემდეგ, სადაც მან იმედგაცრუება განიცადა მისი ქვეითი ჯარის რუსულ ჯართან შეჯახებისაგან შთაბეჭდილების ქვეშ, მან პირდაპირ ურჩია ოფიცრებს ჯოხს მიძალებოდნენ. კაპიტნის თვითნებობისაგან, რომელსაც შეეძლო ჯოხით სიკვდილამდე ეცემა ჯარისკაცი, მას იცავდა მხოლოდ ის, რაც იცავს მუშა პირუტყვს გამრეკის მიერ დასახიჩრებისაგან: კაპიტანი, რომელიც ჯოხის უზომო გამოყენებით დაასახიჩრებდა თავის ჯარისკაცებს ან გამოიწვევდა დეზერტირობის მატებას, დაზარალდებოდა, ვინაიდან საჭირო იყო ასეულის შენარჩუნება კომპლექტში, ახალი ჯარისკაცების დაქირავება კი ფული ღირდა. მორის საქსონელი ამტკიცებდა, რომ ჯარისკაცების დაქირავებას უნდა ახორციელებდეს არა სახელმწიფო, არამედ, ის უნდა ტარდებოდეს ძველებურად, კაპიტნების მიერ, ვინაიდან, თუ გამოვრიცხავთ კაპიტნების კერძო დაინტერესებას მათ ასეულში მოხვედრილი ჯარისკაცების შენარჩუნებაში, ყველა ჯარისკაცი დაიღუპება. მართლაც, პრუსიაში ჯოხი განსაკუთრებით მძვინვარებდა გვარდიაში, რომლის დაკომპლექტება ხდებოდა არა კაპიტნების მიერ, არამედ მეფის ზედამხედველობით. ფრიდრიხი იძულებული გახდა გამოეცა გვარდიისთვის ბრძანება, სადაც უკრძალავდა ასეულების მეთაურებს ჯოხებით დასჯის დროს სიტყვის დაყოლებას: „ჯანდაბაში გაუშვით, მის ნაცვლად მეფე სხვას გამოგვიგზავნის“. გვარდიის ოფიცრებისთვის დაწესდა ჯარიმა - ჯარისკაცის ჯანმრთელობისთვის ცემით ზიანის მიტანის გამო. ჯარისკაცის ასეთი დასახიჩრებისთვის ოფიცერი მეფეს ზარალს უნაზღაურებდა - ახალი ჯარისკაცის დაქირავების საფასურის სახით და ისჯებოდა 6-თვიანი პატიმრობით მაგდებურგის ციხე-სიმაგრეში. არმიაში, სადაც კაპიტანი თვითონ ანაზღაურებდა ჯოხით ზედმეტი გატაცების შედეგებს, რაიმე შეზღუდვები არ არსებობდა. კადეტთა პრუსიული კორპუსებიდან გამოსული ოფიცრები გამოირჩეოდნენ უხეშობით და მცირე განათლებით. XIX საუკუნის შუამდე პრუსიელი ოფიცრები ლაპარაკობდნენ მდაბიურ, არალიტერატურულ ენაზე.

ფრიდრიხ დიდი ჯარის ოფიცრებს ეპყრობოდა მისთვის ძნელად ასატანი ზიზღით. მის ახლო გარემოს კი შეადგენდნენ გაცილებით უფრო დახვეწილი კულტურის წარმომადგენლები. მეტიც, თავისი „სათავადაზნაურო აკადემიისთვის“ იგი იწერდა ფრანგ პროფესორებს.

სურ. 36 ფრიდრიხ დიდი სამწყობრო დათვალიერებაზე

შტაბი. შვიდწლიანმა ომმა ყველა არმიაში დააყენა შტაბის საკითხი. ძველ დროშიც კი ყველა მხედართმთავარს თავისი შტაბი, თავისი ,,სახლი“ ჰქონდა. სამხედრო საქმის გართულებასთან ერთად და გამომდინარე იქიდან, რომ იზრდებოდა აუცილებლობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისა, რომლებიც სცილდებოდა მხედართმთავრის ფაქტობრივ თვალთახედვას, იზრდებოდა თანამშრომლების მნიშვნელობა. 1515 წელს მარიანოსთან შვეიცარიელი მეთაურები უკვე იყენებდნენ რუკებს. მაკიაველი სამარ მოქმედებათა თეატრის გეოგრაფიას და სტატისტიკას უწოდებს „საიმპერატორო საქმიანობას“, რომელიც აუცილებელია მხედართმთავრისთვის; მის დასახმარებლად უნდა მუშაობდეს გენერალური შტაბი, რომელიც შედგება გონიერი და ძლიერი ხასიათის მქონე პირებისაგან. ეს შტაბი არის მხედართმთავრის მომხსენებელი და ასრულებს მუშაობას, რომელიც ეხება სადაზვერვო სამსახურს, კარტოგრაფიული მასალის შეგროვებას და ამ მასალით უზრუნველყოფას, ჯარების საკვებით მომარაგებას. სადაზვერვო სამსახური - საჯარისო და აგენტურული - ორგანიზებული უნდა იყოს უკვე მშვიდობიანობის დროს და ყველა შესაძლო მოწინააღმდეგესთან მიმართებით. მაგრამ მაკიაველის მოწინავე შეხედულებებმა ასეული წლებით გაასწრეს ევროპული არმიების განვითარების ნამდვილ ტემპს. შტაბის ოფიცრები თითქმის არ გამოირჩეოდნენ ადიუტანტთა საერთო მასიდან; ფელდეგერები უძღვებოდნენ კოლონებს, ინჟინრები ახორციელებდნენ პოზიციების და ვიწრობების რეკოგნოსცირებას და აწყობდნენ ბანაკებს, ტოპოგრაფები (ინჟინერ-გეოგრაფები) კარტოგრაფიულ სამუშაობებს ასრულებდნენ; ყველა არმიას ზოგადად ჰყავდა ამ კატეგორიების ათი-ოცი სპეციალისტი. ომის დროს ისინი წარმოადგენდნენ არმიის შტაბს, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში მათი სამსახური და მომზადება სრულიად არ იყო მოწესრიგებული. მიუხედავად იმ მოხერხებულობისა, რომელსაც ერთპიროვნულ მეთაურობას აძლევდა სახაზო ტაქტიკა, ფრიდრიხ დიდმა იმდენად მწვავედ იგრძნო სათანადოდ მომზადებული თანაშემწეების აუცილებლობა, რომ შვიდწლიანი ომის შემდეგ პირადად მოკიდა ხელი მათ სწავლებას. მან შეარჩია 12 ახალგაზრდა ნიჭიერი ოფიცერი, რომლებსაც წარმოდგენა ჰქონდათ ფორტიფიკაციაზე და დაგეგმვაზე. ორსაათიან მეცადინეობებს, რომლებიც ტარდებოდა სასახლეში (პოტსდამში ან სან-სუსიში) ყოველ კვირას, მეფე იწყებდა მოკლე ლექციით, რომლის დროსაც ავითარებდა რომელიმე თეორიულ დებულებას და ილუსტრირებდა მას მაგალითებით სამხედრო ისტორიიდან, მოითხოვდა ოფიცრების ჩართვას დისკუსიაში, შემდეგ კი თითოეულ ოფიცერს ამოცანას აძლევდა. შემონახულია ვინმე ოფიცერ რიუჰელის რვეული, რომელიც მოიცავს რამდენიმე ამოცანას აღალის კოლონის დაცვის და გაძღოლის ტაქტიკაზე, სოფლის დასაცავად პოლკისთვის პოზიციების გამაგრებაზე, არმიისთვის გამაგრებული ბანაკის მოწყობის პროექტს, სილეზიის მთების აღწერას, თხზულებებს სხვადასხვა სამხედრო თემებზე, ნაშრომებს, რომლებიც თავისი ხასიათით გავდა რეფერატებს სამხედრო-სამეცნიერო თხზულებებისა, რომლებიც სულაც არ იყო პირველხარისხოვანი. XVIII საუკუნის ბოლოს პრუსიის გენერალური შტაბი შედგებოდა 15 ოფიცრისაგან და 15 ტოპოგრაფისაგან.

ქვეითი ჯარის ტაქტიკა. ფრიდრიხ დიდის ტაქტიკა მერყეოდა წმინდა ცეცხლთაყვანისმცემლობიდან ცეცხლის მნიშვნელობის სრულ უგულვებელყოფამდე. იმის მიუხედავად, რომ შენარჩუნებული იყო მწყობრის შემჭიდროება და ცეცხლის წარმოება ხდებოდა ზალპებით, მეთაურების კომანდაზე, შვიდწლიანი ომის თვითმხილველები (მაგალითად, გენერალი ბენერჰორსტი) ამტკიცებდნენ, რომ ქვეითთა ნაწილი, რომელიც სროლას იწყებდა, სწრაფად უსხლტებოდა სარდლობას ხელიდან. მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევით შესაძლებელი იყო ჯარიკაცის დაძალება შეეწყვიტა ცეცხლი და წაწეულიყო წინ. რეალურ ბრძოლაში მხოლოდ პირველი ზალპი იყო

შეთანხმებული; შემდგომში ის გარდაიქმნებოდა უწესრიგო თვითნებურ ცეცხლად. მეორე მხრივ, ცეცხლდაშენის გადამწყვეტი მანძილები მოკლე იყო: ავსტრიული წესდება მოითხოვდა თავდაცვის დროს ცეცხლის გახსნას მაშინ, თუ მოწინააღმდეგე მიუახლოვდებოდა 100 ნაბიჯზე. არსებობდა დიდი ცდუნება მოწინააღმდეგესთან ასეთ მოკლე მანძილზე საცეცხლე ბრძოლაში ჩაბმის არიდებისა. ამიტომ, მორის საქსონელი დაჟინებით მოითხოვდა შეტევის წარმოებას გასროლის გარეშე. შვიდწლიანი ომის დასაწყისისთვის ფრიდრიხ დიდი მივიდა იმავე იდეამდე. ქვეით ჯარს შთააგონებდნენ, რომ მის საკუთარ ინტერესებში იყო არა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ გაჩერება, არამედ მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანა; „მეფე თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას თითოეული ჯარისკაცის წინაშე, რომ მოწინააღმდეგე კი არ გამოიყენებს ხიშტებს, არამედ გაიქცევა“. მართლაც, იერიში ხიშტით, რომელსაც ხიშტებითვე იგერიებენ, უკიდურესად იშვითი მოვლენაა სამხედრო ისტორიაში - ერთ-ერთი მხარე იმარჯვებს მანამდე, სანამ მოხდება ხმალდახმალ შებმა. პრინცი დე ლინი, ბევრი ლაშქრობის თანამხილველი, ადასტურებს, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, 1757 წელს, მას ესმოდა ხიშტის ხიშტზე შეჯახების ხმა.

შვიდწლიანი ომის დაწყებას პრუსიული ქვეითი ჯარი მომზადებული შეხვდა, მაგრამ სულაც არ იყო აღზრდილი იმ ტაქტიკის შესაბამისად, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელიც ისტორიაში რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი იყო. 1757 წლის პრაღის და კიოლნის ბრძოლებში პრუსიული ქვეითი ჯარი ცდილობდა შეტევის განხორციელებას თითქმის გასროლის გარეშე, ფარავდა რა შეტევას მხოლოდ მსუბუქი საბატალიონო ქვემეხების ცეცხლით. შედეგები არასახარბიელო იყო: ერთ შემთხვევაში პრუსიელებმა ძლივს გაიმარჯვეს, მეორეში კი - დამარცხდნენ. პრუსიულ ქვეით ჯარს არ შეეძლო დარტყმის განვითარება, ვინაიდან შემჭიდროების და მწყობრის შენარჩუნებაზე ზრუნვით შეწუხებული ფრიდრიხი უკრძალავდა კიდევაც ქვეითებს დევნას მოწინააღმდეგისა, რომელიც შედრკა და დაიწყო უკან დახევა პრუსიელების მიჯრით მიახლოების შედეგად. მოწინააღმდეგის დანაკარგები შედარებით მცირე იყო, ის არ შეძრწუნებულა ბრძოლით. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გასროლის გარეშე შეტევის შედეგად მოწინააღმდეგე უკან იხევდა, ასეთი შეტევა თავს არ ამართლებდა, ვინაიდან შეტევაზე გადასული ნაწილები მძიმე დანაკარგს განიცდიდნენ, განსაკუთრებით მეთაურების რიგებში, და ვერ ახერხებდნენ ბრძოლის შემდგომ განვითარებას. 1757 წლის კამპანიის ბოლოს - როსბაჰის და ლეიტენის ბრძოლების დროს - პრუსიული ქვეითი ჯარი უკვე სროლით უტევდა, მომდევნო წლის დასაწყისში კი ფრიდრიხ დიდმა აკრძალა შეტევების წარმოება სროლის გარეშე. მოთხოვნები, რომელსაც აყენებდა ბრძოლა დაუძლურებაზე კოალიციის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, აიძულებდა, რომ როგორც სტრატეგიის, ისე ტაქტიკის ევოლუცია წარმართულიყო ომის ეკონომიური წარმოების მიმართულებით.

სასროლეთზე პრუსიელი ჯარისკაცი 4-მდე ზალპს აკეთებდა, საბრძოლო სროლის სიჩქარე კი წუთში 2-3 ზალპს აღწევდა. ბატალიონი იყოფოდა 8 პლუტონგად, რომლებიც ცეცხლს რიგრიგობით აწარმოებდნენ. 20 წამის განმავლობაში ერთმანეთს მოყვებოდა 8-ვე პლუტონგის ზალპები, დაწყებული მარჯვენა ფლანგიდან. და მარცხენა ფლანგის პლუტონგის ზალპის მომენტისთვის, მარჯვენა ფლანგის პლუტონგი მზად იყო ახალი ზალპის განსახორციელებლად. ცეცხლის წარმოების ასეთი ორგანიზაცია მოითხოვდა სროლისას ფეხშეწყობით სვლას, აიძულებდა ცეცხლის შესწორებას, ყურადღების დაძაბვას, ნერგავდა დისციპლინას ჯარებში. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში ასეთი ხელოვნური ცეცხლის შენარჩუნება იშვიათად ხერხდებოდა, სხვა არმიები ცდილობდნენ პრუსიული არმიის მიბაძვას ამ ხრიკში.

ქვეითი ჯარი ორ ხაზს ქმნიდა. თეორიულად ამ ეპოქაში ბატონობდა ირიბი საბრძოლო წყობის იდეა. უკვე მონტეკუკოლი მიუთითებდა სარგებლობაზე, რომელსაც იძლეოდა ძალების წარმართვა მოწინააღმდეგის ერთი ფლანგის წინააღმდეგ, მისი შემორტყმის შესაძლებლობით და მეორის წინააღმდეგ პასიური საფარის გამოყენებით.

ფრიდრიხი შვიდწლიან ომამდე ათი წლის განმავლობაში სწავლებების დროს დაჟინებით ამუშავებდა ირიბი საბრძოლო წყობით შეტევის ტექნიკას. უკანასკნელი შეიძლება დახასიათდეს, როგორც შემორტყმის განხორციელების მცდელობა ფრონტის უწყვეტობის და პარალელური მიმართულებებით შეტევის პრინციპის შენარჩუნებით. საბოლოოდ ფრიდრიხის მიერ შემუშავებული ირიბი წყობის ტექნიკა გადაიზარდა შეტევაში საფეხურებად, როდესაც მოძრაობისას ყოველი შემდეგი ბატალიონი 50 ნაბიჯით ჩამორჩეოდა მეზობელ ბატალიონს. შეტევის ეს ფორმა აადვილებდა წყობის შენარჩუნებას მანევრირების დროს განსხვავებით შეტევისაგან საერთო ფრონტით, რომელიც გაწელილი იყო ორ ვერსზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისთავად ეს ტექნიკა არ იძლეოდა რამენაირ უპირატესობას და კიდევაც აძლევდა მოწინაარმდეგეს საშულებას ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა მიახლოებული პრუსიელები. გადამწყვეტ მნიშვნელობას ეს ტექნიკა იძენდა მაშინ, როდესაც ფრიდრიხი ძალების კონცეტრირებას ახდენდა დამრტყმელ ფლანგზე, სადაც მეფე მესამე ხაზის სახით შლიდა თავის რეზერვს და ზოგჯერ ქმნიდა მეოთხე ხაზსაც ჰუსარებისაგან. მაგრამ, ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა მოულოდნელობას, რომლითაც ფრიდრიხი შლიდა თავის ირიბ საბრძოლო წყობას მოწინააღმდეგის ფრონტის წინააღმდეგ. სავარაუდოდ, ლეიტენის ბროლაში პრუსიული ქვეითი ჯარი, რომელიც უეცრად გამოყვანილი იყო მოწინააღმდეგის ფლანგის გაგრძელებაზე, თანაბარ წარმატებას მიაღწევდა მაშინაც, თუ მიიტანდა უბრალო ფრონტალურ დარტყმას. მაგრამ, ყველა თანამედროვე ხედავდა რაღაც საიდუმლო ძალას პრუსიული ფრონტის „ირიბ“ მანევრირებაში, მეზობლებლები კი ცდილობდნენ მის მიბაძვას.

პრუსიული სახაზო ქვეითი ჯარი მორგებული იყო ბრძოლისთვის მხოლოდ ღია ველზე, სადაც ჯარისკაცი ყოველთვის იმყოფებოდა ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ და სადაც ბოლომდე შესაძლებელი იყო მიჯრილი წყობის შენარჩუნება. დასახლებული პუნქტების არსებობა არახელსაყრელი იყო პრუსიული არმიისთვის. მაშინაც კი, როდესაც პრუსიელები იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ სოფელში, ფრიდრიხი ჯარისკაცებს უკრძალავდა სახლების დაკავებას. პრუსიის მთავარ მოწინააღმდეგეს კი - ავსტრიას - ჰყავდა კარგი და მრავალრიცხოვანი მსუბუქი ქვეითი ჯარი. მასში შედიოდნენ ხორვატები და სხვა ავსტრიელი იანიჩარები. ანუ, ის წარმოადგენდა ჯარის სახეობას - კაზაკებს, რომლებიც იცავდნენ ავსტრიულ-თურქულ საზღვარს. ავსტრიული მსუბუქი ქვეითი ჯარი, რომელიც დაკომპლექტებული იყო მეომარი ნახევრადბარბაროსებით და რომელსაც არ თრგუნავდა დერეზერტირობისაკენ მისწრაფების აღმძვრელი დისციპლინა, ძალიან ოსტატურად იბრძოდა გაფანტული წყობით და ოსტატურად იყენებდა ადგილმდებარეობის თავისებურებებს. შეიძლებოდა ამ ჯარის უფრო ფართო გამოყენება, თუ არა ძველი რეჟიმის არმიების საერთო მისწრაფება, რომელიც უბიძგებდა მათ წასულიყვნენ პრუსიული არმიის მიერ გაკაფული გზით. ხორვატიელები, რომელთა მობაძვა დაიწყეს სხვა არმიების მსუბუქმა ქვეითმა ბატალიონებმა და ეგერებმა, იყვნენ წინამორბედები სხვა პირობებში აღზრდილი და ენთუზიაზმით გამსჭვალული ფრანგული რევოლუციური ქვეითებისა, რომლებმაც აიძულეს სხვა ქვეყნების ქვეითები ეღიარებინათ გაფანტული წყობით ბრძოლის არსებობის უფლება.

პარტიზანულ მოქმედებებთან ბრძოლის აუცილებლობის გამო, რომელსაც ფართოდ ანვითარებდნენ ავსტრიის მსუბუქი ჯარები, ფრიდრიხი იძულებული გახდა გაეზარდა მსუბუქი ქვეი-

თი ბატალიონების რაოდენობა 4-დან 6-მდე. მათი დაკომპლექტება ხდებოდა იმავენაირად, რაც პრუსიის სახაზო ქვეითი ჯარისა. რათა ამ ჯარის უვარგისი შემადგენლობა არ დაშლილიყო, მასზე არ ვრცელდებოდა ცემა-ტყეების დისციპლინა, ის იმყოფებოდა ნახევრად თავისუფალი შინამსახურების მდგომარეობაში და მის მიერ ჩადენილ დარღვევებზე თვალს ხუჭავდნენ. შედეგად, პრუსიელებმა მიიღეს მხოლოდ ავაზაკური ბანდები, რომლებსაც ვერ იტანდნენ ვერც თავისიანები, ვერც სხვები და რომლებიც ძარცავდნენ მოსახლეობას. მხოლოდ ეგერთა ასეულები, რომლებიც მეტყევეებით იყვნენ დაკომპლექტებული, აღმოჩნდენენ სათანადო სიმაღლეზე და სერიოზული სამსახური გაწიეს. მაგრამ სხვა სახელმწიფოებშიც, სადაც მსუბუქი ქვეითი ჯარი უფრო მოხერხებულად იყო ორგანიზებული, ის კვლავ იყო არა რეფორმირებული ქვეითი ჯარი, არამედ შეიარაღების დამხმარე სახეობა.

კავალერია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფრიდრიხ დიდის არმიაში. XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქვეით ჯარში უკვე მიმდინარეობდა ჯარისკაცების შეყრა ტაქტიკურ ერთეულებად, ცხენოსანი ჯარი კვლავ ინარჩუნებდა რაინდულ ხასიათს. ცხენოსანი მებრძოლების პროცენტი დიდად შემცირდა. არმიებს და მათ საბრძოლო მოქმედებებს მიეცათ მკაფიოდ ქვეითი ხასიათი. მაგრამ რეიტერების მსგავსად ცხენოსანი ჯარის ტაქტიკურ ერთეულებად ორგანიზაციაზე გადასვლამ, რომელიც იწვევდა კავალერიის ჯარისკაცის დემოკრატიზაციას, დიდად გაზარდა ცხენოსანი ჯარის პროცენტი და XVII საუკუნის პირველ ნახევარში არმიები შედგებოდა ქვეითების და კავალერისტების თანაბარი რაოდენობისაგან. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მუდმივ ჯარებზე გადასვლის პირობებში არმიების 3-4-ჯერ გაზრდამ პირველ პლანზე გადმოწია ეკონომიის მოთხოვნები - გაიზარდა ჯარების ძირითადად ყველაზე იაფი სახეობა _ ქვეითი ჯარი, კავალერია კი, პროცენტულად შეადგენდა არმიის უფრო მცირე ნაწილს. პრუსიის მუდმივი არმიის შექმნისას დიდი კიურფიურისტის ჯარებში კავალერია არმიის მხოლოდ 1/7 ნაწილს შეადგენდა. XVIII საუკუნის ქვეითი ჯარის მორალური თვისებების გაუარესება, მისი უუნარობა ებრძოლა ადგილობრივი მიწებისთვის, ბრძოლისთვის ღია სივრცეების ძიება, სახაზო საბრძოლო წყობის მექანიკური საფუძვლები - ყველაფერმა ამან XVIII საუკუნეში გაუხსნა ფართო ასპარეზი კავალერიას მოქმედებისთვის, შექმნა „ცხენოსანი ჯარის ოქროს ხანა“. ფრიდრიხ დიდმა თავის არმიაში კავალერიის შემადგენლობა გაზარდა 25%-მდე. მშვიდობიანობის დროს პრუსიის მოსახლეობის 100-200 ადამიანზე მოდიოდა, მაქსიმუმ, ერთი კავალერისტი, რომლის შენახვაც ქვეყანას შეეძლო.

ფრიდრიხმა მეკვიდრეობით მამისაგან მიიღო კარგად დისცპლინირებული, გენერალ ლეოპოლდ დესაუს მიერ აღზრდილი ქვეითი ჯარი. ქვეითი ჯარის განვითარებაში მან ვერაფერი ახალი ვერ შეიტანა, ასე რომ გენერალ ბერენჰორსტის (ლეოპოლდ დესაუს შვილის) სიტყვები, რომ ფრიდრიხს შეეძლო ჯარების გამოყენება და არა მათი აღზრდა, სრულიად გამართლებულია ქვეით ჯარებთან მიმართებაში. მაგრამ კავალერიასთან დაკავშირებით ფრიდრიხი რეფორმატორი იყო. პირველივე ბრძოლაში, რომელიც ფრიდრიხმა გამართა 1742 წელს მოლვიცთან, მისი კავალერია დამარცხდა ავსტრიული კავალერიის წინაშე და თვით ფრიდრიხი ძლივს გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან, მაგრამ დარჩენილი ქვეითი ჯარი, მარტოდ, თავისი ძალებით ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ფრიდრიხი შეუდგა თავისი კავალერიის გადაკეთებას: 400 ოფიცერი გაუშვა სამსახურიდან, სათავეში დააყენა გამორჩეული მხედართმთავრები, კავალერიისაგან მოითხოვა იერიშის მიტანა ფართო ალურით, ჯერ 700 ნაბიჯიდან, შემდეგ კი - 1800 ნაბიჯიდან. ღირსების დაკარგვის შიშით კავალერიის მეთაურები ყოველთვის უნდა ფლობდნენ შეტევის ინიციატივას და პირველები ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს. პისტოლეტებიდან ნებისმიერი სროლა შეტევის დროს

აკრძალული იყო. ფართო ალურით სვლისას ესკადრონებს უნდა ემოძრავათ რაც შეიძლება მჭიდროდ - უზანგი უზანგთან. კავალერიების შეჯახების შედეგი განისაზღვრებოდა არა იარაღის, თუ გინდათ, ცივი იარაღის გამოყენებით, არამედ მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიტანით მხედართა მიჯრილი, კავალირისტთა ერთ მთლიანობაში შერწყმული მასით. წარმოიშვა წარმოდგენა შოკის - საცხენოსნო ზვავის მიწოლის შესახებ, რომელიც თავს ესხმოდა სრული სვლით და თავისი ცოცხალი ძალით ანგრევდა ყველაფერს თავის გზაზე. თუ სერბიელებს ჰქონდათ გამონათქვამი, რომ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვება არა იარაღით, არამედ გმირის გულით, ფრიდრიხის გამორჩეულ საკავალერიო მხედართმთავარს ზეიდლიცს ეკუთვნის აზრი: საკავალერიო შეტევაში გამარჯვება მოიპოვება არა იმდენად ხმლებით, რამდენადაც შოლტებით. სწავლებებზე ზეიდლიცი წვრთნიდა საკავალერიო მასებს განსაკუთრებით ენერგიულად. 1743 წლის პრუსიული წესდების თანახმად ყველა გადაწყობა, რომელიც ტარდებოდა ფრონტის გასაშლელად, აგრეთვე ყველა შეტევა აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო დაოთხებით. როდესაც ფრიდრიხი აქცევდა ზეიდლიცის ყურადღებას მრავალრიცხოვან დასაჩიხრებებზე, რომლებსაც კავალერისტები იღებდნენ სწავლებებზე ცხენებიდან გადმოვარდნის შედეგად, და იმაზე, რომ ამის გამო რთულდებოდა დაკომპლექტების საკითხი, ზეიდლიცმა სთხოვა მას ყურადღება არ მიექცია ასეთი წვრილმანებისთვის.

სიმძიმის ცენტრის შოკზე გადატანასთან ერთად ფრიდრიხის ცხენოსანი ჯარის საბრძოლო მოქმედებებიდან ზოგადად ჩამოისხა ისეთი ფორმა, რომელიც განსაზღვრავდა საკავალერიო მასების მოქმედებებს XIX საუკუნის განმავლობაში. ცხენოსანი ჯარის საბრძოლო წყობა სამხაზოვანი იყო; ცხენოსანი ჯარის ტაქტიკის ხაზოვანი საწყისი დიდ ხანს ძალაში იყო იმის შემდეგ, რაც ქვეითი ჯარი გადავიდა სიღრმესიულ, პერპენდიკულარულ ტაქტიკაზე იმის შედეგად, რომ უპირატესობა ენიჭებოდა კავალერიის მხარდაჭერას არა უკნიდან, არამედ საკავალერიო ბრძოლაში ფლანგების მნიშვნელობის გამო. მხარდაჭერას უკნიდან შეიძლება დაეგვიანა გადამწყვეტი მომენტისთვის ან, წარუმატებლობის შემთხვევაში, მას წალეკავდა უკან დახეული პირველი ხაზი. მხოლოდ ჩამოქვეითებულად ბრძოლის განვითარებამ და წმინდა საკავალერიო ბრძოლაში ტექნიკის (ტყვიამფრქვევები, საპოლკო არტილერია, ჯავშნიანი მანქანები) გამოყენებამ აიძულა ცხენოსანი ჯარი უარი ეთქვა ფრიდრიხის სახაზო ტაქტიკაზე.

ვინაიდან ფრიდრიხის არმია ბრძოლის ველზე წარმოადგენდა ერთ კორპუსს, ერთობლივად მომუშავე ერთ კოლექტიურ სხეულს, მთელი კავალერია გაერთიანებული იყო ორ მასად და იდგა არმიის ფლანგებზე, რაც სთავაზობდა კავალერიის მხედართმთავრებს ფართო ასპარეზს მოქმედებებისთვის და იცავდა კავალერიას ცეცხლისაგან შეტევის მომენტამდე. ასეთი ძლიერი საკავალერიო ფრთების შექმნის ტრადიცია არსებობდა ნაპოლეონის ეპოქამდე.

ჰუსარები. ფრიდრიხ დიდის კავალერია დაკომპლექტებული იყო შედარებით უკეთესი ელემენტებით, ვიდრე ქვეითი ჯარი. თუმცა, ცემა-ტყეპის დისციპლინა კირასირების და დრაგუნების პოლკებში იყო იმდენადვე დაუნდობელი, როგორც ქვეით ჯარში, და კავალერისტთა კეთილსანდომიანობა დეზერტირობის მხრივ არ იყო საკმარის დონეზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მცირე საკავალერიო ნაწილების - ცხენოსანი პატრულების - მნიშვნელოვან მანძილებზე გაგზავნა. ამიტომ, დაზვერვა ფრიდრიხ დიდის არმიაში საკმაოდ სუსტი იყო. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს (მაგალითად, 1744 წელს ბოჰემიაში შეჭრის დროს), როდესაც ავსტრიული მსუბუქი ჯარები ახერხებდნენ პრუსიელების სრულ მოკვეთას შეტყობინების ნებისმიერი წყაროსაგან და პრუსიელებს უწევდათ სრულიად ბრმად მოქმედება. ფრიდრიხ დიდი გამოსავალს ეძებდა მსუბუქი ცხენოსანი ჯარის ორგანიზებაში, რომელიც აღზდილი იქნებოდა ავანტიურიზმის სულიკვეთებით, ისარგებლებდა

რიგი შეღავათებით და რომელზეც არ გავრცელდებოდა არმიის საერთო მკაცრი დისციპლინა. ამ მიზნით ფრიდრიხმა დაიწყო ჰუსარების განვითარება, მათი რიცხვის გაიზარდა 9-დან 80 ესკადრონამდე, მათ აღზდას და განათლებას ფრიდრიხი დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც ვნახეთ შუა საუკუნების დასაწყისის მაგალითზე, არარეგულარული და ნახევრადრეგულარული ნაწილების არსებობა უფრო გამართლებულია კავალერიაში, ვიდრე ქვეით ჯარში, და ფრიდრიხის ჰუსარები ბევრად უფრო სასარგებლო აღმოჩნდნენ არმიისთვის, ვიდრე მისი მსუბუქი ქვეითი ჯარი. თავიდან ჰუსარები მიეკუთვნებოდნენ ქვეით ჯარს და მხოლოდ შვიდწლიანი ომის შემდეგ ისინი მიაკუთვნეს კავალიერიას. ჰუსართა ცხენოსანი შემადგენლობა ბევრად მცირე იყო, ვიდრე სხვა საკავალერიო ნაწილებში. ჰუსარებს ეკრძალებოდათ ცოლის მოყვანა, რათა მათში არ ჩამქრალიყო მოხერხებული პარტიზანების სულისკვეთება.

ამგვარად, XVIII საუკუნის ბოლოს, იძულებით დაქირავებული არმიების დაკომპლექტების და მოწყობის არასრულყოფილებამ განაპირობა ქვეითი ჯარის და კავალერიის დაყოფა სახაზო და მსუბუქ ჯარებად. სახაზო ქვეითი ჯარი და კავალერია იყვნენ ბრძოლის ველის ჯარები. მსუბუქი ქვეითი და ცხენოსანი ჯარები წარმოადგენდნენ ომის თეატრის ჯარებს, რომლებიც რეგულარული მოქმედებებისთვის არასაკმარისად დისციპლინირებულნი იყვნენ და, გარკვეულწილად, წარმოადგენდნენ პარტიზანების სახეობას. ასეთმა დაყოფამ გამოიწვია მწვავე კრიტიკა გამორჩეული გენერლების მხრიდან და მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციამ შეძლო იმ უთანხმოებების აღმოფხვრა, რომლებიც ხელ უშლიდა ერთი და იმავე ნაწილებში მსუბუქი და სახაზო ნაწილების უპირატესობების გაერთიანებას.

არტილერია. არტილერიისთვის ფრიდრიხ დიდის მიერ შემუშავებული ტაქტიკისთვის დამახასიათებელი იყო საბრძოლო წყობის დამრტყმელი ფრთის წინ მძიმე კალიბრის ქვემეხებისაგან შემდგარი მსხვილი ბატარეებიის შექმნის მცდელობა (მოლვიცი, ცორნდორფი და სხვა ბრძოლები), რომელიც თავისი ცეცხლით მოამზადებდა გადამწყვეტ იერიშს. საველე პირობებში მძიმე ქვემეხების გამოყენების ტრადიცია გერმანელებმა გადმოიღეს სწორედ ფრიდრიხ დიდისაგან. პოზიციურმა ხასიათმა, რომელიც შვიდწლიანმა ომმა შეიძინა, საგრძნობი გავლენა მოახდინა არმიის შემადგინლობაში არტილერიის გაზრდაზე. თუმცა, არტილერიის გაზრდის ინიციატივა ეკუთვნოდათ არა პრუსიელებს, არამედ ავსტრიელებს და, ნაწილობრივ, რუსებს, რომლებიც ცდილობდნენ გამაგრებული პოზიციების დაკავებას, რასაც უზრუნველყოფდა ძლიერი არტილერია. რამდენად დიდი გავლენა მოახდინა პოზიციურმა ომმა არტილერიის რიცხობრიობაზე, ჩანს შემდეგი შედარებიდან: მოლვიცთან (1741 წელი) 1000 ქვეითზე პრუსიელებს 2,5 ქვემეხი ჰქონდათ, ავსტრილებს კი - 1 ქვემეხი; ტორგაუსთან (1760 წელი) - პრუსიელებს 6 ქვემეხი ჰქონდათ, ავსტრიელებს კი - 7. იმავე მიმართულებით XX საუკუნეში წავიდა ევროპული არმიების განვითარება მსოფლიო ომში შეძენილი პოზიციური ომის გამოცდილების ზეგავლენის ქვეშ.

სტრატეგია. ფრიდრიხს XIX საუკუნის მასშტაბებთან შედარებით მცირე არმია ჰყავდა. იგი იძულებული იყო შეეწყვიტა საომარი მოქმედებები ზამთრის პერიოდისთვის იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო ველზე ბანაკებად დგომა და ასევე შეუძლებელი იყო დეზერტირობისაკენ მიდრეკილი ჯარისკაცების დაბინავება გლეხების სახლებში, აუცილებელი გახდა ზამთრის ბინების დაკავება. ამის გათვალისწინებით, ფრიდრიხ დიდი ვერ შეძლებდა ფართო გეგმების დასახვას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ღრმა შეჭრასთან დაკავშირებით, მომაკვდინებელი დარტყმის მისატანად. ფრიდრიხ დიდის ეპოქის ბრძოლები დაკავშირებული იყო დიდ დანაკარგებთან როგორც გამარჯვებულთათვის, ისე დამარცხებულებისთვის. გამარჯვება ავსტრიელებზე და საქსონელებზე

სოორესთან (1745 წელი) პრუსიულ ქვეით ჯარს დაუჯდა 25%-ანი დანაკარგის ფასად, ცორნდორფ-თან მოპოვებული წარმატება რუსებზე პრუსიულ ქვეით ჯარს დაუჯდა შემადგენლობის ნახევრის დაკარგვის ფასად, დაღუპულების და დაჭრილების სახით. მოწინააღმდეგის დადევნებას ხელს უშლიდა არმიის შემადგენლობა, რომელშიც წარმატებული ბრძოლის შემდეგ აუცილებელი იყო სრული და მკაცრი წესრიგის დამყარება. ასეთ პირობებში გამარჯვება ყოველთვის არ ამართლებდა დანაკარგებს. არმიის სწრაფი დაკომპლექტების თანამედროვე საშუალებები არ არსებობდა - ზამთ-რის ბინებზე ყოფნისას თითოეული პოლკი თავისთვის ასრულებდა ბატალიონის როლს. ფრიდ-რიხ დიდი ამბობდა, რომ თავისი ჯარებით მას შეეძლო მთელი მსოფლიოს დაპყრობა, გამარჯვება მათთვის რომ არ ყოფილიყო იმდენადვე დამღუპველი, როგორც მოწინააღმდეგისთვის დამარცხე-ბა. მაღაზიების მეშვეობით მომარაგება არმიას უკიდურესად დამოკიდებულს ხდიდა ზურგის მი-მოსვლის გზებისაგან. მხოლოდ ერთხელ, 1744 წელს, ფრიდრიხ დიდი ღრმად შეიჭრა ბოჰემიის ფარგლებში. ავსტრიელმა ფელდმარშალმა ტრაუნმა, რომელსაც რთულად მისაწვდომი პოზიციები ეკავა, მსუბუქი ჯარების მეშვეობით მოახერხა პრუსიელების ზურგისაგან მოწყვეტა და ბრძოლის გარეშე აიძულა ნახევრად შემცირებული პრუსიული არმია უკან დაეხია. ამ ლაშქრობის შემდეგ ფრიდრიხ დიდი ტრაუნს თავის მასწავლებელს უწოდებდა. ომის დასაწყისში, როდესაც ფრიდრი-ხი ფლობდა ძალ-ღონით სავსე გაწვრთნილ არმიას ენერგიული ოფიცრებით, ბატალიონების სავსე რიგებით, იგი გაბედულად მიდიოდა რისკზე ბრძოლის დროს. მაგრამ, როდესაც პრუსიის მეფე მომწიფდა სამხედრო თვალსაზრისით (1750 წელი), მისი ზოგადი დამოკიდებულება გამოიხატა შემდეგი აზრით მისი ნაშრომიდან „სამხედრო ხელოვნება“, რომელიც დაიწერა ფრანგული ლექსე-ბით: „სერიოზული საფუძვლის გარეშე ნურასოდეს ჩაებმებით ბრძოლაში, სადაც სიკვდილი ასეთ საშინელ მოსავალს იღებს“. ეს აზრი ძალიან დამახასიათებელია XVI-XVIII საუკუნეების სტრატე-გიებისთვის და მწვავედ ეწინააღმდეგება ნაპოლეონის ომებიდან გამომდინარე დებულებას, რომე-ლიც ომში მხოლოდ ერთ მიზანს ხედავს - მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურებას და აღი-არებს ომის მხოლოდ ერთ საშუალებას - გადამწყვეტ ბრძოლას. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საფრან-გეთის რევოლუციამ ხალხის მასების სახით გამოავლინა ულევი წყარო არმიის შევსებისა, მხედარ-თმთავრებს აღარ ეშინოდათ დანაკარგებისა და შეიქმნა სრული განადგურების ნაპოლეონისეული დამრტყმელი სტრატეგია. მაგრამ მანამდე მხედართმთავარს, რომელსაც საქმე ჰქონდა ადამიანთა შეზღუდულ მასალასთან, არ უნდა დავიწყებოდა „პიროსის გამარჯვებები“, რომელთა შემდეგ შე-იძლებოდა არ გადარჩენილიყო არმია, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა გამარჯვებით სვლა.

ფრიდრიხ დიდისთვის, როგორც ნაპოლეონის პერიოდამდე მოღვაწე სხვა მხედართმთავრე-ბისთვის, ბრძოლა წარმოადგენდა მიზნის მიღწევის მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას: ბოლომდე გაძლება, რომლის შესახებ გაიხსენებდა ხოლმე ჰინდენბურგი მსოფლიო ომის დროს („გაიმარჯვებს ის, ვისი ნერვებიც ბოლომდე გაუძლებს“), პირველ რიგში აწუხებდათ მხედრთმთავრებს. საზრუნავს წარმოადგენდა ის, რომ ომის ყოველ თვეს მოწინააღმდეგისთვის მოეტანა უფრო მძიმე ჭრილობები ეკომონიკური რესურსების და პოლიტიკური აზროვნების მხრივ, ვიდრე ჩვენთვის - ეს არის დაუძლურების სტრატეგიის საფუძვლები. აუცილებლობის შემთხვევაში ეს სტრატეგია სულაც არ უარყოფდა გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას, მაგრამ ხედავდა ბრძოლაში მხოლოდ გამარჯვების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას. ფრიდრიხ დიდი დაუძლურების სტრატეგიის უდიდესი ოსტატი იყო. შვიდწლიანი ომის დროს, ავსტრიის, რუსეთის და საფრანგეთის უძლიერესი კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში მან მიაღწია თავის მიზანს - არ დაუბრუნა ავსტრიას დაპყრობილი სილეზია.

დაუძლურების სტრატეგია, რომელიც სწორად ითვალისწინებს ომის ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს, მიმართულია მტრის ძლიერების დაშლაზე, არა მხოლოდ არმიებს შორის საბრძოლო ოპერაციების გზით, არამედ აღიარებს სხვა საშუალებებსაც (ეკონომიკური ბლოკადა, პოლიტიკური აგიტაცია, დიპლომატიური ინტერვენცია და ა.შ.). მას ყოველთვის ემუქრება საფრთხე გადაგვარებისა ნაპოლეონისეულ სტრატეგიის საპირიპირო სტრატეგიად - უძლურობის, ხელოვნური მანევრის სტრატეგიად, სტრატეგიად მოწინააღმდეგის მიმართ ფუჭი მუქარისა, რომელსაც არ მოჰყვება დარტყმა. ასეთ სტრატეგიად, რომელიც ყეფს, მაგრამ არ იკბინება, გახდა ფრიდრიხის სტრატეგია, როდესაც მან 66 წლის ასაკში დაიწყო ომი ბავარიული ტახტის გულისთვის (1778-79 წლები). მთელი კამპანია მიმდინარეობდა უშედეგო მანევრირებაში. ავსტრიელი მხედართმთავარი ლასი ამოჩნდა სათანადო პარტნიორი პრუსიის ძალაგამოცლილი მეფისთვის. ამ დროისთვის ფრიდრიხ დიდმა, რომელიც ,,დაიღალა მონებზე მეფობით", უდაოდ დაკარგა რწმენა მისი არმიის მორალურ ძალაში, აღფრთოვანებულ ევროპაზე უკეთესად იცოდა მისი სისუსტეები და მას ეშინოდა რისკზე წასვლა. ომი გადაიქცა შეიარაღებულ დემონსტრაციად; მოწინააღმდეგეები დაშორდნენ უბრძოლველად. მაშინ, როცა რუსი გენერალი სუვოროვი, შეპყრობილი დაუოკებელი მისწრაფებით სამხედრო ამოცანების ბრძოლით გადაჭრისაკენ, მკაცრად აკრიტიკებდა „ლასის სამეცნიერო კორდონს", ბევრი მწერალი აღტაცებული იყო ამ სახის უსისხლო ომით, ხედავდნენ ამაში კაცობრიობის პროგრესის და მისი ჰუმანურობის ნიშანს (მაგალითად, პრუსიის მომავალი სამხედრო მინისტრი ბოიენი). ჯარისკაცებმა კი, თავისი უშუალო ალღოთი ამ დასაცინ ომს დაარქვეს „კარტოფილის ომი", ვინაიდან მასში დაზიანდა მხოლოდ კარტოფილის ნათესები.

XVII და XVIII საუკუნეების ომებს ხშირად ახასიათებენ როგორც საკაბინეტოს. ტერმინი „საკაბინეტო ომი" გამოიყენება, როგორც სახალხო ომისთვის საპირისპირო ცნება. ომი წარმოადგენდა მხოლოდ მთავრობის, ,,კაბინეტის", და არა ერის, ფართო მასების საქმეს. თუმცა შეცდომა იქნებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ იმ დროს შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად სრულიად არ არსებობდა ბრძოლის სააგიტაციო ფრონტი. საომარ მოქმედებებს ყოველთვის თან ახლდა ქაღალდების ომი. ფრიდრიხ დიდი უარს არ ამბობდა ისეთი ყალბი დოკუმენტების ფალსიფიკაციაზე, რომლებიც მისცემდა მას საშუალებას ესარგებლა რომელიმე ეროვნული ან რელიგიური კოზირით. მაგრამ, ბრძოლის ფრონტი, რომელიც მიმართული იყო მასებზე, XVIII საუკუნეში ჯერ მხოლოდ დამხმარე იყო. მთავრობა თავისი გზით მიდიოდა, რომელიმე ,,ბეჯითი სამართლისმცოდნე" კი გამოდიოდა მისი ადვოკატის როლში მასების წინაშე. სააგიტაციო ფრონტზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის ქცევას მოსახლეობის მიმართ. მთელი თავისი ცინიკური გულახდილობით ფრიდრიხ დიდი ასეთ ინსტრუქციას აძლევდა თავის გენერალებს: „საჭიროა დავხატოთ მოწინააღმდეგე ყველაზე უსანდომო სახით და დავაბრალოთ მას ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ყველა შესაძლო განზრახვა. პროტესტანტულ ქვეყნებში, როგორიცაა საქსონია, უნდა ვითამაშოთ ლუთერანული რელიგიის დამცველების როლი, კათოლიკურ ქვეყანაში მუდმივად უნდა ვიმეოროთ სარწმუნოების მიმართ რჯულშემწყნარებლობის შესახებ. უნდა საკუთარ სამსახურში ჩავაყენოთ ზეცა და ჯოჯოხეთი".

როსბაჰი. ფრიდრიხ დიდის ტაქტიკური ხელოვნების მაგალითები სილეზიის და შვიდწლიანი ომების ეპოქიდან მრავალრიცხოვანია და ცხადი. როსბაჰთან, 1757 წელს, ომის მეორე წელიწადს, ფრანკო-იმპერიული გაერთიანებული არმია 50 ათასამდე ცუდად დისციპლინირებული ჯარისკაცების შემადგენლობით იდგა 25 ათასიანი გამორჩეული პრუსიული ჯარის წინააღმდეგ. მოკავშირეებს მეთაურობდნენ პრინცი სუბიზი (ფრანგების მეთაური) და ჰერცოგი გილდბურგჰაუზე-

ნი (იმპერიის ძალების მეთაური). პრუსიისთვის მნიშვნელობით მეორე თეატრზე ავსტრიელები, მას შემდეგ, რაც გაარკვიეს მათ წინააღმდეგ დატოვებული დამფარავი ძალების პოზიციები, ამთავრებდნენ სილეზიის დაპყრობას, რაც ომის მიზანს წარმოადგენდა, და ემზადებოდნენ გამოზამთრებისთვის. ფრიდრიხ დიდისთვის აუცილებელი იყო სწრაფად მოემთავრებინა საქმე ფრანგებთან, რათა ზამთრის დადგომამდე გაეყარა ავსტრიელები სილეზიიდან, რომლის ეკონომიკური რესურსების გარეშე მას არ შეეძლო ომის გაგრძელება. მაგრამ, მოკავშირეები იდგნენ გამაგრებულ პოზიციებზე და მოწინააღმდეგის ორმაგ ძალებზე იერიშის მიტანა ფრიდრიხს არ შეეძლო. მისი მდგომარეობა უკვე გამოუვალი ხდებოდა, როდესაც მოწინააღმდეგე, რომელსაც უბიძგებდა მისი რიცხობრივი უპირატესობა, გადავიდა შეტევაზე. პრინცმა სუბიზმა გადაწყვიტა აეძულებინა პრუსიელები უკან დაეხიათ, რისთვისაც აპირებდა მათ შემოვლას სამხრეთიდან, პრუსიული არმისთვის უკან დახევის გზების გადაჭრის მუქარით. 5 ნოემბერს, სუბიზი, დატოვა რა თავისი ძალების 1/6 გენერალ სენ-ჟერმენის მეთაურებით ფრონტზე ძალების დემოსტრირების მიზნით, გამოვიდა სამი კოლონით. მარში მიდიოდა ღია ადგილას, დღისით გაკეთდა შესვენება. წინიდან სვლას ფარავდა წინწამოწეული ცხენოსანი ჯარი.

სურ. 37 ფრიდრიხ დიდი
როსბაჰის ბრძოლაში

როსბაჰის სამრეკლოდან ფრიდრიხ დიდი აკვირდებოდა მოკავშირეთა გადაადგილებას და დილისაკენ მას შეექმნა წარმოდგენა, რომ დატოვებული არიერგარდის დაფარვით ფრანგებმა უკან დახევა დაიწყეს. მაგრამ შუა დღის შემდეგ მისთვის ნათელი გახდა მოწინააღმდეგის შემოვლითი მოძრაობა. მაშინ, ფრიდრიხმა მიიღო გადაწყვეტილება - შეხვედროდა ფრანგების მანევრს კონტრმანევრით სალაშქრო კოლონებზე თავდასხმის გზით. სენ-ჟერმენის წინააღმდეგ დატოვებული იყო მცირერიცხოვანი არიერგარდი. თხემზე განლაგებული ჰუსართა 5 ესკადრონი შენიღბავდა მათ

უკან მიმდინარე არმიის გადაადგილებას. გენერალ ზეიდლიცის ცხენოსანმა ჯარმა ერთი დარტყმით უკუაგდო და ბრძოლის ველიდან განდევნა ფრანგული კავალერია. ამავე დროს ბორცვ იანუსზე გაიშალა 18-ქვემეხიანი ბატარეა და ცეცხლი გაუხსნა ფრანგულ ქვეით ჯარს, რომელიც ცდილობდა მობრუნებას მოძრაობის მიმართულებით. პრუსიულმა ქვეითმა ჯარმა გადალახა თხემი, შეტევაზე გადავიდა და გახსნა ცეცხლი ზალპებით. ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მოასწრო მხოლოდ 7-მა პრუსიულმა სათაო ბატალიონმა, რომლებმაც გაუშვეს 15-15 ვაზნა. ამ მომენტისთვის ზეიდლიცმა მოასწრო ცხენოსან ჯარზე პირველი შეტევის შემდეგ თავისი ესკადრონების შეკრება და გადაისროლა ისინი პრინც სუბიზის მრავალრიცხოვან შტაბზე და არეულ-დარეულ ფრანგულ ქვეით ჯარზე. მომენტალურად ყველაფერი დამთავრებული იყო - ფრანგული არმია უწესრიგოდ გაიქცა. ამ ფრონტზე საფრთხე აღმოიფხვრა, ფრიდრიხს საშუალება მიეცა თავისი საუკეთესო პოლკებით გადასულიყო სილეზიის თეატრზე.

ზოგადად, შემოვლითი მანევრის წარმატება დაკავშირებულია მოწინააღმდეგის პასიურობასთან. ჩვენი თანამედროვე გაგებით, მოწინააღმდეგის შემოვლისთვის, პირველ რიგში საჭიროა, რომ მოწინააღმდეგე უძრავი იყოს, საჭიროა მისი შებოჭვა, ბრძოლით ადგილზე მიჯაჭვა. ამ თვალსაზრისით სენ-ჟერმენის დამფარავი ძალები უფრო მსხვილი უნდა ყოფილიყვნენ. ამ ძალების ამოცანა უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ძალის დემონსტრირება, არამედ ენერგიული ფრონტალური ბრძოლის წარმოება, რომელიც შეზღუდავდა მოწინააღმდეგის უნარს მანევრირებისა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გადაადგილების შესაძლებლობას დაკარგული მოწინააღმდეგის შემორტყმა ან შემოვლა ბრძოლისთვის გადამწყვეტი სახის მისაცემად. სუბიზის მოუქნელი არმიის ფლანგის გადაადგილება კი შეუბოჭავი, მოქნილი და სწრაფი მანევრირების განსაკუთრებით უნარიანი მოწინააღმდეგის წინაშე გაუმართლებელ რისკს წარმოადგენდა.

ლეიტენი. ფორსირებული მარშით (300 კმ 1,5 დღეში) ფრიდრიხმა გადაისროლა არმია როსბაჰიდან სილეზიაში. ავსტრიული არმია, რომელმაც ხელში ჩაიგდო სილეზიის უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები - შვეიდნიცი და ბრესლავლი, რომელმაც საცხენოსნო თავდასხმა განახორციელა ბერლინზე, თვლიდა, რომ 1757 წლის კამპანია უკვე დასრულდა და იკავებდა საზამთრო ბინებს დაპყრობილ ტერიტორიებზე. პრუსიული არმიის მოახლოებამ აიძულა ავსტრიელები ბრესლავლის წინ თავი მოეყარათ 65-ათასიანი ჯარისთვის. ავსტრიელებმა დაიკავეს პოზიცია; იმისთვის, რომ ფლანგები მიბჯენოდა ადგილობრივ საყრდენ პუნქტებს საჭირო გახდა ფრონტის გაწელვა შორ მანძილზე. 5 დეკემბერს ფრიდრიხ დიდმა 40-ათასიანი არმიით შეუტია ავსტრიელებს.

ფრონტის წინ ადგილს ბუჩქები ფარავდა. წინ იმყოფებოდნენ მხოლოდ ავსტრიელი ჰუსარები. როგორც კი პრუსიულმა ცხენოსანმა ჯარმა მათ უკან დაახევინა, კარლ ლოტარინგიელმა, ავსტრიული არმიის მთავარსარდალმა, დაკარგა წარმოდგენა იმაზე, რას აკეთებდნენ პრუსიელები. ისინი გამოჩნდნენ გზაზე, რომელიც მიდიოდა ავსტრიული ძალების განლაგების ცენტრისაკენ, შემდეგ გაქრნენ. ავსტრიელები, რომლებიც არ უშვებდნენ აზრს, რომ პრუსიელები გაბედავდნენ უძლიერ არმიაზე შეტევის მიტანას, ისახავდნენ მხოლოდ პასიურ მიზანს და ელოდებოდნენ პრუსიელების უკან დახევას, არ მიიღეს არანაირი ზომები და დარჩნენ ადგილზე. ამ დროს პრუსიელებმა შეასრულეს ფლანგიდან მარში, მოულოდნელად გამოჩნდნენ ავტსრიელების მარცხენა ფლანგის დაბოლოებასთან, რომელსაც ეკავა დასახლება ლეიტენი, და ელვისებური სისწრაფით გაშალეს ფრონტი ავსტრიელთა პოზიციის პერპენდიკულარულად. ავსტრიელები იძულებული გახდნენ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში და იმავდროულად შეეცვალათ ფრონტი. გაწელილი ფრონტიდან მოგვიანებით მოსულმა ჯარებმა ვერ მოასწრეს მობრუნება და დადგნენ უწესრიგო გროვად, შექმნეს რა

სიღრმეში 10-ზე მეტი ხაზი. დასახლება ლეიტენის პირდაპირ, საითაც მიმართული იყო მთავარი დარტყმა, ფრიდრიხმა თავი მოუყარა ჯარების 4 ხაზს და, გარდა ამისა, მიიღო მოწინააღმდეგის ორივე ფრთით შემორტყმის საშუალება. მარჯვენა ფლანგზე პრუსიელებმა შეძლეს მხოლოდ საცეცხლე შემორტყმის განხორციელება, მარცხენა ფლანგზე კი გენერალ დრიზენის პრუსიულმა ცხენოსანმა ჯარმა, შეარჩია რა ხელსაყრელი მომენტი, უკუაგდო ავსტრიელთა ცხენოსანი ჯარი და თავს დაესხა ავსტრიული ცხენოსანი ჯარის მარჯვენა ფლანგს. ავსტრიელებისთვის სამწუხაროდ ლეიტენში არ აღმოჩნდა მსუბუქი ქვეითი ჯარი, რომელიც მორგებული იქნებოდა ადგილობრივი პოზიციების დასაცავად. ავსტრიელთა ქვეითი ჯარი იცავდა დასახლებას ისევე მოუქნელად, როგორც პრუსიელთა ქვეითი ჯარი უტევდა მას. პრუსიული ქვეითი ჯარის სრული გამოფიტვის მიუხედავად ფლანგზე მომხდარმა მოვლენებმა აიძულა ავსტრიელები დაეხიათ უკან, რაც პანიკაში გადაიზარდა. ფრიდრიხმა მოახდინა მოწინააღმდეგის დადევნების ორგანიზება მხოლოდ ცხენოსანი ჯარის ძალებით. ის მიმდინარეობდა ნაკლებად ენერგიულად, ამიტომ ავსტრიელებმა არ დააყოვნეს არმიის დარჩენილი ნაწილის თავის ტერიტორიაზე გაყვანა.

სურ. 38 პრუსიელი ქვეითები ლეიტენის ბრძოლაში

ლეიტენის ბრძოლაში ფრიდრიხ დიდმა გაიმეორა გენერალ სუბიზის მანევრი როსბაჰთან, მაგრამ შეასრულა ის გამბედავად, სწრაფად, ელვისებურად, ასე რომ ბრძოლამ შეიძინა მოწინააღმდეგის ფლანგზე მოულოდნელი თავდასხმის ხასიათი. ის, რომ ფრიდრიხის მანევრი წარმატებული იყო, აიხსნება არა იმდენად შესრულების ოსტატობით, რამდენადაც ავსტრიელთა პასიურობით, რომლებმაც მიაღწიეს ყველაფერს, რაც სურდათ, რომლებსაც არ გააჩნდათ გამარჯვების ნება და მოუთმენლად ელოდებოდნენ, თავიდან როდის მოიშორებდნენ მოუსვენარ მოწინააღმდეგეს და შეძლებდნენ დაპყრობილ საზამთრო ბინებში მოხერხებულად მოწყობას. მოდუნებული ყოვე-

ლთვის აღმოჩნდება დამარცხებული გამბედავის მიერ. ავსტრიელებს რომ ჰყოლოდათ ფრონტის წინ ავანგარდი და სადარაჯო ნაწილები, რომლებიც მოიგებდნენ დროსა და სივრცეს მთავარი ძალების მომდევნო მანევრისთვის, ან, რაც უკეთესია, პრუსიელთა კოლონების სათავე ნაწილების გვერდზე გადახრის შემჩნევის შემდეგ, ავსტრიელები რომ გადასულიყვნენ შეტევაზე, იმაზე ჩაფიქრების გარეშე, ასრულებდნენ პრუსიელები მანევრს თუ თავს არიდებდნენ ბრძოლას, სავარაუდოდ, პრუსიული არმია განიცდიდა ისეთივე განადგურებას, რაც წილად ხვდა საფრანგეთის არმიას როსბაჰთან. ლეიტენზე იერიშის დროს გამოყენებული ფრიდრიხის ირიბი საბრძოლო წყობა, რომელშიც თანამედროვეები მაგიურ ძალას ხედავდნენ, ლეიტენის გამარჯვებაში, სინამდვილეში, არანაირ როლს არ თამაშობდა.

ბრძოლა კუნერსდორფთან. პრუსიული და რუსული არმიების ტაქტიკის დასახასიათებლად ტიპიური არის კუნერსდორფთან 1759 წლის 12 აგვისტოს მომხდარი ბრძოლა. რუსული არმია, რომელსაც შეუერთდა გენერალ ლაუდონის ავსტრიული კორპუსი, სულ 53 ათასი პლუს 16-ათასიანი არარეგულარული ჯარები, აგვისტოს პირველ რიცხვებში შეგროვდა ფრანკფურტთან, ოდერის მარჯვენა ნაპირზე და დადგა გამაგრებულ ბანაკად. მარჯვენა ფლანგი მდებარეობდა ბორცვზე, სადაც ებრაელთა სასაფლაო იყო, ცენტრი - შპიცბერგზე, მარცხენა ფლანგი - მიულბერგზე. შპიტცბერგისაგან მიულბერგს ყოფდა ხრამი კუნგურდი. 8 დღის განმავლობაში რუსები იმყოფებოდნენ ამ პოზიციაზე და დაფარეს თავისი ფრონტი ხერგებით. ავსტრიელები იდგნენ რეზერვში მარჯვენა ფრთის უკან. ზურგს ფარავდა ჭაობები, რომლებიც ოდერამდე მიდიოდა.

სურ. 39 პეტრე სალტიკოვი, რუსეთის არმიის მთავარსარდალი შვიდწლიანი ომის ბოლო ეტაპზე(1759-1763 წწ)



სურ. 40 რუსი გრენადერები

ფრიდრიხმა მიულროზთან თავი მოუყარა 37-ათასიან ქვეით და 13-ათასიან ცხენოსან ჯარებს - ძალებს, რომლებიც თითქმის უტოლდებოდა რუსულ-ავსტრიულ რეგულარულ არმიას. ნაპოლეონი, რომელიც მხოლოდ ბრძოლას აღიარებდა და ომის წარმატებით დასრულებას მხოლოდ სრულ გამარჯვებაში ხედავდა, ალბათ, იზრუნებდა რიცხობრივ უპირატესობაზე, მიიზიდავდა დამფარავ ძალებს, რომლებიც დატოვებული იყო სილეზიის და საქსონიის დასაცავად. მაგრამ ფრიდრიხი

აწარმოებდა ბრძოლას დაუძლურებაზე. პროვინციების დაკარგვა მისთვის ტაქტიკურ მარცხზე უფრო საშიში იყო. მხოლოდ ერთხელ, 1757 წელს პრაღასთან, იგი იმყოფებოდა რიცხობრივად უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ახლა, და ამიტომ მან გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა. გადამწყვეტი დარტყმის მიტანა შეიძლება დასაშვები ყოფილიყო, თუ მოხერხდებოდა რუსული არმიის მიმოსვლის გზების გადაჭრა და თუ მასზე იერიშის მიტანა მოხდებოდა აღმოსავლეთიდან. ფრიდრიხ დიდმა პირადად ჩაატარა რეკოგნოსცირება ოდერის ნაპირის სიმაღლეებიდან ლებუსის სიახლოვეს. მას არ ჰქონდა ოდნავაც დამაკმაყოფილებელი რუკა, იგი დაიბნა მის ხედვის არეალში მოხვედრილი ადგილობრივი საგნების დადგენაში, ენდო ადგილობრივი მოსახლის ჩვენებებს და გამოიტანა დასკვნა, რომ რუსული არმია იდგა ფრონტით ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ოდერის ჭაობების მიმართულებით.

ფრიდრიხ დიდმა გადაწყვიტა გერიცთან ოდერზე ჯარების გადაყვანა, ფრანკფურტის ქვევით გადასასვლელით რუსების აღმოსავლეთიდან შემოვლა, ზურგიდან დარტყმის მიტანა და ოდერში მათი უკუგდება. ამ გეგმის განხორციელების შედეგად პრუსიული არმია თითქმის სრული წრის გაკეთების შემდეგ აღმოჩნდა უძრავად მდგომი რუსების ფრონტის წინ. გამომდინარე იქიდან, რომ ტბორები და ღრანტეები იმუქრებოდა პრუსიელთა შეტევის ორ ნაწილად გახლეჩით და ბრძოლების ორი კერის შექმნით, რაც ეწინააღმდეგოდა ფრიდრიხის მისწრაფებას ერთიანი ფრონტით მანევრირებისაკენ, მან გადაწყვიტა მთლიანი ძალების თავმოყრა მიულბერგზე იერიშის მისატანად კუნერსდორფიდან განფენილი ტბორების ხაზიდან ჩრდილოეთით. რუსების ფრონტის დანარჩენი ნაწილზე არ იყო მიმართული არანაირი შემბოჭველი შეტევა. პრუსიელებმა დაიკავეს მიულბერგი და ფრიდრიხი ცდილობდა, როგორც ლეიტენთან, წარმატების განვითარებას თავისი ჯარების სწრაფი გადაადგილებით რუსების ფრონტის გასწვრივ. მაგრამ რუსეთის ჯარების მთავარსარდალ სალტიკოვთან მყოფი ცენტრი და მარჯვენა ფრთა, რომლებიც არანაირად არ იყვნენ შებოჭილი, უზარმაზარ რეზერვს წარმოადგენდნენ. კუგრუნდისთვის შეუპოვარი ბრძოლა პრუსიელებისთვის წარუმატებელი იყო: შპიტცბერგზე იერიში მოგიერებულ იქნა, რუსული არტილერია უწყალოდ ჟლეტდა მიულბერგზე თავმოყრილ პრუსიულ არმიას, დაიწყო რუსების კონტრიერიში, პრუსიელების რიგები მოიცვა პანიკამ. სასოწარკვეთილმა ფრიდრიხმა გენერალ ზეიდლიცს უბრძანა შეტევაზე ცხენოსანი ჯარის გადაყვანა. ზეიდლიცი ხედავდა დასერილ ადგილზე სამაგრებს უკან განლაგებულ მტერზე იერიშის უიმედობას, მაგრამ ბრძანების გამეორებით მიღების შემდეგ ჩართო

სურ. 41 ელისაბედ პეტრეს ასული, რუსეთის იმპერატორი 1741-1762 წლებში

სურ. 42 მარია-ტერეზია, საღვთო რომის იმპერატორი 1740-1780 წლებში

იერიშში თავისი ესკადრონები. რუსებმა ისინი ცეცხლით მოიგერიეს, რუსული და ავსტრიული კავალერიები გადავიდნენ კონტრიერიშზე, პრუსიულმა არმიამ მიატოვა არტილერია და აღალები და სრულ არეულობაში გაიქცა და გაიფანტა. საღამოს ფრიდრიხმა 50-ათასიანი არმიიდან შეძლო მხოლოდ 10 ათასის შეგროვება, იმ 7 ათასის ჩათვლით, რომლებიც დატოვებული იყვნენ გერიცთან ოდერის ხიდებზე. რამდენიმე დღის შემდეგ მოხერხდა 31 ათასამდე შეგროვება. ამგვარად, პრუსიელების დანაკარგები შეადგენდა დაახლოებით 19 ათასს, რუსების და ავსტრიელების კი უახლოვდებოდა 17 ათასს.

სურ. 43 „ქალებისგან დამარცხებული“ ფრიდრიხი ბერლინიდან გაქცევის შემდეგ

პრუსიელებმა სრული დამარცხება განიცადეს. როგორც აღნიშნავდა კლაუზევიცი, კუნერსდორფთან ფრიდრიხ დიდი საკუთარი ირიბი საბრძოლო წყობის მახეში გაიხლართა. დარტყმის მიტანამ რუსების ფლანგის ერთ წერტილზე, ვინაიდან არ მოიტანა რუსების მთელი საბრძოლო წყობის დაშლა, ჩააყენა პრუსიელები უკიდურესად რთულ მდგომარეობაში, გამოიწვია მათი ფრონტის შეკუმშვა, რის შედეგადაც მთელი ქვეითი ჯარი თავმოყრილი აღმოჩნდა მიულბერგის ვიწრო სივრცეში და დაკარგა მანევრირების შესაძლებლობა.

ამ ბრძოლაში საყურადღებოა: სალტიკოვის ზეფილოსოფიური გულგრილობა მის გარშემო მოწრიალე პრუსიული არმიის მიმართ, რუსების პასიური ჯდომა ხელსაყრელ პოზიციაზე (უშუალოდ ზურგით მოწინააღმდეგისაკენ), მათი ძლიერი ტაქტიკური თავშეკავება, ისეთი გამოცდილი მხედართმთავრის, როგორიც იყო ფრიდრიხი, შეცდომის დაშვება მოწინააღმდეგის განლაგების რეკოგნოსცირების დროს, დაბოლოს სახაზო საბრძოლო წყობის დამოკიდებულება ადგილობრივ პირობებზე, რამაც აიძულა ფრიდრიხი შეტევის მონაკვეთი შეევიწროებინა.

ბერენჰორსტი. ბერენჰორსტმა - ლეოპოლდ დესაუს, პრუსიული ქვეითი ჯარის აღმზრდელის და გენერლის შვილმა, ფრიდრიხ დიდის ადიუტანტმა - მიატოვა სამხედრო სამსახური, ვინაიდან ვერ აიტანა საკუთარი ამალის მიმართ მეფის აგდებული დამოკიდებულება. მას ეკუთვნის ფრიდრიხის სამხედრო ხელოვნების ღრმა კრიტიკა.

ბერენჰორსტი სრულიად უგულვებელყოფდა სამხედრო ხელოვნების გეომეტრიულ ნაწილს და მთელი ყურადღება მიმართა მორალურ ძალებზე, ადამიანის გულზე. მას ეკუთვნის ყველაზე მკაცრი კრიტიკა პრუსიული არმიის საპარადო მხარისა, რომელიც ბევრს აბრმავებდა. პრუსიელების სამანევრო ხელოვნება ილუზორულია - მასში არაფერია, რისი გამოყენებაც შესაძლებელია სერიოზული საბრძოლო მუშაობისთვის. ის იწვევს წვრილმანებზე გამოდევნებას, მშიშარობას, სამსახურებრივ მონობას და სამხედრო უხეშობას. პრუსიულ არმიაში სუფევს წვრილმანობა, დეტალების ციებ-ცხელება. აქ ფასდება სწავლების უმნიშვნელო წვრილმანები, ოღონდაც ისინი

უკიდურესად ძნელად ასათვისებელი იყოს. ობერმანევრისტები ტაქტიკური ამოცანებით არიან დაკავებულნი. ფრიდრიხ დიდმა კი არ გააძლიერა, არამედ შეასუსტა არმიის მორალური ძალები, იგი მნიშვნელოვნად არ თვლიდა ჯარისკაცის სულისკვეთების, მამაცობის და შიდა ღირსებების მდოგმარეობაზე ზრუნვას. ამ მხედართმთავარს ეხერხებოდა ჯარისკაცების ხარჯვა უფრო, ვიდრე მათი აღზრდა. რამდენი აზრი, გულმოდგინება, შრომა და ძალა იხარჯება პრუსიული არმიის სწავ-ლაზე - და, უდიდეს წილად, სრულიად უსარგებლოდ, ზოგ შემთხვევაში საზიანოდაც კი. ოჰ, ეს ყველაფრის ხელოვნურის ამაოება... პრუსიულ არმიაში ადამიანის მოთვინიერება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოთხფეხა მეომრისა, ირონიით ამბობს ბერენჰორსტი, ვინაიდან ცემისაგან ჯარისკაცი უფრო ამყოლ-დამყოლი და ნასწავლი ხდება, ცხენი კი ყოველ დარტყმაზე წიხლებს ისვრის. და ზუსტად ის, რაზეც თავს იმტრევენ „ოსტატები“, რაც ოფიცერს უხეში შენიშვნების ფასად უჯდება, ჯარისკაცი კი ითვისებს უმძიმესი დარტყმების ქვეშ - ყველაფერი ეს გამოუყენებელია ნამდვილ ბრძოლაში. როგორ იგრძნობს თავს გამოცდილი მამაცი ოფიცერი, რომელიც მიჩვეულია მოწინ-ააღმდეგის დაპირისპირებას და იერიშის დროს მშვიდად განკარგულებების გაცემას, როდესაც სამ-წყობრო დათვალიერებაზე დაკარგავს დისტანციას - ჩამორჩება ან 10 ნაბიჯით შეამცირებს დისტან-ციას... დისტანციის შენარჩუნება-აი რა არის მთავარი პრუსიულ ჯარში და ა.შ.

თავი II

ბრძოლა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები

1. თემის მოკლე შინაარსი:

მოცემულ თემაში განხილულია ქართველთა მიერ წარმოებული ომებისა და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარების გზა XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

სტრატეგიული თვალსაზრისით გენერალური ბრძოლები ფეოდალური შინაომების დროს იშვიათად ხდებოდა, რაც განვითარების ამ სტადიაზე დამახასიათებელი იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც.

რაც შეეხება ტაქტიკას, ამ პერიოდში დომინირებდა საცხენოსნო ბრძოლა, თუმცა მეომრებს ქვეითადაც შეეძლოთ ბრძოლის წარმოება. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოულოდნელობის ფაქტორს.

სამხედრო ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით დიდი იყო ფორტიფიკაციული ნაგებობების მნიშვნელობა. ციხე-ქალაქები და სიმაგრეები საყრდენი პუნქტების როლს ასრულებდნენ. სათანადოდ იყო განვითარებული ციხე-სიმაგრეებთან ბრძოლის ტაქტიკაც - თავდასხმა, იერიში, ალყა.

XVI საუკუნის ბოლოდან გაძლიერებას იწყებს სეფიანთა ირანი. ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წ.წ.) რეფორმების შედეგად ირანი ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ იქცა და ოსმალეთის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლები; ამავდროულად, მან ქართლისა და კახეთის სამეფოებისა

და მთლიანად საქართველოს დაპყრობა და სრულად განადგურება დაისახა მიზნად; საქართველოს ისტორიის ამ პერიოდიდან განვიხილავთ ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებს, ჩავატარებთ მათ ტაქტიკურ ანალიზს.

თემაში წარმოდგენილი საკითხების შესწავლა საშუალებას მოგცემთ პროფესიულ დონეზე გაიაზროთ ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების შემდგომი გზა და მისი დინამიკა, მეზობელი თუ დამპყრობელი ქვეყნების სამხედრო აზრის ზეგავლენა.

1. **სწავლების საბოლოო მიზანი**

შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას მოცემული პერიოდის ჩვენს მიერ განხილული ბრძოლები და სამხედრო ხელოვნება.

შუალედური სასწავლო მიზნები:

1. იუნკრებმა შეისწავლონ და გაიაზრონ მოცემული პერიოდის ქართული სამხედრო ხელოვნების ძირითადი მომენტები.
2. არსებული სამხედრო_პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
3. სიახლეები სამხედრო ხელოვნებაში.

სწავლების დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

2. **მსმენელის დავალებები:**

წაიკითხეთ:

სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა.

დამატებით წაიკითხეთ:

1. საქართველოს სამხედრო ისტორია ტ I. 2013.
2. კ. კაციტაძე. სტრატეგიის საფუძვლები. თბილისი 2007. გვ. 340-363.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო - გიორგი სააკაძე, როგორც პიროვნება და მხედართმთავარი.
2. ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში ქართული მხარის მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებების ძლიერი და სუსტი მხარეები - დაგეგმვა, აღსრულება.
3. იყო თუ არა მარტყოფის ბრძოლა ასიმეტრიული?

მეფე ლუარსაბ II. ტაშისკარის ბრძოლა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯაბა სამუშია

პოლიტიკური მდგომარეობა. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. ქართველი მეფე-მთავრები ირან-ოსმალეთის დაპირისპირებით სარგებლობდნენ და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ლავირების პოლიტიკით ცდილობდნენ აღნიშნული დაპირისპირების გამოყენებას.

უმძიმესი მდგომარეობა დაუდგა ქართლ-კახეთს ირანის ტახტზე აბას I-ის (1587-1629 წლები) ასვლის შემდეგ. იგი ძლიერი, ვერაგი და დაუნდობელი მმართველი გამოდგა. თურქმანულ-ყიზილბაშურის ნაცვლად, მან ქვეყნის მმართველ ელიტაში კავკასიური და ირანული ელემენტები გააძლიერა,Mმცირე ხანში ჩააქრო შიდა წინააღმდეგობები, დასავლური სისტემით გადაიარაღა რეორგანიზებული ჯარი და მძლავრ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცია ირანი, მისი დედაქალაქი კი ისპაჰანში გადაიტანა.

სურ. 44 აბას I დიდი, ირანის შაჰი 1587-1629 წლებში

1603 წელს ირანმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. აბას I-მა ერევნის ციხე აიღო, ხოლო 1605 წელს ურმიის ტბასთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები. აღმოსავლეთ კავკასიაზე კვლავ აღდგა სეფიანთა გავლენა. ირან-ოსმალეთის ომში საკმაოდ აქტიურად ჩაერთნენ ქართველი მეფე-მთავრები. 1607 წელს სამცხე-საათაბაგოს მმართველმა მანუჩარ III-მ და მისმა დედამ, სიმონ I-ის ასულმა ელენემ, ქართველთა და ირანელთა ლაშქრის დახმარებით, ოსმალთაგან წართმეული ახალციხე დაიბრუნეს. სამცხე-საათაბაგოში შექმნილი ვითარება არზრუმის ბეგლარბეგმა სულთნის კარს აცნობა. ოსმალთა დიდმა ვეზირმა, მურად ფაშამ, ახალციხეში დიდი ლაშქარი გამოგზავნა, რომელშიც, ადგილობრივი თურქი ფაშების გარდა, შედიოდნენ ყირიმელი თათრებიც, რომელთაც ქართული წყაროები „მგლისტყაოსანთა“ სახელით მოიხსენიებენ. ოსმალებმა ახალციხის აღება მოახერხეს. ათაბაგი მანუჩარ III და მისი დედა იძულებული გახდნენ, კვლავ ქართლში გადმოსულიყვნენ და დახმარება მისი მეფის - ლუარსაბ II-ისათვის ეთხოვათ.



სურ. 45 ახალციხე, ე.წ. რაბათი-ათაბაგების რეზიდენცია

მებრძოლი მხარეები. ახალციხიდან ქართლში შემოჭრილი ჯარი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციიდან გამოსული მეომრებისაგან შედგებოდა. 1636 წელს გადაწერილ ,,ჟამგულანის“ ისტორიულ მინაწერებში 1609 წლის ქვემოთ აღნიშნულია: „აქა მოვიდა თათარხანი და სამცხისა და ნიგალის ხევის ფაშები, და შავშეთის ლაშქარი ქართლით. და შეება ლუარსაბ მეფე. და ლუარსაბ მეფემ გაიმარჯვა“. ამ ცნობიდან კარგად ჩანს ოსმალთა ლაშქრის შემადგენლობა. თათარხანის ლაშქარში იგულისხმება ყირიმის ხანის - სალამათ გირეის ლაშქარი, რომელსაც ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართულ პროვინციებში (სამცხეში, ნიგალის ხევსა და შავშეთში) დისლოცირებული სამხედრო ნაწილები ახლდა.

სურ. 46 ოსმალეთის იმპერიის ჯარისკაცები, მსუბუქი და მძიმე შეიარაღებით(XVI-XVII სს)

ოსმალთა ლაშქრის შემადგენლობას ზუსტად ასახელებს ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. ეს უკანასკნელი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ტაშისკარის ბრძოლის წინამორბედ ამბებს, მათ შორის - ახალციხეში ოსმალთა მოსვლის ისტორიას. მემატიანის თქმით, „...ჯელალიების დამარცხების შემდეგ თათრების მარბიელი ლაშქრის უფროსი, ჯებელ ფაშა, სალამათ-გირეი-ხანს რომ გამოეშვა სარდლის დასახმარებლად ფერჰად ფაშასთან და მოჰამედ ფაშას შვილთან ერთად, რომელიც მესხეთის გამუსლიმანებულ უფლისწულთაგანი და ოსმალთა შორის გაზრდილი და ფაშას ხარისხსა და ხელისუფლებას მიღწეული იყო, ახალციხეში გაგზავნა“. ამდენად, ირკვევა, რომ ყირიმელი თათრების სარდალი ყოფილა ჯებელ-ფაშა. მას ახლდნენ ფერჰად ფაშა და გამაჰმადიანებული ქართველის მოჰამედ ფაშას შვილი. აქვე გავარკვიოთ, ქართლში რა უნდოდათ ყირიმელ თათრებს. ქართულ წყაროებში ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც „თათარხანის ლაშქარი“ და „მგლისტყაოსნები“. ბერი ეგნატაშვილი და ბესარიონ ორბელიშვილი, მართალია, მათ მოიხსენიებენ ასე: „მხედრობა თათარხანთა“, „თათარხანთათვის“, მაგრამ იქვე აზუსტებენ, რომ ესენი არიან „ყირიმნი“.

სურ. 47 ლუარსაბ II, ქართლის მეფე 1606-1615
წლებში. შერაცხულია წმინდანად

1599 წელს ოსმალეთში ხელისუფლების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყო, რომლებიც ისტორიაში „ჯელალიების“ ამბოხების სახელწოდებითაა ცნობილი. სულთანმა მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ 1603 წელს ამბოხებას სათავეში ჩაუდგა მუჰამედ ფაშა კალენდერ ოღლუ. მოკლე ხანში ამ უკანასკნელმა შეძლო ანატოლიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე თავისი გავლენის გავრცელება. სულთანი შეშფოთებული იყო ამბოხებულთა ამ წარმატებით და მიმართა სასწრაფო ზომებს. მან აჯანყებულთა წინააღმდეგ შეკრებილი ლაშქრის სარდლად დანიშნა დიდი ვეზირი, მურად ფაშა, რომელიც გამოცდილი სამხედრო მოღვაწე იყო. ჯელალიებზე

გადამწყვეტი დარტყმის მიყენებამდე მან საკუთარი რიგების გაძლიერება გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა ყირიმის სახანოდან 2000-ზე მეტი მეომარი, ჯებელ ფაშას მეთაურობით. ისქანდერ მუნში მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი (ჯებელ ფაშა) სალამათ-გირეი-ხანის (ყირიმის ხანი გახდა 1608 წლის I ნახევარში) სარდალი ყოფილა. დაახლოებით, 1608 წლის ზაფხულის დასაწყისში ყირიმიდან წამოსული სამხედრო ნაწილები უნდა შეერთებოდნენ ოსმალთა არმიის ძირითად ნაწილს. 1608 წლის 5 აგვისტოს ალაჯის ველზე მურად ფაშასა და ჯელალიებს შორის გადამწყვეტ ბრძოლაში ჯებელ ფაშა მონაწილეობდა. 1607 წლის I ნახევარში ახალციხის გარშემო დატრიალებული მოვლენების გამო მურად ფაშამ ყირიმელი თათრები, სხვა სარდლებთან ერთად, საქართველოსაკენ გამოგზავნა. ასე აღმოჩნდნენ „მგლისტყაოსნები“ ქართლში.

ოსმალთა არმიის რაოდენობაზე სხვადასხვა ცნობაა მოღწეული. იოსებ ტფილელი მათ რიცხვს 60 000 კაცით განსაზღვრავს. ,,ლუარსაბ II-ის მარტვილობის“ ავტორის - ბესარიონ ორბელიშვილის მითითებით, ოსმალთა არმია 80 000 კაცისაგან შედგებოდა. აღნიშნული ცნობები კრიტიკულად განიხილა გივი ჯამბურიამ და საეჭვოდ მიიჩნია. მეცნიერის მითითებით, მოწინააღმდეგე 10 000 კაცზე მეტი არ იქნებოდა. ჩვენი აზრით, ეს ციფრიც კორექტირებას მოითხოვს. ქართულ წყაროებში 1609 წლის სამხედრო კამპანიის აღწერისას ყველგან მითითებულია, რომ ქართლში თათარხანის ლაშქარი შემოიჭრა. როგორც ჩანს, ყირიმელი თათრები ქართლში შემოსული ოსმალების რიგებში რიცხვობრივად ჭარბობდნენ, ამიტომაცაა, რომ ყველა წყაროში, უპირველესად, მათ ლაშქრობაზეა საუბარი. „მგლისტყაოსანთა“ რაოდენობა კი, ცნობილია, 2000 კაცს არ აღემატებოდა. ყირიმელ თათრებთან ერთად წამოსულ სხვა ფაშებსაც მებრძოლთა გარკვეული კონტიგენტი ახლდა, თუმცა, მათი რიცხვი, ერთად აღებული, 4-5 ათასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ოსმალთა ლაშქარში, ჩვენი აზრით, 6-7 ათასი კაცი იქნებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო იყო, რომ, მაგალითად, ნიაბთან ქართველთა მცირერიცხოვანმა (არა უმეტეს 1500-2000 მეომარი) ჯარმა უკუაქცია ოსმალები. წარმოუდგენელია, ამ რაოდენობის ქართველებს 60 ან 80 ათასი კაცი დაემარცხებინათ, რაოდენ პრიმიტიულადაც უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი, თუმცა, ფაქტია, რომ ბრძოლა რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგესთან იყო.

სურ. 48 ოსმალების იერიში ციხეზე (XVII ს-ის ნახატი)

ოსმალებმა იცოდნენ ამ ფაქტის შესახებ, ამიტომაც ცდილობდნენ დიდძალი ნადავლი და ტყვე ჩაეგდოთ ხელში და ახალციხეში გადასულიყვნენ.

1609 წლის გაზაფხულზე სამცხეში თავი მოიყარა ოსმალთა ჯარმა. ქართლის სამეფოს მესვეურნი ეჭვობდნენ, რომ ამ რაოდენობის ლაშქარი ახალციხის რეგიონში შემთხვევით არ იყო შეყრილი. შესაძლებელია, სამაგიეროს გადასახდელად, ოსმალებს მარბიელი ლაშქრობა მოეწყოთ ქართლზე, როგორც ირანის მოკავშირე ქვეყანაზე. ამასთანავე, ეს იქნებოდა პასუხი ქართლის მეფის სამცხე-საათაბაგოს საქმეებში ჩარევაზე. მოწინააღმდეგემ ლუარსაბ II-ის ცხირეთის ციხეში (საზაფხულო რეზიდენციაში) ყოფნის შესახებ იცოდა და ყოველგვარ ზომებს მიმართავდა მის ხელში ჩასაგდებად. იოსებ ტფილელის ცნობით, ოსმალები პირველად თრიალეთში გადმოვიდნენ. ამ ამბის შეტყობის შემდეგ, მეფემ თავისი ორი სარდალი - იარალი და ზაქარია ქართლის სამეფოს საზღვრების ჩასაკეტად გააგზავნა. მათ უნდა შეეჩერებინათ მტერი, ქვეყნის სიღრმეში შემოსვლის შემთხვევაში, რაც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას, გამაგრებულ ადგილებში გახიზნულიყო, ხოლო სამეფო კარს - სამხედრო სამზადისი დაეწყო.

სურ. 49 ცხირეთის ციხე

ბრძოლის მსვლელობა. ოსმალეთის ლაშქარმა სწრაფად გადმოლახა ქართლის საზღვრები, გამოიარა ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისამდე მიაღწია. გზად მათ უამრავი სოფელი გადაწვეს და გაანადგურეს, გადარჩენილი მოსახლეობა კი დაატყვევეს.

ქართველთა საყარაულო რაზმებმა, იარალისა და ზაქარიას მეთაურობით, გვიან გაიგეს მტრის შემოჭრის შესახებ. როგორც ჩანს, დამპყრობელმა იცოდა, რომ ლუარსაბ II ცხირეთში მცირე ამალით იმყოფებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რაც შეიძლება სწრაფად გაჭრილიყო ამ ადგილისაკენ. გზად, სოფელ კველთასთან, ოსმალებმა მძევლად აიყვანეს ადგილობრივი მღვდელი თევდორე და მეგზურობა უბრძანეს.

„დიდმოურავიანიდან“ ისე ჩანს, რომ კველთაში ხუცისათვის მტერს შიდა ქართლში გადამავალი გზის გაგნება უბრძანებია, გოსტიბესთან მისულთ კი მისთვის მეფის სამყოფამდე მიყვანა მოუთხოვიათ.

,,ზემო გოსტიბიდან რამდენიმე გზა იტოტება, მათგან მთავარი სამია. ერთი აღმოსავლეთით ჩასდევს ტყიან ქედსა, ზვარიკოტმანს, ყრუველს გაივლის, კატრიანთან შეუერთდება გუდალეთ-

კავთისხევის გზას; მეორე (ამჯერად ყველაზე მთავარი) ჩრდილოეთით ცხავერზე ჩაჰყვება და ცხირეთს მიადგება; მესამე გზა ქვემო გოსტიბისაკენ - დასავლეთით გრძელდება, კაბერთან სამხრეთით დაუხვევს და გარგლის თავის სათუხარლოს და დევნამუხლების გავლით ერთაწმინდაზე ჩაივლის“. გიორგი ხორგუაშვილის აღწერილი მარშრუტები, მთლიანობაში, სწორია, მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: გოსტიბიდან სამი ძირითადი გზა იტოტება, მაგრამ მათგან ორი მიემართება ცხირეთის ციხისაკენ. იმ გზას, რომელიც კავთისხევისაკენ მიდის, რამდენიმე კილომეტრში გამოეყოფა ერთი შტო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით უხვევს. ამ გზის ერთი მონაკვეთი ნოსტისკენ ეშვება, მეორე - ცხირეთის ციხისკენ. ამათ გარდა, არსებობს რამდენიმე ბილიკი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ცხირეთის ციხის მიდამოებში მოხვედრა.



სურ. 50 თევდორე მღვდელი(კველთელი),
შერაცხულია წმინდანად

ამდენად, სოფელ გოსტიბესთან მისულ ოსმალებს შეიძლება თავსატეხი გასჩენოდათ: საით უნდა წასულიყვნენ. ამ ვითარებაში თევდორე მღვდელი მტრისათვის ერთადერთი იმედი იყო. სწორედ ამ დროს მიიღო ხუცესმა გადაწყვეტილება - საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შეეწირა სამშობლოსათვის. თევდორემ გადაწყვიტა არასწორი გზით წაეყვანა მტერი და კვალი აებნია, რომ ქართლის მეფეს ჯარის შეგროვება მოესწრო.

თევდორეს რჩევით, ოსმალები ქვენადრისისაკენ დაიძრნენ. ამ სოფელს ამჟამად ჭყოპიანი ჰქვია. იგი მდ. თეძმის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. მღვდლის მიზანი იყო, რომ ცხირეთის ციხიდან მტერი, რაც შეიძლებოდა, შორს გაეტყუებინა. ოსმალები ჩაუყვებოდნენ მდინარე გოსტიბისწყალს, გაუვლიდნენ კაბერს, სოფელ გარგალას, საიდანაც მთა ძეძვიანის მიდამოების გავლით, ქვენადრისში მოხვდებოდნენ. თევდორეს ჩანაფიქრმა გაამართლა. აქ ოსმალები მიხვდნენ,

რომ ხუცესმა ისინი მეფის სადგომიდან კარგა მოშორებით გაიტყუა. ჩაიშალა ცხირეთის ციხეზე მოულოდნელი თავდასხმის გეგმა. განრისხებულმა ოსმალებმა თევდორე მღვდელი აწამეს.

ცხირეთში მეფესთან იმყოფებოდნენ თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და სარდალი ზაზა ციციშვილი. ოსმალთა შემოჭრის ამბის შეტყობისთანავე, მათ ლაშქრის მობილიზებისთვის მალემსრბოლები დაგზავნეს და 400-მდე მეომარს დაუყოვნებლივ მოუყარეს თავი. ამას დაემატნენ საბარათიანოდან მოსული მებრძოლები და ზაზა ციციშვილის ამალა. მოგვიანებით, სხერტის ჭალასთან ბრძოლაში მონაწილეობდა თბილისის ირანული გარნიზონიც, 700 მეომრით. მთლიანობაში, ბრძოლის საწყის ეტაპზე ოსმალთა მრავალრიცხოვან ლაშქარს, დაახლოებით, 1500-2000 მეომარი დაუპირისპირდა. ქართლის სამეფო კარი სამხედრო გეგმის შედგენას შეუდგა. ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა გიორგი სააკაძე. საწყის ეტაპზე მისი სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა:

I. ქართლის სამხედრო პოტენციალის სრულ მობილიზაციას;

II. მტრის შეჩერებას და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლაში ხელის შეშლას.

სურ. 51 გიორგი სააკაძე(1570-1629), გამოჩენილი სარდალი
და სახელმწიფო მოღვაწე

ქვენადრისისა და ერთაწმინდის აოხრების შემდეგ ოსმალები მდ. თეძამს ჩამოუყვნენ და სოფელ ნიაბის დასავლეთით დაიბანაკეს. ქართველებმა მტერს გზა გადაუკეტეს ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ქართველებმა მოახერხეს, შეევიწროებინათ მოწინააღმდეგე და აიძულეს დასავლეთით წასულიყო. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზაზა ციციშვილმა. მან ერთ-ერთი სარდალი მოკლა, მისი თავი კბილებით დაიჭირა და კვლავ ოსმალებს შეუტია. ამასობაში ბრძოლის ველზე შემოიჭრნენ იარალი და ზაქარია თავიანთი

რაზმებით. მტერმა უკან დაიხია. მართალია, იარალი და ზაქარია ბრძოლის ველზე დაეცნენ, მაგრამ მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ ოსმალებს თავზარი დასცა. სალაშქრო წყობით მათ ჯერ ყარაღაჯისკენ, შემდეგ კი დოესისაკენ დაიხიეს. აშკარა იყო, რომ მტერი ქართლიდან გასვლას ცდილობდა, მაგრამ რა გზით - ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ერთმა მოულოდნელმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა მათი საქმე. გორიდან დოესისაკენ მომავალმა მღვდელმა, დაინახა რა ოსმალთა რაზმები, დაბრუნდა და, გლეხების დახმარებით, სოფელ ხიდისთავთან მტკვარზე გადებული ხიდი აყარა. ამან მტერს საშუალება არ მისცა, გადასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე. გორში განგაში ატყდა. შეიარაღებული მებრძოლები მოადგნენ მტკვარს და მტერს ხიდის აღდგენის საშუალება არ მისცეს. მოწინააღმდეგის ლაშქარი იძულებული გახდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყოლოდა და ფონის პოვნისთანავე დაეწყო მდინარის გადალახვა. მათ გარკვეულ მანძილზე მიჰყვებოდა ქართველთა ლაშქარი, რომელსაც ქვემო ქართლის რაზმები შეუერთდა. მტრის პარალელურად მოძრაობდნენ გორიდან წამოსული რაზმებიც.

სურ. 52 გორის ციხე

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მომენტში საბოლოო სახე მიიღო სააკაძისეულმა სამხედრო გეგმამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ქართველმა სარდლებმა შეიმუშავეს ბრძოლის გაგრძელების იდეალური ვარიანტი - მტერს ჩასაფრებოდნენ შიდა ქართლიდან საათაბაგოსა თუ დასავლეთ საქართველოში გადასვლამდე. ქართველთა მოქმედება სწორედ ამ გეგმის მიხედვით წარიმართა. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ვერ მოახერხეს მდინარე მტკვრის გადალახვა და გორისკენ გაჭრა, უკვე ნათელი იყო შემდეგი: ისინი იძულებული გახდებოდნენ, ბრძოლა მიეღოთ ქართველთათვის ხელსაყრელ ადგილას _ ტაშისკარ-ქვიშხეთის მიდამოში.

სამხედრო გეგმა რამდენიმე დეტალისაგან შედგებოდა. უპირველესად საჭირო იყო ბორჯომის ხეობისა და დასავლეთ საქართველოსაკენ გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. ამ მიზნით, სარდლობამ ქსნის ერისთავი კორტანეთში გააგზავნა. ეს ადგილი ბორჯომის ხეობით სამცხეში

მიმავალ გზას კეტავდა. კორტანეთთან ჩასაფრება დაზღვევითი ღონისძიებაც იყო. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები მდ. მტკვარს არ გადალახავდნენ, მათ შემოვლითი გზით მაინც უწევდათ სოფელ კორტანეთთან მისვლა. ამ შემთხვევაშიც ისინი ალყაში ექცეოდნენ. ამას გარდა, ჩასაფრების მიზანი იყო, რომ ოსმალთა დამარცხების შემთხვევაში, მათ გადარჩენილ რაზმებს ახალციხისაკენ არ გაეღწიათ.

სურ. 53 XVII ს-ის ქართველი მეომრის აღჭურვილობა (მე-19 ს-ის ფოტო)

ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ქართველთაგან დასავლეთ საქართველოში გადამავალი გზების ჩაკეტვაზე. ბერი ეგნატაშვილის ცნობიდან ჩანს, თითქოს ეს მარშრუტი გამაგრებული არ ჰქონდა სააკაძეს. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ის ამბავი, რომ დამარცხების შემდეგ ოსმალთა დარჩენილი ძალები დასავლეთ საქართველოში სურამ-მოლითის მიმართულებით გაჭრილან. მაგრამ ეს ცნობა ასე პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. „მგლისტყაოსნები," დამარცხების შემდეგ, ქვიშხეთ-ტაშისკარის მიდამოებში ტყეებს შეეხიზნენ და მიუვალი გზებით მოახერხეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა. ბერი ეგნატიშვილის მონათხრობიდან ისე ჩანს, რომ მოსახლეობა გაქცეულ ოსმალებს ტყეებში იჭერდა და არა გზაზე; ამიტომაც, საფიქრებელია, რომ შიდა ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გამავალ ცენტრალურ მაგისტრალს ქართველები აკონტროლებდნენ, მათ შორის - ამ ადგილებში არსებულ სიმაგრეებს (მაგ. ბულბულის ციხე). სწორედ ამიტომაც ოსმალებს გასაქცევად ერთადერთი გზა ჰქონდათ დარჩენილი - თავი შეეფარებინათ ტყეებისათვის და ასე მოეხერხებინათ ქართველთა რისხვის არიდება.

სურ. 54 ოსმალო მსუბუქი ქვეითი, ე.წ. ბაშიბუზუკი

ოსმალებს ყოველი მხრიდან გზა მოჭრილი ჰქონდათ. ისინი იძულებულნი იყვნენ, მიეღოთ ბრძოლა, ან ტყვედ დანებებულიყვნენ. ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბირი გაიმართა, რომელსაც ლურსაბ მეფე მეთაურობდა. მას ქართველთა ყველა გამოჩენილი სარდალი ესწრებოდა, გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის ჩათვლით. აქ იყო თბილისის ირანული გარნიზონის უფროსი - დელუ-მოჰამედ-ხანი. თათბირზე სააკაძის საბრძოლო გეგმა მიიღეს და სარდლობაც მას დაავალეს.

სხერტის ჭალაში წარმატების შემდეგ გიორგი სააკაძე ოსმალთა ლაშქარს დევნიდა. ქართველები კვალში მიჰყვებოდნენ, რათა მტრისთვის უკან დახევის საშუალება არ მიეცათ. გიორგი სააკაძის ბრძანებით, ქართველებს აეკრძალათ მტერთან კონტაქტი. მთავარი იყო, ოსმალებს მტკვარი გადაელახათ ტაშისკარ-ქვიშხეთის ზონაში. ხაფანგიც იქ უნდა დაეგოთ. ამ შემთხვევაში ოსმალთა მარბიელი ლაშქრის მთავარი მიზანი შიდა ქართლიდან მშვიდობიანად გასვლა იყო. ისინი დიდი ნადავლით იყვნენ დატვირთულნი, ამიტომ ნელ-ნელა მიიწევდნენ ლიხის ქედისაკენ. მათ საგულდაგულოდ მოარბიეს საციციანო. მტერი სოფელ ბრბონაში მივიდა და მტკვრის გადალახვის სამზადისს შეუდგა.

უკან დახევის დროს ოსმალებს ეჭვიც კი არ ჰქონდათ, რომ ქართველები მასშტაბურ სამხედრო ოპერაციას გეგმავდნენ. გორიდან ბრბონამდე სამხრეთ საქართველოში გადამავალი რამდენიმე გზა მიემართება. კორტანეთ-სურამს შორის ქართველთა ჩასაფრება რომ სცოდნოდათ, ბუნებრივია, ოსმალები გზიდანვე პირს იქცევდნენ სამხრეთისაკენ და ერთ-ერთი გადასასვლელით ახალციხეში დაბრუნდებოდნენ. ფაქტია, მტერი ხელჩართულ ბრძოლას ნიაბის შემდეგ ერიდებოდა. ტაშისკრის ბრძოლის წინ ოსმალთაგან გამოქცეული ქართველი ტყვეც ადასტურებდა, რომ მტერი შეშინებული იყო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სააკაძის გეგმა ოდნავ ადრე რომ გამჟღავნებულიყო, ოსმალები ამ ხაფანგში არ გაებმებოდნენ. გიორგის მითითებით, სხვა ქართველმა სარდლებმა მოახერხეს მტრისგან შეუმჩნევლად კორტანეთის მიდამოებში სამცხეში მიმავალი გზის ჩაკეტვა, შიდა ქართლის ლაშქარმა კი - სურამის ბოლოს დაბანაკება. ქართველთა სამხედრო გეგმა, ძირითადად, მოულოდნელობასა და ჩასაფრებაზე იყო გათვლილი. ეს მტერს შიდა ქართლიდან გაღწევის საშუალებას არ მისცემდა.

სოფელ ბრბონაში მისულმა ოსმალებმა მდ. მტკვარზე გადასვლა სახელდახელოდ გაკეთებული ხიდით დაიწყეს. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგემ უკვე იცოდა, რომ ახალციხისაკენ მიმავალი გზა ქართველებს ჩაკეტილი ჰქონდათ, ამიტომაც საბრძოლო ბანაკის საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრება ნახვეტარის ველზე დაიწყეს. მათ ერთი მხრიდან თხრილები, მეორე მიმართულებიდან კი შექმნეს ხელოვნური ბარიერები სილით სავსე ტომრებით. მოწინააღმდეგე ღამითაც ელოდა თავდასხმას.

ოსმალთა კვალდაკვალ მომავალმა სააკაძემ მტკვრის გადალახვის გადაწყვეტილება მიიღო. ქართველები შემოვლითი გზით ახალდაბაში ჩავიდნენ, ფარულად გადალახეს მტკვარი და ტაშისკარ-ქვიშხეთის ჩრდილოეთით, ტყიანი მასივის გავლის შემდეგ, სურამის ბოლოს შეუერთდნენ ქართველთა ძირითად ძალებს.

რატომ მოქმედებდა გიორგი სააკაძე ოსმალთაგან ასე ფარულად? ქართველებს შეეძლოთ ახალდაბიდან სურამამდე ისე მისულიყვნენ, რომ მტერს ისინი შეემჩნია, მაგრამ არაფერი ევნო მათთვის. სააკაძის ჩანაფიქრი ასეთი იყო: ოსმალებს უნდა ჰქონოდათ იმის განცდა, რომ სხერტის ბრძოლის შემდეგ მათ ზურგში მყოფი ქართველები უწინდებურად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგნენ და ამ მიმართულებით უკან დასახევი გზა ოსმალთათვის სამუდამოდ მოჭრილი იყო. ქარ-

თული წყაროების ანალიზი სამხედრო გეგმის კიდევ ერთ დეტალს გვიცოცხლებს: ქართველთა ჩანაფიქრით, ოსმალებს არ უნდა მისცემოდათ უკან დაბრუნების საშუალება. მათ მდინარის მარჯვენა ნაპირი უნდა გაემაგრებინათ სოფელ ბრბონას მიდამოებში, რათა ბრძოლის შემდეგ უკან დახევისას მტერს სახელდახელო ხიდით კვლავ არ გადაელახა მდინარე. ამიტომაც, ვფიქრობთ, ბრბონას მიდამოებში ქართველები დატოვებდნენ ყურადღების მიმპყრობ პატარა რაზმს, რომლის გამოჩენა მტერს უფრო გაუმძაფრებდა ზემოთ ნახსენებ განცდას და ღამითაც მოსვენებას არ მისცემდა. ეს იყო გონივრული სამხედრო ეშმაკობა.

ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა ბანაკში სამხედრო თათბირი გაიმართა. სარდლები ბჭობდნენ, როგორ ემოქმედათ გადამწყვეტ ბრძოლაში. ნუგზარ ერისთავმა თანამებრძოლებს შეტევაზე ღამით გადასვლა შესთავაზა. გამოითქვა სხვა მოსაზრებებიც. სააკაძემაც წარმოადგინა თავისი გეგმა. ძირითადი დარტყმა უნდა შეესრულებინათ მტრის ხელოვნური ბარიერის მიმართულებიდან, გაეხლიჩათ მისი საბრძოლო წყობა და გაენადგურებინათ. ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: „მაშინ არჩივა მოურავმა: „თხრილის პირს გარეშემო მეთოფეები შემოვახვიოთო და ცხენოსანნი მინდვრად მივიდეთო“. „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა) კი აღნიშნავს: „და წავედით საომრად, მეთოფე თხრილის პირს მიუყენეთ და ჩვენ ზეიდამ მიუვედით“.

სურ. 55 ტაშისკარის ველი

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ბრძოლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: მოწინააღმდეგის თხრილთან მეთოფეები განლაგდებოდნენ, მინდვრის მეორე მხრიდან კი ქართველთა ძირითადი შეტევა გაიმართებოდა. ტაშისკრის ბრძოლაში ქართველ მეთოფეთა მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა, რადგან მოწინააღმდეგე ცეცხლსასროლი იარაღით ცუდად იყო შეიარაღებული. ეს ინფორმაცია ქართველთა ბანაკში ნიაბთან, სხერტის ჭალაში, ოსმალთა მიერ შეპყრობილმა ქართველმა ტყვემ მოიტანა, რომელმაც გამოპარვა მოახერხა და სარდლობას მიაწოდა ცნო-

ბები მტრის შეიარაღებასა და საბრძოლო სამზადისთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოსმალები ძირითადად მშვილდ-ისრებით იყვნენ აღჭურვილნი, ამასთანავე ისინი ქვიშიანი ტომრებით ამაგრებენ ბანაკს. საბოლოოდ, სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა მიიღო.

სამოქმედო რაიონი. ოპერაციის რაიონი მესხეთის ქედის დაბოლოებასთან მდებარეობს, დასახლებულ პუნქტებს: ქვიშხეთს, ახალდაბასა და ხაშურს შორის. ის მთაგორიანია. დაბრკოლებები ძირითადად ხევები, მდ. მტკვარი და გაუვალი ჯაგებია, რომლებიც იმ დროს მრავლად იქნებოდა. ყოველივე ეს გარკვეულწილად შეზღუდავდა დაპირისპირებულ მხარეთა მანევრირებას, თუმცა სააკაძისა და მისი ლაშქრისთვის ადგილმდებარეობის რელიეფი ნაცნობი იყო და საჭირო მიმართულებით ძალთა სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. მოწინააღმდეგე, რიცხობრივი სიმრავლით დაიმედებული, ამავე ხერხს არ იყენებდა. გენერალური ბრძოლის დაწყებამდე, იგი, ძირითადად, დასახლებულ პუნქტებს ძარცვავდა.

როგორც ცნობილია, ბრძოლა ზაფხულში გაიმართა. შესაბამისად, ამინდი საკმაოდ ცხელი და მშრალი უნდა ყოფილიყო. გადამწყვეტი ბრძოლის უშუალო ადგილი, სურამის ქედის ბოლოს, სამხრეთით, ვაკეზე მდებარეობს. წყაროების მიხედვით, მტერი ტაშისკარის ბოლოს, ნახვეტარში დაბანაკებულა. ეს ტოპონიმი დღესაც არსებობს. ადგილობრივები ამ სახელწოდებით (ნახვეტარით) იხსენიებენ იმ ვრცელ მინდორს, რომელიც ხაშურ-ბორჯომის გზატკეცილის მარცხენა მხარესაა და მდ. მტკვარს ეკვრის. ეს ადგილი ტაშისკარიდან, დაახლოებით, 5-7 კილომეტრითაა დაშორებული.

ბრძოლის მიმდინარეობა. 1609 წლის 27 ივნისს, გარიჟრაჟზე, ქართველებმა კოცონები დაანთეს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ქროდა, რამაც საკვამლე ფარდა წარმოქმნა. ხშირი თავდასხმებითა და ღამისთევით დაღლილმა ოსმალებმა ყურადღება მოადუნეს. ყოველივემ მოწინააღმდეგის თხრილებთან მეთოფეთა რაზმებისა და ძირითადი დამრტყმელი ძალის მაქსიმალურად მიახლოება უზრუნველყო. გიორგი სააკაძე თვითონ წარუძღვა დამრტყმელ დაჯგუფებას, რომელმაც ფლანგებიდან დაარტყა. კერძოდ, ჩრდილოეთიდან სამანევრო ჯარებს მეთაურობდა ნუგზარ არაგვის ერისთავი. მეთოფეთა ზალპის შემდეგ ქართველთა ლაშქარი ფლანგურ შეტევაზე გადავიდა და მტრის ბანაკში შეიჭრა. მთავარი დარტყმა, სააკაძის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიიტანეს. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ II, რომელმაც შუბით განგმირა რამდენიმე ოსმალო. ქართველ მეომართა სიმამაცემ ოსმალთა სიმტკიცე შეარყია და მათ უკან დახევა დაიწყეს. მცირე ნაწილი იმერეთისკენ მიმავალი გზისკენ გაიჭრა და მდინარე ჩხერიმელაზე გავლით ცდილობდა სამშვიდობოზე გასვლას. უკუქცეულ მოწინააღმდეგეს დაედევნენ. ბრძოლა დილით ადრე დაიწყო და მე-9 ჟამს, ანუ, დაახლოებით, 16 საათზე მოწინააღმდეგის სრული განადგურებით დამთავრდა. ახლომახლო ტყეებში გაფანტულ ოსმალებს გლეხის ქალები და ბავშვები იჭერდნენ, აშიშვლებდნენ და ისე ერეკებოდნენ ახალციხისკენ.

ანალიზი. პირველ რიგში, აღსანიშნავია თევდორე მღვდლის საქციელი, რადგან მისი არჩევანი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის იდგა. მიღებული გადაწყვეტილება იმპულსური არ ყოფილა. ხუცესს მოსაფიქრებლად საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. გოსტიბიდან ქვენადრისამდე რამდენიმე საათის სავალია. ამ ხნის მანძილზე თევდორე მღვდელს შეეძლო გადაწყვეტილების შეცვლა. ამასაც მოეძებნებოდა ახსნა: ადამიანურ სისუსტედ ჩაითვლებოდა ხუცესის ეს საქციელი, მაგრამ თავისი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში თევდორე მღვდელმა გამოიჩინა საოცარი სულიერი სიმტკიცე. მდ. გოსტიბისწყლის (მდ. თეძმის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში მიმავალს, თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა მოსალოდნელი საფრთხე - ოსმალები მას ღალატს არ აპატიებდნენ, მაგ-

რამ მან სიკვდილის შიში დაამარცხა, ქვეყნისა და მოყვასისათვის მოწამის ჯვარი იტვირთა. 1995 წლის 18-19 სექტემბერს საქართველოს დედაეკლესიამ თევდორე მღვდელი წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენიებელ დღედ 21 ივნისი დააწესა.

გამოვლინდა სააკაძის მთავარსარდლური ნიჭი და უნარი. მას შეეძლო საკუთარი ნების გატანა და ინიციატივის ხელში ჩაგდება, რაც მტერს აიძულებდა, თავისთვის არახელსაყრელ პირობებში ებრძოლა. მაშინდელი ბრძოლის ეს ფორმა ძალიან ჰგავს დღევანდელი მობილური თავდაცვის ფორმას, რომელიც ორიენტირებულია მოწინააღმდეგის განადგურებაზე. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგის ძალები საკუთარს ბევრად აღემატება.

მოწინააღმდეგის დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შემდეგმა ფაქტორებმა:

- თევდორე მღვდელის გმირობამ, რამაც მოწინააღმდეგის შეცდომა განაპირობა; ამით ქართველმა სარდლებმა დრო მოიგეს და ძალთა დროული მობილიზება შეძლეს;
- სხერტის ჭალაში ციციშვილის თავგანწირულმა ბრძოლამ, ზაქარიასა და იარალის მოულოდნელმა თავდასხმამ, რამაც მტერი პანიკაში ჩააგდო და უკან დახევა აიძულა;
- ბრბონასა და კორტანეთთან მცირე რაზმებით მტრის გასასვლელი გზების ბლოკირებამ, რამაც მოწინააღმდეგის მოქმედებები შებოჭა;
- გადამწყვეტი ბრძოლის ქართველთათვის უაღრესად ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გონივრულად შერჩევამ;
- სააკაძის საბრძოლო მოქმედებების გეგმამ, შეიარაღების უპირატესობამ.
- სამხედრო ხელოვნების პრინციპებიდან გამოყენებული იყო შემდეგი:
- ძალთა არათანაბარი განაწილება;
- მანევრი და ადგილმდებარეობის ფაქტორი;
- მოულოდნელობა, რომელიც მოწინააღმდეგის დაძაბუნებაში, ფარულად მიახლოებაში და ერთდროულ იერიშში გამოიხატა.

შედეგები. დიდი იყო თურქთა ზარალი. ქართველებს დიდძალი ქონება და მრავალი ტყვე დარჩათ, რომელთა შორის იყო ოსმალთა ლაშქრის ორი გამოჩენილი სარდალი: ფერჰად ფაშა და მოჰამედ ფაშას შვილი.

ქართლის მესვეურებმა შემთხვევით ისარგებლეს: მტრის მოჭრილი თავები და ორივე სარდალი შაჰ აბასს გაუგზავნეს, რითაც მას გამარჯვება „ახარეს“. ამით ქართველები ერთგვარად ვასალურ ,,ერთგულებას“ უმტკიცებდნენ შაჰს.

ამ ბრძოლის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო ორივე მხარისათვის. ოსმალეთს საკმაოდ რთული ვითარება შეექმნა ამიერკავკასიაში, რადგან ირანთან ომში ის ისევ სისტემატურად მარცხდებოდა. ქართლის დაპყრობა, მეფის დატყვევება და აქ საკუთარი პოზიციების გამყარება კი მას გაუფართოვებდა გავლენის სფეროს და ირანის წინააღმდეგ ომში ქართლს თავის ერთ-ერთი დასაყრდენად აქცევდა.

მოწინააღმდეგემ დაკარგა რამდენიმე ათასი მეომარი და ორი საკმაოდ გავლენიანი სარდალი. ოსმალეთმა საბოლოოდ აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის გავრცელებაზე. ამ ბრძოლაში გამარჯვებამ წარმატებები მოუტანა ქართლის სამეფოსა და გიორგი სააკაძეს, რომელმაც ბრძოლის ბედის განსაზღვრაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ოსმალთა დამარცხების შემდეგ, 1610 წელს, შაჰ აბასის ბრძანებით, თბილისის ციხე ქართლის მეფეს დაუბრუნდა. 1606 წლის შემდეგ იქ ირანული გარნიზონი იდგა. ქართლი ოსმალთა თარეშს გადაურჩა, რაც ქართველთა უპირველესი

ამოცანა იყო. უმნიშვნელოვანესი კი ის გარემოება იყო, რომ ქართლს ახლა უკვე მხოლოდ ერთი დაუძინებელი მტერი რჩებოდა - ირანი.

შაჰ აბას I-ის შემოსევები

ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი

პირველი შემოსევა. XVII საუკუნის დასაწყისში ირანელები ქართლ-კახეთს მრავალგზის შემოესივნენ, კერძოდ: შაჰ აბას I ქართლ-კახეთში პირველად 1614 წლის შემოდგომაზე შემოიჭრა. ქართლისა და კახეთის მეფეებმა - ლუარსაბ II-მ და თეიმურაზ I-მა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მტერს და ქუთაისში გადავიდნენ. შაჰმა საშინელი რეპრესიები დაატეხა თავს მოსახლეობას. ირანელები 50 დღის განმავლობაში დარჩნენ კახეთში და, როგორც შეეძლოთ, ისე აოხრებდნენ. ამის შემდეგ ირანელთა ჯარი ქართლს შეესია. შაჰმა იქ თავისი გარნიზონები დატოვა და დიდძალი ალაფითა და ტყვეებით ირანში დაბრუნდა. თან წაიყვანა ლუარსაბ II-ც, რომელიც მოტყუებით გადმოიყვანა ქუთაისიდან ქართლში.

1615 წელს, დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით, კახეთში ირანელთა წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. ამბოხებულებმა ალავერდის მონასტერში დაბანაკებული ირანელთა მთავარი გარნიზონი გაჟლიტეს და კახეთი ყიზილბაშებისაგან მთლიანად გაწმინდეს. აჯანყება ქართლსაც მოედო. მის ჩასაქრობად შაჰმა გამოცდილი სარდლების - ალი-ყული ხან შამლუს, მუჰამედ ხან ზიად ოღლი ყაჯარისა და მორთეზა ყული ხანის მეთაურობით, ახალ ჯარი გამოგზავნა. თეიმურაზ I ქართველთა ჯარით წიწამურთან შეებრძოლა მტერს. აღსანიშნავია, რომ ყიზილბაშთა ჯარში იმყოფებოდნენ შაჰისევანები - გამაჰმადიანებული ქართველი მეომრები, რომლებიც მეფეს მტრის მოძრაობის მარშრუტებსა და განლაგებას საიდუმლოდ ატყობინებდნენ. ბრძოლის დროს ისინი თეიმურაზ I-ის მხარეზე გადავიდნენ.

სურ. 56 ალავერდის მონასტერი

შაჰის კარის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში წიწამურთან ბრძოლას ასე აღწერს: „...თეიმურაზ-მა გადაწყვიტა საომრად წამოსვლა და თავისი სადგომიდან დაიძრა ქართველთა ჯარის დიდი ხრო-ვით, რომელიც მასთან შეერთებულიყო... ქართველები ისევ მთელი ძალით გულადად თავს დაეს-ხნენ მოწინააღმდეგის ცენტრს, აზერბაიჯანის ლაშქარმა ზურგი აქცია ბრძოლის ველს, გაიქცა ისე, რომ იარაღისათვის ხელი არ მოუკიდია... ქართველები ვისაც კი მისწვდნენ, მიწაზე ანარცხებდნენ და კლავდნენ... ასეთი უბედურება დაემართა ისლამის ლაშქარს...“

ირანში დაბრუნებული დამარცხებული სარდლები გაცოფებულმა შაჰმა სიკვდილით დასა-ჯა.

სურ. 57 ალავერდი ხან უნდილაძე (გარდ.1614 წ.), ირანის გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე

სურ. 58 იმამყული ხან უნდილაძე (გარდ.1633 წელს), ირანის გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. ალავერდი ხანის უფროსი ძე

სურ. 59 დაუდ ხან უნდილაძე, ირანის ცნობილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, ალავერდი ხანის უმცროსი ძე

მეორე შემოსევა. 1616 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ აბასი უზარმაზარი არმიით კვლავ საქართველოსკენ გამოემართა. გზაზე მას ამიერკავკასიის მაჰმადიანური სახანოების მმართველები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით.

ხალხისათვის გახიზვნის საშუალება რომ მოესპო, შაჰ აბასმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა, თან დაღესტნელ ფეოდალებს შეუთვალა, მთებში შეხიზნული კახელები გაეჟლიტათ ან დაეტყვევებინათ.

ირანელთა მეორე ლაშქარი, რომელსაც შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფ-ხანი მეთაურობდა და აღმოსავლეთიდან შემოჭრილიყო კახეთში, ცეცხლითა და მახვილით მიიწევდა წინ. მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ძეგამის მოსახლეობამ. ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო. ქართველები დამარცხდნენ. იუსუფ-ხანის ჯარებმა გაძარცვეს და მთლიანად დაანგრიეს კახეთის ეს უმდიდრესი ქალაქი. ასეთი ბედი ეწია ამ კუთხის სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც. კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ციხესიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიასა და ქოხსაც კი. ბრძოლა დაუნდობელი იყო. შაჰ აბასის ჯარები ანადგურებდნენ, ანგრევდნენ, წვავდნენ, ჩეხდნენ ხეხილისა და ვენახის ბაღებს, სახლებს, ეკლესიებს - ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ. კახეთი - ეს მდიდარი და აყვავებული კუთხე გაპარტახდა.

შაჰის კარის მეორე ისტორიკოსი შაჰ ჰუსეინ სისტანი ასე აღწერს ამ ლაშქრობას: ,,...ყიზილბაშთა მთელი ლაშქარი საომრად იყო გამზადებული. ისინი გაემართნენ საქართველოსაკენ, მოიარეს მთელი მთიანი მხარე, ქრისტიან ხელმწიფეთა სამფლობელოები და გზები, დააქციეს კახეთის მხარე, დახოცეს და გაძარცვეს ხალხი. აიღეს უამრავი გამაგრებული ადგილი (სიღნაღი), რომლის აღწერაც შეუძლებლად მიგვაჩნია. თითქმის 60 000-მდე ურწმუნო გაგზავნეს ჯოჯოხეთში. 200 000 ახალგაზრდა ქალი, ნორჩი გოგონები, მშვენიერი ჭაბუკები და ლამაზი ბავშვები სარწმუნოებისათვის მებრძოლთა ხელში აღმოჩნდნენ.Kკიდევ 100 000 ტყვე იალბუზის მთის მხრიდან ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა და შირვანში გაყიდეს. ასეთი გამარჯვების შემდეგ შაჰი გადავიდა ქართლში და აქაც დაიწყო ურწმუნოთა დასჯა“.

ისქანდერ მუნშიც ანალოგიურად აღწერს ამ შემოსევას: „ქართველებისათვის მეორედ მოსვლის დღე დადგა... მათ დაინახეს, რომ ყოველი მხრიდან იყვნენ გარშემორტყმული (როგორც თევზები უბედურების ბადეში), შეძრწუნდნენ, ჯგუფ-ჯგუფად უღრან ტყეებს მიაშურეს. უავგუსტოესი შაჰი ოცი დღე დარჩა მდინარე ყანაყის (ალაზნის) იმ მხარეზე და სარწმუნოებისათვის მებრძოლი ძლევამოსილი მეომრები ურჯულების ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დასაქმებული... რაც თეიმურაზის ბედკრული უწესობისა და ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა ქართველ ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან დღემდე... ზოლეიხას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები, უწვერული იოსებ მშვენიერის ღაწვებიანი, ხალებით დამშვენებული ვაჟები და ბავშვები, რომლებიც ჩაატარეს მისი უავგუსტოესობის წინაშე, 100 000-ზე მეტი აღიწერა. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, 30 000 კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში დაატყვევეს, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ აღურიცხავთ“.

უპატრონოდ დარჩენილ კახეთს ახლა დაღესტნელ ფეოდალთა ყაჩაღური რაზმები შემოესივნენ. მათაც მრავალი ტყვე გაიყვანეს და დიდძალი ქონება გაზიდეს. გადარჩენილთაგან ზოგი დიდოეთში, ზოგი ქართლსა და იმერეთში გადავიდა. კახეთი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. შაჰმა სასტიკად დასაჯა განჯის სახანოს მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც აჯანყდა და კახეთს მიეშველა.

მესამე შემოსევა. 1617 წლის ადრე გაზაფხულზე შაჰ აბასი კვლავ შემოვიდა საქართველოში. ამ დროისათვის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხორნაბუჯის ციხეში გამაგრებულიყო. შაჰმა ალყა შემოარტყა მას. კახელები ერთხანს იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ მტერს დანებებოდნენ. ყიზილბაშები კვლავ ქიზიყს შეესივნენ. მრავალი დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. შაჰ აბასმა კახეთი ორად გაყო: ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს - ფეიქარ-ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი ქართლის მმართველს - ბაგრატ-ხანს. დაცარიელებულ კახეთში თურქმანების ჩამოსახლება დაიწყეს. ამის შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა და ახლა უკვე მას დაატეხა თავს საშინელი რეპრესიები, რის შემდეგაც ირანში დაბრუნდა.

სურ. 60 ხორნაბუჯის ციხე

ამ ბრძოლების დროს, რომლებიც ერთ წელს გაგრძელდა, ქართლ-კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თითქმის სრულად დანგრეული და გადამწვარი იყო მთელი ქართლ-კახეთი. მაშინ დაქცეული მრავალი ქალაქი აღარც აღმდგარა. კახეთის მეფის - თეიმურაზის გაუტეხელობით, ოსმალეთსა და რუსეთთან მისი კავშირით გაცოფებულმა შაჰ აბასმა შური მისი ოჯახის წევრებზე იძია: 1620 წელს დაასაჭურისებინა თეიმურაზის ვაჟები: ლევანი და ალექსანდრე, რასაც მათი სიცოცხლეც შეეწირა. მოგვიანებით, დიდი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზის დედა - ქეთევანი. ქართულმა ეკლესიამ სამშობლისათვის წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. მეფე-პოეტმა თეიმურაზმა დედას პოემა უძღვნა - „წამება ქეთევან დედოფლისა“. შაჰ აბასმა სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეფეც, რომელიც ირანში, გულაბის ციხეში იყო პატიმრად. იგი 1622 წელს ლარით დაახრჩვეს.

სურ. 61 ქეთევან დედოფალი (ქეთევან
წამებული), შერაცხულია წმინდანად

დიდმა ოჯახურმა ტრაგედიამ მაინც ვერ გატეხა თეიმურაზ მეფე. იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და ქართველებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

საქართველოში აბას I-ის ლაშქრობებმა ძლიერ აზარალა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ უდიდეს კატასტროფად მაინც დემოგრაფიული მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება უნდა მივიჩნიოთ. კახეთიდან ირანში შაჰმა 200 000 ქართველი გადაასახლა. კახეთის მოთხრით შაჰ აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო; კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანში გადასახლებული კახელები სოფლის კულტურ¬ული მეურნეები და შაჰის ხელისშემყურე ერთგული მეომრები უნდა გამხდარიყვნენ. ირანის შაჰმა საქმე თითქმის ბოლომდე მიიყვანა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, აღნიშნულ სამეფოებში კი ადგილობრივი ხელისუფლება უკვე დიდი ხნის გაუქმებული იყო.

მარტყოფის ბრძოლა

ბრძოლისწინა მდგომარეობა. XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანის შაჰის კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს განადგურების ახალი გეგმა შემუშავდა. 1624 წელს კახეთის მმართველმა ფეიქარ-ხანმა შაჰ აბასს აცნობა კახელების მხრიდან აჯანყებისთვის მზადების ამბავი, რამაც მოწინააღმდეგის სასწრაფო მობილიზაცია განაპირობა.

1625 წლის დასაწყისში ირანში დიდი ლაშქარი შეიკრიბა, რომელსაც მთავარსარდლად შაჰმა ყარჩიხა-ხანი დაუნიშნა. მას, საქართველოსაკენ მომავალს, აბას I-მა გიორგი სააკაძე მრჩევლად გამოაყოლა. შაჰის კარზე ერთ-ერთი შეხვედრისას აბას I-ს მთავარსარდლისთვის უბრძანებია: მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ გადაეწყვიტათ. ირანელთა საქართვლოში შემოსვლას საბაბად დაუდეს ქართლის გამგებლის – სიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიბაშის ასულის - ჯაჰან-ბანუს ქორწილი. ირანელები მუხრანის მახლობლად, აღაიანის ველზე დაბანაკდნენ. ისინი კახეთში შემოჭრის სამზადისს შეუდგნენ.

გიორგი სააკაძე დროულად მიუხვდა შაჰ აბას I-ს განზრახვას - ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურების სურვილს. მან ბევრი იმუშავა ქართლ-კახეთის მოსახლეობისა და დიდებულების კონსოლიდაციისათვის, რაშიც ეკლესიამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან ასევე მიიღო ზომები მებრძოლთა შესაიარაღებლად და უმოკლეს დროში აჯანყების ფარულად მოსამზადებლად. სააკაძეს ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ. ერთ დღეს იგი სანადიროდ ლოჭინის ხევში გავიდა. მან ირანელთა ბანაკისაკენ მიმავალი შაჰის შიკრიკი შეამჩნია. მოურავის დაძახილზე ირანელმა მოხელემ გაქცევა სცადა. მას გიორგის მხლებლები წამოეწივნენ და შეიპყრეს. გაჩხრეკისას შიკრიკს შაჰ აბას I-ის წერილი აღმოაჩნდა, რომელიც ყარჩიხა-ხანთან მიჰქონდა. მასში ეწერა: „შენ რომ კორუჯიბაში ხარ, გმართებს დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი. რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა“. გიორგიმ შაჰის შიკრიკი მოკლა, ხოლო წერილის შესახებ უახლოეს წრეს გაუმხილა. მცირე დროში სააკაძემ სხვა ქართველი ფეოდალებიც მიიმხრო.

სურ. 62 ქვეითი ყიზილბაში (XVI-XVII სს)

სურ. 63 მხედარი ყიზილბაში (XVI-XVII სს)

სამოქმედო რაიონი. ბრძოლა გაიმართა საგურამოს ქედის სამხრეთით, ნორიოს, საცხენისს, ახალსოფელსა და დიდ ლილოს შორის - თბილისიდან 21 კმ-ში. ბრძოლა ვაკე-ბორცვიან დაღარულ ადგილმდებარეობაზე, სოფელ მარტყოფის სამხრეთით წარიმართა. ბრძოლის ველი აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით მთა-ბორცვიანი ადგილებით იყო შემოფარგლული, რაც მოწინააღმდეგეს ხელს უშლიდა ძალთა მანევრირებისა და რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებაში. მიმდებარე ტერიტორიები კი ქართველთა რაზმებს ფარულად მანევრირებისა და დაბანაკებულ მოწინააღმდეგეზე სხვადასხვა მიმართულებიდან მოულოდნელი თავდასხმების საშუალებას აძლევდა.

სურ. 64 მარტყოფის ველი

სამოქმედო გეგმა. სააკაძემ მომავალი საბრძოლო მოქმედებების გეგმა ხარების რელიგიური დღესასწაულის მეორე დღეს დაუკავშირა, რომელსაც ქართველები მარტყოფის მონასტერთან აღნიშნავდნენ. გიორგიმ სპარსელების სარდლებს შესთავაზა, დღესასწაულის მეორე დღეს ქართველებისთვის მაჰმადიანობა მიეღებინებინათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ, რადგან უფრო ხელსაყრელი მომენტი შაჰის ბრძანების შესასრულებლად ახლო მომავალში არ ექნებოდა. ასეთი დიპლომატიური ხერხით მან მოწინააღმდეგის სარდლებს ეჭვი გაუფანტა და მათი ყურადღება მოადუნა.

ყარჩიხა-ხანი სააკაძის ორგულობაში მთლად დარწმუნებული არ იყო, რადგან სააკაძის უმცროსი შვილი - პაატა შაჰს მძევლად ჰყავდა დატოვებული, თვით გიორგი კი მტრის 30 000-იანი ლაშქრის ბანაკის განლაგების ცენტრში იმყოფებოდა; მეტიც - მას მოურავის შეთავაზებული წინადადება მოეწონა და ამშვიდებდა ის ფაქტიც, რომ დღესასწაულზე ქართველები იარაღის გარეშე, ჯვრებითა და ხატებით მოვიდოდნენ.

გიორგი სააკაძემ შეთავაზებულ წინადადებაზე ყარჩიხა-ხანისაგან თანხმობა მიიღო.Eეს გეგმა დიდი მოურავის სტრატეგიული გამარჯვება იყო. მისი ჩანაფიქრი საბოლოოდ შედგა. გეგმა ითვალისწინებდა შემდეგს:

- მებრძოლთა ინფორმირებას, მობილიზებასა და შეიარაღებას;
- ძალების ფარულ თავმოყრას საბრძოლო მოქმედებების რაიონში;
- დამრტყმელი დაჯგუფებების შექმნასა და ამოცანების დასახვას;
- ირანის ლაშქრის სარდლობის უეცარ განადგურებას;
- ალყის შემორტყმას და ერთდროულ იერიშებს;
- ბრძოლის ხელმძღვანელობას.

აღსანიშნავია, რომ სააკაძე მოულოდნელობის ფაქტორს ეყრდნობოდა. მაგალითად, ტაშის-კარში მოწინააღმდეგე ღამით ელოდა თავდასხმას, ქართველები კი დილით დააცხრნენ და გაა-ნადგურეს. ოპერაციის განხორციელებაში მათ ხელს უწყობდა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელმაც საკვამლე ფარდა შექმნა, ასევე - ირანის ლაშქრის მოქანცულობა და უსაფრთხოების ელემენტების შესუსტება.

ამჯერად სააკაძემ გადაწყვიტა ხუთკაციანი ჯგუფით (გიორგი სააკაძე, მისი შვილი _ ავთან-დილი, თავადიშვილები - პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და გიორგის მსახური პაპუნა ვა-შაყაშვილი) მოწინააღმდეგის ბანაკის განლაგების ცენტრში მთავარსარდლების განადგურება. რა თქმა უნდა, ეს დიდ მამაცობას მოითხოვდა. სააკაძემ კარგად იცოდა მათი სუსტი და ძლიერი მხა-რეები, რაც არსებული ვითარების შეფასებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ბრძოლის მსვლელობა. 1625 წლის 25 მარტს ხარების ბრწყინვალე დღესასწაული თენდებო-და. ირანელთა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა. აქა-იქ ისმოდა გადაძახილი. გეგმის მიხედვით, ქართვე-ლებმა სპარსელების ბანაკს ალყა შემოარტყეს. უეცრად, გუშაგებმა განგაში ატეხეს. მათ ქართველ-თა რაზმების მოახლოება შენიშნეს.

ყარჩიხა-ხანმა სასწრაფოდ სარდლების შეკრება ბრძანა. მასთან გამოცხადდა გიორგი სააკა-ძე, მხლებლებთან ერთად. მთავარსარდალი ყარჩიხა-ხანი თავისი კარვიდან გამოვიდა. მას ცხენი მიართვეს, მაგრამ, ამხედრებისთანავე, გიორგი სააკაძემ ის შუბით განგმირა. მან, თანმხლებ პი-რებთან ერთად, რამდენიმე წუთში მოახერხა ყარჩიხა-ხანთან მყოფი სხვა სარდლების განადგუ-რება. ამასთანავე მიმდინარეობდა ქართველთა ერთდროული იერიში. ირანელთა მთავარსარდ-ლის სიკვდილის ამბავი მთელ ჯარს მოედო. ბანაკი ერთბაშად აირია.

ქართველთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ ირანელებს. ზურაბ (არაგვის) ერისთავმა ცხენოსანი რაზმის მოულოდნელი იერიშით შეაღწია მტრის ბანაკის ცენტრში და თავის მხლებ-ლებთან ერთად, სააკაძეს დაეხმარა ყიზილბაშთა განადგურებაში. მტერმა გაქცევა დააპირა. მარ-თვის გარეშე დარჩენილმა მოწინააღმდეგის ლაშქარმა წარმოუდგენელი ზარალი ნახა. ბრძოლის ველზე მყოფი 30 000 ირანელისგან მხოლოდ 3000 გადაურჩა ქართველთა რისხვას. თურქი ისტო-რიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით, „ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლია“. რამდენიმე კვირაში მთელი ქართლ-კახეთი ირანელთა დარჩენილი რაზმებისა-განაც გაიწმინდა.

ანალიზი. ისტორიული მასალებიდან ირკვევა, რომ ასეთი ბრძოლის ორგანიზებისათვის საკმაოდ დიდი სამუშაოს შესრულება მოუწიათ სააკაძესა და მის თანამოაზრეებს. სამხედრო ხე-ლოვნების პრინციპებიდან გამოიკვეთა შემდეგი:

- ოპერაციის მომზადების ფარულობა;

- ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება (იერიშები სხვადასხვა მხრიდან წარიმართა);
- მოულოდნელობის ფაქტორი - მართვის სისტემის მოშლა;
- ძალთა ეფექტური ურთიერთქმედება (სინქრონიზება).

შედეგი. ამის შემდეგ გიორგი სააკაძემ თბილისი ყიზილბაშთაგან გაათავისუფლა, თუმცა ნარიყალას ციხე ვერ აიღო. მოგვიანებით, ზურაბ ერისთავთან ერთად, კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ-ხანს დაედევნა, რომელმაც მცირე ამალით მტკვარი გადალახა და ბარდავში შეასწრო. გაქცეული მოწინააღმდეგის ლაშქრის დიდი ნაწილი ტყვედ ჩაბარდა. ქართველებმა ხორნაბუჯის ციხე აიღეს. მცირე შესვენებისა და მომზადების შემდეგ სააკაძემ განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე გაილაშქრა და ეს მხარე დაარბია. გონიოს ციხეში მყოფი თეიმურაზ I კი დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ დაჯდა. ამ მარცხმა შაჰ აბას I საშინლად განარისხა. საჭირო იყო სასწრაფო ზომები.

სურ. 65 ნარიყალას ციხე, თბილისი

მარაბდის ბრძოლა

საერთო ვითარება. მარტყოფის ბრძოლაში სასტიკად დამარცხების შემდეგ ირანის შაჰმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაენადგურებინა ქართლ-კახეთის სამეფო და საერთაშორისო არენაზე შელახული სახელი აღედგინა. შაჰ აბას I-მა შეიარაღებული ძალების მობილიზაციას მიმართა: შეაგროვა უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც თავისი სიძის - ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოგზავნა. იმ პერიოდის ირანელი ისტორიკოსის, ისკანდერ მუნშის სიტყვებით, ისა-ხანს შაჰმა ,,მოურავის ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა“, რაც აბასის სურვილის აღსრულებას – ქართლ-კახეთის მთლიანად მოსპობას გულისხმობდა. ყორჩიბაშთან ერთად, საქართველოზე გალაშქრება შირვანის ბეგლარბეგს - ყაზახ-ხან ჩერქეზს, ერევნის ბეგლარბეგს - ამირგუნე-ხანს და აზერბაიჯანის ბეგლარბეგს - შაჰბენდე-ხანს ებრძანათ. ყორჩიბაშის ჯარში იყო დაუდ-ხანის უკანონო შვილი ხოსრო-მირზაც (შემდგომში - როსტომ მეფე).

მებრძოლი მხარეები და მათი განლაგება. ისა-ხან ყორჩიბაშის არმია 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე დაბანაკდა. ელოდნენ შაჰბენდე-ხანსაც 20 000 მებრძოლით. იმ დროისათვის ირანელთა ჯარი, სამხედრო რეფორმის შედეგად, ევროპულ ყაიდაზე იყო გარდაქმნილი (ისა-ხანის ლაშქარი ბრიტანელი ინსტრუქტორების მიერ იყო გაწვრთნილი).

სურ. 66 მარაბდის ველი

ისა-ხანმა მებრძოლები იმ პერიოდის ტაქტიკური წყობის შესაბამისად, ქართული ჯარის სავარაუდო შემოტევის მიმართულებით, დაახლოებით 4 კმ-იან ფრონტზე განალაგა და კოჯრის მიმართულებიდან მარაბდის ველი გადაკეტა; კერძოდ, ფრონტის მთელ პერიმეტრზე დაბრკოლების მიზნით, თხრილები გაითხარა, რომელთა უკან მეთოფეები განლაგდნენ ოთხრიგიანი საბრძოლო წყობით. პირველი რიგი ცალ ფეხზე იყო ჩაჩოქილი, მეორე - ფეხზე იდგა, მესამე - ცხენზე იჯდა, მეოთხე - აქლემზე. მეთოფეთა დაჯგუფება, დაახლოებით, 12 000 მებრძოლს ითვლიდა. არტილერია განლაგებული იყო მეთოფეთა ოთხიარუსიანი წყობის ინტერვალებში. მეწინავე ძალებს ამირგუნე-ხანი (სიმამაცის გამო ,,სარუ-ასლანს“, ანუ ,,ყვითელ ჯიქს“ უწოდებდნენ) ხელმძღვანელობდა. ცენტრს, რომელშიც ყიზილბაშთა ჯარის ძირითადი ბირთვი იდგა, თავად ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა. ძირითადი ძალები ცენტრის მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე დააწყვეს. ირანელთა სარდლობა მოელოდა ქართული ჯარის შეტევას, რისთვისაც ისინი წინასწარ მოემზადნენ. მათი მიზანი ქართველების გაშლილ ველზე ჩამოტყუება იყო.

ირანელთა შემოსევის მომლოდინე ქართველები, დაახლოებით, 20 000-იანი ლაშქრით, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანკდნენ. ცხენოსანთა რაზმს ძირითადად თავადაზნაურობა, ხოლო ქვეით ჯარს გლეხობა შეადგენდა. ქართველთა ბანაკში თავი მოიყარა ქართლ-კახეთის ყველა გამოჩენილმა სარდალმა. აქვე იყო გიორგი სააკაძე და ახალციხიდან ლტოლვილი მანუჩარ ათაბაგი, 300 რჩეული ვაჟკაცით. ქართულ ლაშქარს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I სარდლობდა.

სამოქმედო რაიონი. მარაბდის ველი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ-ზე, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონების საზღვარზე (კოდა-მარნეულის გზაზე), თრიალეთის ქედის სამხრეთით 11 კმ-ზე. ველი ვაკე-ბორცვიანი გაშლილი ადგილია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კოჯორ-ტაბახმელას მთები და მათგან კოდა-კუმისისაკენ დაქანებული ბუჩქნარიანი სერები, კლდოვანი ხრამები და ჩამორეცხილი ბილიკები. მარაბდის ველს სამხრეთიდან ესაზღვრება მარნეული, უფრო ქვემოთ კი - გატეხილი, ანუ წითელი ხიდი. ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე მდებარეობს კუმისის ტბა. სამხრეთიდან მოწინააღმდეგეს რელიეფი ფარული გადაადგილების შესაძლებლობას აძლევდა. ბრძოლის ადგილი მცენარეული საფარით ღარიბია, რაც ძალთა მანევრირებისა და პირდაპირი დამიზნებით ცეცხლის გახსნის საშუალებას იძლეოდა.

სურ. 67 თეიმურაზ I (კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წლებში) და დედოფალი ხორეშანი

მებრძოლ მხარეთა გეგმები. ბრძოლის წინა საღამოს გაიმართა სამხედრო თათბირი, რომელსაც თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის გარდა, სხვადასხვა კუთხის ერისთავები და თავადები ესწრებოდნენ. მოწინააღმდეგესთან შებმის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან ძალიან ცხელოდა და ქართველებს, განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდათ, ყიზილბაშები კი შეჩვეულნი იყვნენ ასეთ სიცხეებს. რაც მთავარია, კოჯორ-ტაბახმელას ვიწროხევებიან მიდამოებში მტერს ძალების სრულად გაშლისა და გამოყენების საშუალება არ ექნებოდა. სააკაძის ამ რჩევას მხოლოდ ბაადურ ციციშვილი მიემხრო.

სხვები საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წასვლით იმუქრებოდნენ. განსაკუთრებით ბარათაშვილები მოითხოვდნენ ბრძოლის მყისვე დაწყებას, რადგან მტერი მათ მამულებს აოხრებდა. ამავე აზრს ემხრობოდნენ კახეთის სარდლებიც. სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა, ბრძოლა მეორე დღეს, 1625 წლის 1 ივლისს დაეწყოთ. მთავარსარდლობა თეიმურაზ მეფეს დააკისრეს.

ბრძოლის მსვლელობა. ბრძოლის წინა ღამეს მროველმა ეპისკოპოსმა დომენტი ავალიშვილმა ჯარი აზიარა. მან სიტყვით მიმართა ქართულ ლაშქარს: მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადი ინტერესების დასაცავად, არამედ ჩვენი საერთო მტრის სისხლის დასაღვრელად, ჯერ არს, სწორედ მე ვაზიარო ქართველი გმირები, რომლებთან ერთადაც მზად ვარ, დავათხიო საკუთარი სისხლი სამშობლოსა და ქრისტიანობის დასაცავადო.

ქართველთა ჯარი, ზიარების შემდეგ, ღამით კოჯრის ვიწრობებიდან მარაბდის ველისაკენ დაეშვა და ყიზილბაშთა ბანაკს მიუახლოვდა. ბრძოლის დაწყებას გარიჟრაჟზე აპირებდნენ, რათა ძლიერ ჩამოცხომამდე გაენადგურებინათ მტერი. ქართველებმა მოუმკელ ყანებში ცოტა შეისვენეს. მათი მეწინავე მზვერავი რაზმები, დავით ჯანდიერისა და აღათანგ ხერხეულიძის მეთაურობით, რამდენიმე დღით ადრე მტრის ბანაკის ირგვლივ მანევრირებდნენ და ყიზილბაშებს მოსვენებას არ აძლევდნენ.



სურ. 68 მარაბდის ბრძოლის სქემა

მებრძოლები შეტევაზე გადასასვლელად მოემზადნენ. წინ ცხენოსანთა რაზმები დაეწყო, უკან - ქვეითი ჯარი და მტრის ბანაკისაკენ დაიძრა. თოფის სასროლ მანძილამდე ნელა იარეს, შემდეგ ფარები აიფარეს, შუბები დაუშვეს და ყიზილბაშთა განლაგებაზე იერიში მიიტანეს. თოფ-ზარბაზანმა ერთდროულად გაისროლა. სროლამ და მისგან წარმოქმნილმა ბოლმა შეტევა ცოტა შეაფერხა, მაგრამ ქართველები არ შედრკნენ, ცხენოსანთა რაზმები დიდი სისწრაფით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში. ბრძოლა სასტიკი იყო. მტრის მეწინავე რაზმებმა ვერ გაუძლეს ქართველთა შეტევას და გატყდნენ. ამირგუნე-ხანი სასიკვდილოდ დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მეთოფეთა მეწინავენი კი გაიფანტნენ.

ქართულმა ჯარმა ცენტრს შეუტია. მარცხენა და მარჯვენა ფლანგზე განლაგებული თავზარდაცემული მებრძოლნი ცენტრს არ მიეშველნენ და უკუიქცნენ. სააკაძემ მუზარადი მოიხადა, რათა ყიზილბაშებს ეცნოთ. იგი ლომივით ტრიალებდა ხან ერთ და ხან მეორე რაზმში, ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ჯარს. ზურაბ ერისთავი დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. გმირულად დაეცნენ დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე. ქართული ჯარი, ძირითადად, მტრის ცენტრს უტევდა და დიდი არეულობაც შეიტანა მასში. ქართველების გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ გამოცდილი მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში ბრძოლის ველს არ თმობდა და უკანასკნელ ძალებს იკრებდა. ამ დროს ქართული ჯარის ერთი ნაწილი ,,ორდუბაზარში“ (ადგილი, სადაც ყიზილბაშთა ბანაკის ქონება ინახებოდა) შეიჭრა და ალაფობა დაიწყო, რადგან ბრძოლას უკვე მოგებულად მიიჩნევდა. ცხენოსანთა რაზმის ერთი ნაწილი, ავთანდილ საკაძისა და დავით ერისთავის (ზურაბის ძმა) მეთაურობით, გაქცეულ მტერს დაედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა. ამ ვითარებამ ძალიან შეამსუბუქა ყორჩიბაშის მდგომარეობა. ამ დროს ირანელებს ახალი ძალებიც შეუერთდნენ, კერძოდ, აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰბენდე-ხანი თავისი ჯარით, გაშლილი დროშებით, ბუკებითა და დიდი ყიჟინით შეიჭრა ბრძოლის ველზე. ირანელები გამხნევდნენ და ახალი ძალით შეუტიეს ქართველებს. ბრძოლით დაღლილმა და სიცხისაგან შეწუხებულმა ქართულმა ჯარმა ყიზილბაშთა ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და გატყდა. პირველად ცხენოსნებმა მიატოვეს ბრძოლის ველი და კოჯორის ვიწროებს მიაშურეს. სააკაძე, მეფე თეიმურაზ I და სხვა სარდლები უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ და მებრძოლთა შეკავებას ცდილობდნენ, რათა ქვეითი ჯარი დაეფარათ მტრის ცხენოსნებისაგან, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ცხენოსანი ჯარისაგან მიტოვებული, უზომოდ დაღლილი ქართველი ქვეითები უკანასკნელ კაცამდე შეაკვდნენ მტერს. დილით ადრე დაწყებული ბრძოლა გვიან ღამით დამთავრდა.



სურ. 69 მარაბდის ბრძოლა გენერალ-მაიორ ივანე შაიმმელაშვილის სქემის მიხედვით

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ. მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა ბრძოლები. მტერი შიდა ქართლში შეჭრას ჩქარობდა. სააკაძე პატარ-პატარა რაზმებით, პარტიზანული ბრძოლის მეთოდებით დაუპირისპირდა მტერს. ათი დღის განმავლობაში ქართველები აკავებდნენ მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს და არ აძლევდნენ საშუალებას, ქვეყნის გულში შეჭრილიყვნენ, რათა მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს 60 კაცით სააკაძემ მტრის 700 მებრძოლი გაანადგურა.

სურ. 70 ცხრა ძმა ხერხეულიძე, მათი დედა და და.
შერაცხულები არიან წმინდანებად

სურ. 71 ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავები სოფ. მარაბდაში

თბილისის დაკავების შემდეგ მოწინააღმდეგემ მდევრები დაადევნა ლტოლვილებს. მტერი ისე იყო დაზარალებული, რომ აღარ შეეძლო შაჰ აბასის მთავარი ამოცანის - ქართლ-კახეთის მოსახლეობის ამოწყვეტის შესრულება. ისა-ხან ყორჩიბაშმა თავისი ჯარიდან 12 000-იანი ლაშქარი გამოყო არშის ციხის ასაღებად, სადაც ქართველების დატყვევებული ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე, ყორჩიბაშის ასული იყვნენ დამწყვდეულნი. ყორჩიბაშმა ზურაბ ერისთავს არაგვის ხეობის გზის უბრძოლველად დანებება სთხოვა. ზურაბი, რომელიც ქართველების საქმეს წაგებულად თვლიდა და ყიზილბაშებთან შერიგება გადაეწყვიტა, დათანხმდა გაეტარებინა მტრის ჯარი იმ პირობით, თუ ისინი ხელს არ ახლებდნენ არაგვის ხევის მოსახლეობას და უკან სხვა გზით - ქსნის ხეობით დაბრუნდებოდნენ. მხარეები შეთანხმდნენ. ირანელთა ლაშქარი არაგვის ხეობისაკენ გაემართა. სააკაძემ ღართისკარისა და წიწამურის მიდამოები გაამაგრა და წინ გადაუდგა ყიზილბაშებს. ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ქართველთა მცირერიცხოვანმა რაზმებმა ვერ შეძლეს მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის შეკავება. მტერი არშის ციხეს მიადგა. ციხიდან გამოიყვანეს ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე, ქსნის ხეობაში გადავიდნენ და თბილისისაკენ წავიდნენ. სააკაძემ ქსნის ხეობის გზები შეკრა. მან მოახერხა ზურაბის ძმების _ დავითისა და გიორგის გადმობირება, რომლებმაც ზურგიდან შემოუტიეს ირანელებს. სააკაძეს იესე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონიც მიეშველნენ თავიანთი ლაშქრით. მტერი ალყაში მოექცა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სამი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს მტრის 12 000-იანი ლაშქარი. შაჰბენდე-ხანი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ქართველები დაეწივნენ და აკუწეს. ყაზახ-ხანი ტყვედ ჩავარდა. მხოლოდ ხოსრო-მირზამ მოახერხა ალყის გარღვევა და გადარჩენილი მცირე ამალით თბილისში დაბრუნდა.

სურ. 72 ანანურის კომპლექსი-არაგვის ერისთავების რეზიდენცია

სურ. 73 ქსნის ხეობა

ქართველებმა გამარჯვება მოიპოვეს, დიდძალი იარაღი, ცხენები და ტყვეები ხელში ჩაიგდეს. ყიზილბაშთა ამ დამარცხებით საბოლოოდ დაიჩრდილა მარაბდის ბრძოლაში მოპოვებული მათი უპირატესობა. მართალია, ქართლ-კახეთი დროებით კვლავ ირანის ზეგავლენაში აღმოჩნდა, მაგრამ მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის - ქართველთა საბოლოო განადგურების შესრულება ვერ შეძლო.



სურ. 74 ქსნის ბრძოლა გენერალ - მაიორ ივანე შაიშმელაშვილის სქემის მიხედვით

ანალიზი. ბრძოლის საწყის ეტაპზე ქართველთა წარმატებული იერიშის მიუხედავად, რაც მოწინააღმდეგის მეთოფეთა რაზმების გარღვევით და ცენტრზე დარტყმით გამოიხატა, არასწორი ტაქტიკური მანევრისა და ძალთა არაეფექტური მართვის გამო, დამარცხება გარდაუვალი გახდა. სააკაძისეული გეგმის შესრულება, რომელიც მოწინააღმდეგის ძალთა დანაწევრებასა და განადგურებას ითვალისწინებდა, შესაძლებელი იყო. დიდებულების პირადი ინტერესებისა და მეფის არასწორი გადაწყვეტილების გამო, ქართულმა მხარემ სავალალო შედეგი მიიღო. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ სააკაძის გეგმა სწორი იყო. ქართველები, შეზღუდული სამანევრო სივრცის გამო, ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს მთაგორიან და ვიწრო ადგილებში უფრო გაუმკლავდებოდნენ, ვიდრე გაშლილ ველზე.

სურ. 75 ივანე შაიშმელაშვილი(1910-1992), გენერალ-მაიორი, სამხედრო ისტორიკოსი, პროფესორი

სურ. 76 ირაკლი ჯორჯაძე(1919-1992), გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო ისტორიკოსი, აკადემიკოსი

დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ისევ სააკაძე და მისი გეგმის მხარდამჭერი დიდებულები შეეცადნენ. ძალთა სწრაფი მობილიზაციითა და პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით, მარაბდაში განცდილი ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება შესაძლებელი გახდა ქსნის ბრძოლაში. ეს გეგმა შესრულდა ურთიერთქმედებით, ადგილმდებარეობისა და მოულოდნელობის ფაქტორების გონივრული გამოყენებით.

სურ. 77 მარაბდის ველზე დაღუპულ გმირთა მემორიალი

შედეგი. მარაბდის ველზე ბრძოლაში≈დაახლოებით 9 000 ქართველი დაიღუპა. ქსნის მიდამოებში ქართველთა დანაკარგებზე ცნობები არ მოგვეპოვება. იგი მინიმალური უნდა ყოფილიყო. მოწინააღმდეგემ ამ დაპირისპირებაში 12 000 მებრძოლი დაკარგა. ქართული მხრიდან დაიღუპნენ: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ბაადურ ციციშვილი, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვანი მრავალნი.

მარაბდის ბრძოლაში მამაცურად იბრძოდნენ მეფის მედროშეები - ცხრა ძმა ხერხეულიძე. მათი დაღუპვის შემდეგ დროშა მათ დედასა და დას ეჭირათ. ისინიც, ასევე გმირულად დაიღუპნენ. ქართულმა ეკლესიამ მარბადის ველზე დაღუპული 9 000 ქართველი, მათ შორის ცხრა ძმა ხერხეულიძე, მათი დედა და და წმინდანებად შერაცხა.



სურ. 78 გიორგი სააკაძის ძეგლი თბილისში(კასპში), ავტორი-მერაბ ბერძენიშვილი

ამრიგად, მხოლოდ 1625 წელს ირანელებმა მარტყოფში, დაახლოებით, 27 000, მარაბდაში 14 000, ქსნის ხეობაში 12 000 მეომარი დაკარგეს. ამრიგად, საერთო ჯამში, ამ ბრძოლებში შაჰს 60 000-მდე მეომარი დაეღუპა, რაც მისი არმიის თითქმის ნახევარი იყო. 1625 წელს საქართველოში განცდილი მარცხის შემდეგ ირანის სამხედრო ძლიერება, რომელიც ახლო თუ შუა აღმოსავლეთში დომინირებდა, საფუძვლიანად შეირყა. ამ გამარჯვებით ქართლ-კახეთმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლო და ქვეყანას აღორძინებისა და განვითარების საშუალება მიეცა.

საკითხავი ლიტერატურა

1. კახა კაციტაძე, სტრატეგიის საფუძვლები, თბ., 2007 წ.
2. კახა კაციტაძე, ადამიანი მეომარი, თბ., 2011 წ.
3. ივანე შაიშმელაშვილი, უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები, თბ., 1978 წ.
4. ირაკლი ჯორჯაძე, ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ნარკვევები , თბ., 1981 წ.
5. ჯემალ შარაშენიძე, ომებიადა, თბ., 2011 წ.
6. გივი ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1968 წ.
7. ისკანდერ მუნში, ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია, თბ., 1965 წ.